# ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

## ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

## 42 ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

**პირასკევი, სექტემბრის 27, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.**

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე.
მდივნობს ეროვნულ საბჭოს მდივანი დავით ონიაშვილი.
პრეზიდიუმში არიან თავმჯდომარის ამხანაგნი: იესე ბერიაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი და აგრეთვე მდივნის ამხანაგი-იოსებ ბაკელია.
კრება იხსნება ნაშუადღევის 12-სა და 40 წუთზე.
თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ.
ვთხოვთ მდივანს დღიური წესრიგი წაიკითხოს,
მდივნის ამხანაგი იოსებ ბაკელია (კითხულობს წესრიგს)

### დღიური წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი-სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის კანონისა.
მომხსენებელია საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩიგოგიძე.
2. საბოლოო ტექსტი-ჯარისკაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თამბაქოსი, პაპიროსის და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის გაუქმებისა. მომხსენებელია საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩიგოგიძე.
3. კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფო ენისა. მომხსენებელია საბჭოს წევრი რაჟდენ არსენიძე.
4, დებულება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლა.
მომხსენებელია საბჭოს წევრი პაველ საყვარელიძე.
5. საბჭოს წევრის ახმეტელის შეკითხვა პურისა და სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. საბჭო უცვლელად ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

### საბოლოო ტექსტი სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის კანონისა.

თავმჯდომარე. საბჭოს წევრი ჩიგოგიძე.
ნიკოლოზ ჩიგოგიძე. (ს. რ.) კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის კანონის.
აქ შევცვალეთ სიტყვა „კონტროლიორი“ ჩვენ დავსწერეთ: „კონ-

ტროლერი“ რადგანაც „კონტროლიორი“ ქართულ ენას არ ეხეირებ-
ბა,—ჩვენ ფრანგული ტრანსკრიპცია შევინახეთ.

1) იყო: „სახელმწიფო კონტროლიორი“ ეხლა ნათქვამია: „სახელმ-
წიფო კონტროლერი“.

მეორე მუხლი საბჭოს მიერ ასე გახლდათ მიღებული.

2. ამ კანონით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხა
გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

ჩვენ შევცვალეთ ასე: (კითხულობს).

2. ამ კანონით გამოწვეული ხარჯის დასაფარავათ საჭირო თანხა
გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდგან.

იყო: სახელმწიფო ხაზინიდგან.

ჩვენ დავწერეთ სახელმწიფოს ნაზინიდგან.

**საბოლო ტექსტი ჯარის-კაცთ საჭირებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაროსისა და წუმწუმის აქციზიდ მიცემის გაუქმების კანონისა.**

ნიკოლოზ ჩიგოგიძე (კითხულობს).

კანონ-პროექტი ჯარისკაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროსისა და წუმწუმის უაქციზოთ მიცემის გაუქმების შეშესახებ.

ეხლა იქნება: (კითხულობს).

კანონი ჯარის-კაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტისა, თამბაქოსი, პაპიროსისა და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის გაუქმებისა.

პირველი მუხლი საბჭოს მიერ ასე გახლდათ მიღებული: (კითხულობს).

1. ისპობა უაქციზოდ მიცემა წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროსის, წუმწუმის და პაპიროსის ქაღალდისა ჯარისკაცთა საჭიროებისათვის და მით უქმდება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის მთავრობის მიერ 1914 წლის 1 მარიამობისთვეს და 7 ღვინობისთვეს და 1915 წლის 14 თებერვლისა და 29 გიორგობისთვეს გამოცემული ბრძანებანი და დადგენილებანი.

ჩვენ შევასწორეთ: (კითხულობს)

1. მოისპოს უაქციზოდ მიცემა წმინდა სპირტის, თამბაქოს, პაპიროსის, წუმწუმის და პაპიროსის ქაღალდისა ჯარის-კაცთა საჭიროებისათვის, და მით გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის მთავრობის მიერ 1914 წლის აგვისტოს და ოქტომბერი 7 და 1915 წლის თებერვლისა 14 და ნოემბრის 29 გამოცემული ბრძანებანი და დადგენილებანი.

ჩვენ „თუთუნი“ შევცვალეთ „თამბაქო“-თი.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში იყო: „ისპობა“ ჩვენ შევცვალეთ „მოისპოს“.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში იყო უქმდება, ჩვენ შევცვალეთ ასე—გაუქმდეს.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში იყო „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებზე“.

ეხლა შევცვალეთ ესე: „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მარცხნიბისთვე — ვიხმარეთ სიტყვა აგვისტო და ოქტომბერი. მაგივრად სიტყვა- -ოქტომბერი.

ამნაირად, არსებითი ცვლილება არ მოხდა.

2 მუხლი კანონის ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ. ჩვენ აქ ამოვშალეთ მხოლოდ სიტყვა მისი. დანარჩენი ცვლილება არ არის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ნინიძეს.

კირილე ნინიძე. (ს. დ.). სარედაქციო კომისიამ შესცვალა სიტყვა „კონტროლიორი" და გვირჩევს სიტყვა „კონტროლერი" ვიხმაროთ.

ეს სიტყვა, რასაკვირველია, ქართული არ არის. და, თუ ვიგულისხმებთ, რომ რუსულ გამოთქმას არ უნდა გვანდეს, ეს მესმის, მაგრამ, თავის თავად ცხადია, რაკი შემოვიდა სიტყვა, იმას აქვს ერთნაირი პრაქტიკა, ხმარება. მე არ გამიგია სიტყვა „კონტროლერი" ეს პირველად მესმის. ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი, თუ არ არის ქართული სიტყვა, მაგის მსგავსი, იყოს ის სიტყვა, როგორც გვიხმარია, და რომელსაც ვართ შეჩვეულნი — „კონტროლიორი" და არა „კონტროლერი".

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? არავის.

მაშასადამე, მე კენჭს ვყრი. ვინ არის იმ აზრისა, რომ ის შესწორება, რომელიც შემოიტანა კომისიამ... ვინ არის მომხრე, რომ დარჩეს ძველი რედაქცია?

მაშასადამე, ძველი რედაქცია რჩება.

## განხილვა საქართველოს სახელმწიფო ენის დებულებისა.

რ. არსენიძე. (ს. დ.) მოქალაქენო, ეროვნულ საბჭოს წევრნო! ახლო წარსულში ეროვნულმა საბჭომ მიიღო წინადადება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების არჩევნების შესახებ. ამის შემდეგ, თავის თავად ცხადია, დაისვა საკითხი, რომ გარკვეულად იყოს გადამუშავებული, სამუშაო და სალაპარაკო ენა, სწორედ რომ ვსთქვათ, სახელმწიფო ენა, რომელიც გაბატონებული იქნება საერთოდ სახელმწიფოში, და კერძოთ პარლამენტში. ეს დავალება ჰქონდა მინდობილი საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც ერთგვარი წესი შეიმუშავა და წარმოადგინა თქვენდა განსახილველათ, და დასამტკიცებლათ. მთავარი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობოდა ამ შემთხვევაში კომისია, მდგომარეობს შემდეგში: ერთი რომ, თავის თავისთავად იგულისხმება, რომ კომისიამ არავითარი ცვლილება არ შეიტანა ამ აზრში, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურ ენად უნდა ითვლებოდეს ქართული ენა, რომ ეს არის საქართველოს სახელმწიფო, და ეს ენა არის აღჭურვილი სახელმწიფოებრივი უფლებით. მაშასადამე იგივე ენა უნდა იყოს ოფიციალური ენა საკმონმდებლო დაწესებულებაშიც. ეს იმდენათ ლოგიკური დასკვნაა, რომ რაიმე დავა და კამათი სრულიად უმნიშვნელოთ და ზედმეტათ მიგვაჩნია. კომისიას არავითარი ლაპარაკი არ მოსვლია ამ მხრივ; ერთსულოვნება და ერთაზროვნება სუფევდა, და ამ აზრს იცავდენ.

ჩვენთვის სადაო იყო, მართალი არა, ეს საკითხი, არამედ აღნუსხვა უმცირესობათა უფლებისა.

ჩვენ რესპუბლიკას ეწოდება დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს სიტყვა თუ ცარიელი ფრაზა არ არის, ჩვენ გვავალებს, განსაზღვრულ

მოვალეობას. ეს მოვალეობა უპირველესყოვლისა, გამოიხატება, ეროვნულ ჩვენი მოქალაქეები, მოქალაქეებათ იქნებიან ჩათვლილნი, განურჩევლად ენისა, სარწმუნოებისა. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ესა თუ ის მოქალაქე, არის მოქალაქე, განურჩევლად ენისა, და ამავე დროს, თუგავუქმებთ ხმარებას მის დედა ენისას,—ის არ ნიშნავს ამ სიტყვის ცხოვრებაში განხორციელებას, არამედ მის უარყოფას.

ამისთვის, ამ მოსაზრებით, უმცირესობას, ეროვნულ უმცირესობას, ესე იგი, იმ პირთ, რომელნიც არიან წარმომადგენელნი, ან და წევრნი არა ქართველი ერისა, კომისიამ საჭიროდ დაინახა მიეცა უფლება თავის ენაზე გამოსთქვან თავიანთი აზრი, თავის მისწრაფება, თავისი სურვილი. და ეს სურვილი მოსმენილ იქმნეს ამ ენაზე საბჭოს მიერ. ჩვენ გვგონია, რომ ეს სახელწიფოებრივი მოსაზრებაა საქართველოს დემოკრატიულ წესწყობილების განსამტკიცებლად, რომ ყველა ერის წევრნი შემოგროვდნენ მის საკანონმდებლო დაწესებულების გარშემო, და არ გაისმოდეს ხმა, საყვედურისა. თითქოს ერთი ერი, ან და ერთი ენა სცდილობდეს დაჩაგროს მეორე. რომ არავინ სთქვას—იურიდიული ნორმები გააუქმეს, ენა აუკრძალეს სხვებს, მოუსპეს ამ უმცირესობას კულტურული იარაღი, კულტურული განვითარების და მოღვაწეობის საშუალება, აი, რომ ასეთი ბრალდება არ იყოს წამოყენებულ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩვენ მივიღეთ დადგენილება, რომ უმცირესობის უფლებები მისი ენის ხმარებისა, იყოს კანონიერად გარკვეული და განსაზღვრული.

ამას წინეთ ჩვენ ასეთი კანონი უკვე მივიღეთ, რომელშიაც საქმე ეხებოდა სასამართლოს. აქ ეროვნულმა საბჭომ აღიარა, რომ სასამართლოში უნდა ჰქონდეს ადგილი უმცირესობის ენას, ეს გარკვეული და განსაზღვრული უნდა იყოს იურიდიულ ნორმით, რომელნიც უზრუნველყოფენ ეროვნულ უმცირესობის უფლებებს რომ მან თავის ენაზე მიიღოს სამართალი. მაგრამ, თუ კი სამართლის მიღება შეუძლიან თითოეულ ენაზე, მით უმეტეს, ეროვნულ უმცირესობას უნდა ჰქონდეს უფლება თავის ენით ისარგებლონ საკანონმდებლო დაწესებულებაში. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, შვეიცარიაში, რამოდენიმე სახელმწიფოებრივი ენა არსებობს,—სამი ენა. მაგრამ, ეს აიხსნება იმით, რომ აქ სამივე ერი დაახლოებული არიან და წარმოადგენენ ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულს. იქ სამ ერისაგან შესდგება თითო რესპუბლიკა. საქართველოში კი ასეთი მდგომარეობაა, რომ ამნაირი ანალოგია არ არსებობს. აქ ნამდვილი მთავარი ერია ქართველი ერი. დანარჩენი უმცირესობანი არიან: განაპირა მცხოვრებლები, რომელნიც არიან გაბნეულნი, როგორც მცირეოდენი ნაწილი, ამა თუ იმ ერისა,—რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ, როგორც სახელმწიფოს მცხოვრებნი. ნამდვილად კი, ეს ეროვნებანი ამ სახელმწიფოს საზღვრების გარეშე არიან, მაგალითად: სომხები, რუსები, თასები და სხვანი. მათი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარი ძარღვი ტრიალებს არა საქართველოში, არამედ სხვა სახელმწიფოში.

თავისთავად გამოდის შემდეგი დასკვნა, რომ სახელმწიფო ენათ ითვლება ქართული ენა. დანარჩენი წარმოადგენს არა სახელმწიფოებრივ ენას, არამედ, უმცირესობათა ენას. მათი უფლება არის სარგებლობა თავისი დედა-ენით, ხოლო არა როგორც ოფიციალური ენით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ, როგორც დამხმარე ენით, რომელზედაც საშუალება ექნებოდეს თავისი აზრი, თავისი სურვილი გამოთქვან საბჭოს წინაშე, ეროვნულ საბჭოს პირით, მთელ ხალხს და საზოგადოებას ელაპარაკებიან. უარყოფა ეროვნული უმცირესობათა ასეთი უფლების — შეუძლებელია.

პრაქტიკულად ძნელი იქნება ამის განხორციელება.

მაგალითად: ასეთი წინადადება იყო წამოყენებული იურიდიულ კომისიაში, თუ პრეზიდიუმს არ შეუძლიან გაიგოს ესა თუ ის ენა, ან რას ლაპარაკობს, ან რა საგანზე ლაპარაკობს ორატორი — ეს ჰქმნის პრაქტიკულ უხერხულებასო. ეს საბუთი მართლაც, რომ საბუთობს. მაგრამ, თუ ჩვენ მივიღეთ, რომ კანონი უნდა ეხებოდეს არა იმას, რომ დღეს, ესა, თუ ის პრეზიდიუმი გვყავს, ჩვენ ხომ არ შეგვიძლიან კანონმდებლობით ერთ უფლებები განვსაზღვროთ იმით, თუ როგორი თავმჯდომარე გვყავს? არ შეიძლება ამ საბუთებით გამოვიღეთ, პირიქით, უფლების განსაზღვრის დროს, ჩვენ გამოვდივართ ერთიდან, თვითონ ხალხიდან, მის მასსიდან, რომელსაც ეს უფლება უნდა მივანიჭოთ. ჩვენ უფლებას ვაძლევთ არა პრეზიდიუმს, არა თავმჯდომარეს, არამედ ერს.

აქედან წამოყენებული არის ორი საკითხი, რომ უნდა მეცეს უფლება იმ ენაზე ლაპარაკისა, რა ენაზედაც სურთ ლაპარაკი.

ჩვენ კომისიას ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნია, მიანიჭოს უფლება იმ ენაზე ლაპარაკისა, რომელზედაც ჰსურს. ბოლოს და ბოლოს, ყველა ერმა სახელმწიფოში უნდა იცოდეს, რომ უფლებას ვაძლევთ ერს, და არა დეპუტატს. მე მგონია, რომ უფლებას ვაძლევთ თითონ ერს. აქ შეიძლება კითხვა დადგეს რუსულ ენაზე ლაპარაკისა, ვინაიდან, მათმა ბატონობამ ამიერკავკასიაში შექმნა ერთგვარი წყობილება, რომელმაც რუსული სახელმწიფოებრივი ენა გადააქცია თითქმის საერთაშორისო ენათ. მაგრამ, ერთი უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ენა საერთაშორისოა მხოლოდ ერთ წრისთვის ინტელიგენციისთვის. აბა, მიბძანდით ჩვენში და დაელაპარაკედ რუსულად: — უეჭველია, არავინ არის ისეთი, რომ რუსულ ენაზე ლაპარაკი დაუწყობს. შეიძლება, რომ ზოგიერთ ქართველმა იცოდეს რუსული ენა. აგრეთვე სომხებმა, ოსებმა, შეიძლება იცოდნენ რუსული ენა. მაგრამ მასსამ რომ აირჩიოს რუსული ენა, ერთი მეორისთვის აზრის გადასაცემათ, — ეს ყოვლად შეუძლებელია. მაშასადამე, როგორც ოსებს, თვით სომხებსაც, რომელნიც ჩვენ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, და სხვებს რომ მივცეთ უფლება რუსულ ენაზე ლაპარაკისა ეს იქნებოდა ჩვენგან ამ ხალხის მოტყუება, ან მათთვის თავზე მოხვევა იმისა რაც მათთვის გასაგები არ არის.

სულ ხვაა ინტელიგენცია: სომხები, ოსები, ქართველები, თათრები; სუყველანი, რასაკვირველია, ვლაპარაკობთ რუსულ ენაზე — ჩვენ რომ ამათთვის მიგვეცა უფლება, გასაგები იქნებოდა, მაგრამ, არა მგონია, აქ იყოს ვინმე მომხრე, იმისა რომ რუსულ ენა გადავაქციოთ ოფიციალურ ენად. მაშასადამე, არც შეიძლება, რომ გახდეს ოფიციალურ ენად. შეიძლება, ზოგიერთ დეპუტატმა იცოდეს რუსული ენა, მაგრამ, შემთხვევით, ჩვენ რომ მეორე არჩევნები მოვახდინოთ, მე მგონია, რომ გლეხები და მუშები ჩვენ პარლამენტში არჩეულნი იქნებიან, ვინაიდან ასეთი მასსა ბევრი გვყავს, და ინტელიგენცია არც ისე ბევრია, რომ ავარჩიოთ ამ დაწესებულობაში.

ოავის თავად ცხადია რომ, როცა ჩვენ კანონებს ვსცემთ, როცა

ჩვენ ვაძლევთ უფლებას ამ თუ იმ ერს—ჩვენ ვაძლევთ უფლებას
შებს, გლეხებს, რომლებიც ამ ერების მთავარ დედა-ძარღვს წარმოად-
გენენ. ასეთ ხალხს ჩვენ შეგვიძლიან მივცეთ უფლება მხოლოდ სამ-
შობლო ენით სარგებლობისა, და დედა ენაზე ლაპარაკისა.

აი, ამ მოსაზრებით ჩვენ მივიღეთ, რომ უფლება უნდა მიეცეს
ყველა დეპუტატს წარმოსთქვას სიტყვა პარლამენტში თავის დედა-
ენაზე. აი ამ მოსაზრებით, ჩვენ მივიღეთ, რომ უფლება უნდა ჰქონდეს
ყველა დეპუტატს, წარმოსთქვას თავის დედა ენაზე, თავის სამშობლო
ენაზე, ის—რაც მას ჰსურს.

ჩვენ, აგრეთვე, მივიღეთ მხედველობაში, რომ, არვიცით, რა გან-
წყობილება შეიქმნება, როცა ეროვნული უმცირესობის წარმოდგენილნი
მემოვლენ აქ. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობა აღმოჩნდება, როგორ
შეიძლება სარგებლობა ამ უმცირესობით. რა პირობებში მოწესრიგდე-
ბა ამ ენებით სარგებლობა სანამ თითონ წარმომადგენელები არ მოსუ-
ლან პარლამენტში. არ ვიცი, როგორ შეიძლები მოწყობა ამ საქმისა.
ძნელია წინასწარ გადაჭრა ამ საქმისა. წინასწარ ამის გადაჭრა ჩვენ ვერ
ვსცანით შესაძლებლად. დავადგინეთ, რომ თითონ კრება განსაზღვრავს
თავის შინაურ წესებით, რომელიც ექვემდებარება რეგლამენტს. მაგ-
რამ, როგორ იქნება ეს მოწყობილი. ეს მათ პირადობას შეეხება, თუ
როგორ მოისურვებენ ამ ერების წარმომადგენელნი ისარგებლონ უფ-
ლებით, რომ თავის ეროვნულ ენაზე ილაპარაკონ, თუ ქართულ ენაზე.
ეს შეიძლება განისაზღვროს შინაურ წესით; მხოლოდ ამ კრებამ, მის
შემადგენლობამ, პარლამენტს უფლება აქვს, ამ რეგლამენტის ძალით
აღნიშნოს, განსაზღვროს ეს ტეხნიკური მუშაობა. ამ გვარად, ტეხნიკუ-
რი კითხვად, გადაიქცევა თარგმნის საკითხიც.

უნდა მოგახსენოთ შემდეგი: თუ თარჯიმანი იქნება ოფიციალური,
მაშინ ენაც უნდა იყოს ოფიციალური; თუ ეროვნულ უმცირესობას
ენა მიღებულ იქნება, როგორც ოფიციალური, მაშინ უნდა იყოს ოფი-
ციალური თარჯიმანი რომ დანარჩენ ერების წარმომადგენლებმა გაიგონ
წარმოთქმული სიტყვა. და, თუ არ იქნება ოფიციალური ენა, მაშინ
ოფიციალური თარჯიმანი ზედმეტია. რომ ეს კანონით დაწესებული
იქნეს, მაშინ თარჯიმანი იქნება საჭირო. და რის წესით, რა რიგათ,
ეს არის კრების შინაგანი წარმოება საქმისა, ეს არის შინაგანი დაწეს-
რიგება საქმისა, ეს არის შინაგანი დაწესრიგება თვით პარლამენტის
წევრებთა შორის თავის თავისაგან, და არა ერის უფლებისაგან და ეს
ერის უფლებას არ ეხება სრულიად. ამიტომ, ეს თარჯიმანის წესი უნდა
გადავდოთ რეგლამენტისთვის, იმ დრომდე, სანამ ეროვნულ-უმცირე-
სობის წარმომადგენელნი ეწვევიან ჩვენ პარლამენტს, და აქ იქნები-
ან, როგორც მისი დაკანონებული წევრი, და, მასთან ერთად მდგომა-
რეობის მიხედვით, წესები იქნება გადამუშავებული საერთო კანონპრო-
ექტი და მის დედა-აზრს, რომელსაც მიიღებს კომისია-წარმოუდგენს
საბჭოს დასამტკიცებლად.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ჩიქოვანს.

დავით ჩიქოვანი. (რად. დემ.) ბატონებო, ეროვნულ საბჭოს წე-
ვრნო! როგორც გეხსომებათ ეს საკითხი აღიძრა იმ დროს, როდესაც
ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ვიწვევდით.

მაშინ შენიშვნის სახით შეტანილი იყო ჩემ მიერ წინადადება,
რომ ეროვნულ უმცირესობათა წარეომადგენლები ვალდებული ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყვნენ ელაპარაკათ ქართულ ენაზე. მაგრამ ეს მაშინ ცალკე კანონ-
პროექტად აღიარეს და გადაეცა საკონსტიტუციო კომისიას.

ამის წარსული ასეთი არის.

როგორც იცით, ეს შენიშვნა, რომელიც მეორე პროექტათ იქ-
ცა, ამბობს, რომ სალაპარაკო ენა ეროვნულ უმცირესობის წარმო-
მადგენლებისთვის უნდა ყოფილიყო ქართული ენა, ესე იგი სახელ-
მწიფო ენა. როდესაც ეს საკონსტიტუციო კომისიამ გაარჩია,—უარ-
ყოფილი იქმნა ასეთი კანონპროექტი და წარმოსდგა აქ მეორე პროექ-
ტი, რომლის პირველ მუხლში პირდაპირ ნათქვამია. რომ საქართვე-
ლოს რესპუბლიკაში, სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. მეორე
აქ გატარებულია მეორე მუხლი,—ის რომ საქართველოს ეროვნულ სა-
ბჭოში საქმის წარმოება და კამათი იქნება ქართულ ენაზე. მერე აქ
შენიშვნებია სხვა და სხვა დ-წვრილებითი, დეტალური. მაგრამ შინა-
არსს ჯერ არ ვეხები იმიტომ რომ პრინციპიალურად ამას ვუარვყოფთ,
ვინაიდან ეს პროექტი შედგენილია პირველ პროექტის უარყოფობაზე.
და ეს პირველი კანონპროექტი ამბობს გადაჭრით, რომ მათი სალაპა-
რაკო ენა უნდა იყოს ქართული ენა. მე ამას ვეხები.

მოსაზრება, რასაკვირველია შემდეგი გახლავთ: როგორც აქ მომ-
ხსენებელმა განაცხადა, მან სრულიად სამართლიანად განიხილა ზო-
გიერთი მაგალითი ევროპიულ ქვეყნებისა. ამავე მაგალითებს დავემყა-
რები მე. მან სთქვა ზოგიერთ ადგილას იქ, სადაც რამდენიმე ენა იხ-
მარება, მაგალითად შვეიცარიაში, სამი სახელმწიფო ენა არისო.
ეს მდგომარეობა კომისიის აზრით და ეროვნულ საბჭოს აზრით ჩვენ
არ მოგვიხდება. ჩვენი რესპუბლიკა უნიტარული რესპუბლიკა არის,
ჩვენში ერთი ენა—დედა ენა არის სახელმწიფო ენა და ეს რაც ამ
პროექტით არ იყო აღიარებული, დღევანდელ ჩვენ ცხოვრების პრაქ-
ტიკაში ეს უკვე დაკანონებულია. ჩვენ დღეს შეძლება გვეძლევა დავა-
კანონოთ ეს ქართული ენა, მაგრამ პრაქტიკულად დიდი ხანია დაკა-
ნონებული გვაქვს სახალმწიფო ენად. კანონები ამ ენაზე იცემა და
ეროვნული საბჭო ამ ენაზე ლაპარაკობს. ამიტომ ეს მაგალითი სწორედ
ამას გვიმტკიცებს, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკა არის შემდგარი არა
რამდენიმე ერისაგან, და არა ისეთ ერებისაგან, რომელთა ენა არის
დაკანონებული, როგორც სახელმწიფო ენა. ამიტომ ამ კანონ-პროექ-
ტში უნდა სჩანდეს, ე. ი. ამ შემთხვევაში უნდა სჩანდეს, რომ აქ ერ-
თად ერთი ენა სახელმწიფოში, სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული
ენა. იქაც, სადაც სამი ენა არის დაკანონებული სახელმწიფო ენად,
როგორც ვიცით, იქაც არის ტენდენცია შეჰქმნან რაც შეიძლება ნაკ-
ლები ენა, ასეთი ტენდეცია არის შვეიცარიაში, ესეთივე ტენდეცია
არის ბელგიაში, ასეთივე ტენდეცია, მაგალითად პრაქტიკიდან ვიცით,
არის ფინლიანდიაში, სადაც ორი ენა აუცილებლად შექმნილა ზოგნაირ
მიზეზების გამო და ცდილობენ რაც შეიძლება შეამოკლონ ენა. მაგა-
ლითად როცა ფინლიანდიაში შვედური ენა იხმარებოდა პარლამენტში,
მაშინ დიდი ბრძოლა იყო ამის წინააღმდეგ. მე მგონია რომ დიდი ხანი
არ გავა, და მალე შვედური ენა ფინლიანდიის პარლამენტში აღარ იქ-
ნება, არა იმიტომ რომ ეს ერი შესჭამონ, ეს არის გამოწვეული პირ
და პირ ბუნებრივი, გონიერი მოსაზრებით. მართლა და ვინც ცოტა
თუ ბევრად გაცნობილია ამ სახელმწიფოსთან, სადაც რამდენიმე სახელ
მწიფო ენაა, იმისთვის ნათელია რა საშინელებაა იმ სახელმწიფოების-

თვის, რომელიც ამ მდგომარეობაში ჩავარდება. რამდენიმე [illegible]
იხარჯება ამის გამო, რომ რამდენიმე ენა ითვლება სახელმწიფო [illegible]

ჩვენ, რომლებსაც ბედნიერება გვაქვს არ გვქონდეს რამოდენიმე ენა, უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, ეს გარემოება უნდა ამ შემთხვევაში გატარებული იყოს. სახელმწიფო ენათ უნდა დარჩეს არა მარტო ერთად ერთი ენა, არამედ ყველაფერში უნდა სჩანდეს, რომ ის მართლაც არის სახელმწიფოებრივი ენა.

ის მაგალითი რომელიც მოიყვანა მომხსენებელმა წარსულ პროექტის შესახებ, როდესაც ირჩეოდა მომრიგებელ მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღება, ის მეჩვიდმეტე მუხლი, რომელიც ნებას აძლევს ეროვნულ უმცირესობათ, რომ საქმის წარმოება ყოფილიყო თავის დედა ენაზე, მე მგონია, ეს მაგალითი არ ვარგა, იგი იყო ასე თუ ისე დაბალი ხარისხის საქმიანობა, შედარებით, ვიდრე კანონდებლობა და ეროვნულ საბჭოში ლაპარაკი. მართალია კანონდებლობა ქართულ ენაზე იქნება, მაგრამ ლაპარაკსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მე ვფიქრობ, დი ვიცავ პირველ კანონპროექტს, ე. — ი. იმას, რომ სალაპარიკო ენა ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლობისათვის დარჩეს, ქართული ენა და ვამბობ, აი, ამ მოსაზრებით სწორედ რომელიც აქ ზოგიერთმა განავითარა და მეც შევეცადე განმეგითარებინა, ეს ს ხელმწიფოებრივი მოსაზრება მეუბნება, რომ ჩვენთვის საჭირო არ არის რამდენიმე ენების თავისუფლება, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომელიც მათ მოჰყავთ პრინციპიალური გამართლება იმისა, რომ პატარა ენები შემოღებული არ არის ჩვენ პარლამენტში. თითონ მოხსენებიდან სჩანს, რომ ისინი არ შეეცადნენ ეს პრინციპი დაემტკიცებინათ. მათ მხოლოდ პრაკტიკული მხარე აინტერესებთ. მე ვფიქრობ, რომ ამ მხრითაც ყოვლად შეუწყნარებელია, რომ ჩვენ რამდენიმე ენა შემოვიღოთ აქ. მე ვფიქრობ. ეს ბევრ უსიამოვნებას მოაყენებს ჩვენს პარლამენტს, თუ ერთგვარ ტრადიციას არ შემოვიღებთ.

ბატონებო! ის კი არა კმარა, რომ აქ პირველ მუხლში წერია: სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენაო. ჩვენ კარგათ ვიცით პარლამენტის ტრადიციას რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მარტო დაწერილ კანონს მნიშვნელობა არ აქვს. მე დარწმუნებული ვარ, როცა ჩვენ ვქმნით ტრადიციას, ტრადიციის შექმნის ხანაში, მე შეუწყნარებლად მიმაჩნია, რომ ასეთი პრეცედენტი ვიქონიოთ. თუნდაც კომპრომისის განხორციელებით, რომ აქ შვიდ, რვა ენაზე იყოს ლაპარაკი. და მე ვერც პრინციპიალურად გავამართლებ და ვერც იმას დავამტკიცებ, რომ ის პრინციპი პრაქტიკულად მისაღებია ჩვენ პარლამენტისთვის, ვინაიდან ეს სრულიად არ შეესაბამება და არ შეეფერება ჩვენ პარლამენტს. პრაქტიკას როგორც მოგეხსენებათ ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რაიმე ცუდი ტრადიციის შექმნა, ჩვენთვის ბევრი ცუდ რამის მიმასწრაფებელია. ამიტომ მე ვიცავ ამ პირველ ჩემს წინადადებას, რომ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებისთვის დარჩეს ეს ენა, ის სახელმწიფოებრივი ენა, რომელსაც ეს კანონპროექტი სცნობს და ყველა ჩვენგანიც.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ეროვნულ საბჭოს წევრს მ. ბერიდზეს.

თავმჯდომარე. საბჭოს წევრი კედია.

სპ. კედია (ერ. დემ) ძალიან ცუდი მეთოდი არის ის მეთოდი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც კანონ მდებელი ხელმძღვანელობს იმას, თუ რას იტყვიან სხვები. თუ ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ და არა სხვა, — უნდა მოგახსენოთ, ლიან ცუდის იარაღით აღვიჭურვებით. პრაქტიკაში პოლიტიკურ მოღვაწისთვის მიღებელია, რომ პრაკტიკულ ნაბიჯების გადადგმისა და კანონების შემუშავების დროს, მარტოოდენ უზადო პრინციპს უწევდეს ანგარიშს, იმ პრინციპს რომელიც, ჩამოეშვება თუ არა სინამდვილეში, ყოველთვის ყოველმხრივ ზიანდება. მე მგონია, რომ ამ სახის მაგალითები ჩვენს პარლამენტში, ნათლად გვამცნობს და გვეუბნება, რომ პრინციპი ერთია და სინამდვილე მეორე. როდესაც ჩვენ ვსცდილვართ ეს პრინციპები გამოგვეყენებინა და ამ პრინციპებით პრაქტიკულ ცხოვრებაში გადმოვსულვართ, ყოველთვის ჩვენი სასიცოცხლო რეალური ინტერესები. ამ პრინციპებს დასჯახებია და დამარცხებული კომპრომისის გზით წაუყვანია. ამის ცოცხალ მაგალითებს დღეს ჩვენს პარლამენტში ხედავთ და იმიტომ ამაზე სიტყვის გაგრძელება სრულიად ზედმეტი იქნებოდა.

საქმე ეხება იმას, თუ იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც ჩვენ აქ შემოვიყვანეთ სრულიად უხეირობა, კანონ-პროეკტით, რომლისთვისაც ძირითადი მუხლები მართალი სრულიათ დაუმუშავებული და შეუსწავლელი იყო, — აი რომ ამ ეროვნულ უმცირესობათ მიეცეს უფლება თუ არა ჩვენს პარლამენტში თავიანთ მშობლიურ ენაზედ ილაპარაკონ? რასაკვირველია, ქართველი ერი შეჩვეულია დად პრინციპების ხმარებას, შეჩვეულია თავაზიანობას, — იმას რომ ყველაფერი სხვას უბოძოს. მაგრამ თუ ჩვენ ასე წარა-მარა ვარიგეთ ჩვენი უფლებები, მარჯვნივ და მარცხნივ ვაძლიეთ სხვებსა, მალე ჩვენ თვითონ ჩვენს ქვეყანაში სხვის სამოწყალო დავრჩებით, ყოველგვარ უფლების ძალას მოკლებული.

არა, ბ-ებო უწინარეს ყოვლისა ჩვენი ინტერესები უნდა დავიცვათ. ვისაც სახელმწიფოს შექმნა უნდა, ვისაც დაჰკისრებია რეალური პოლიტიკის წარმოება, მას არასოდეს არ უნდა აშინებდეს ისა, თუ ვინ რას იტყვის, ამა თუ იმ კანონის შესახებ. თუ ჩვენ საქმის ცოდნითა და რეალური ინტერესების ძალდატანებით მიველით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთვის ამა თუ იმ ღონისძიებისა და კანონის შემოღება აუცილებელია, — ჩვენ უნდა შემოვიღოთ იგი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას იტყვის.

ის დებულება, რომ ჩვენი რესპუბლიკა დემოკრატიული რესპუბლიკაა, და ამისთვის ყოვლად შეუძლებელია, რომ ეროვნულ უმცირესობათ არ მიეცეს უფლება წარმომადგენლობისა და თავიანთ ენაზე ლაპარაკისა, ვინაიდან, თუ ასეთი უფლებები არ მივეცით, რაღა დემოკრატიული რესპუბლიკა იქნებაო, ეს დებულება ყრავითარ კრიტიკას არ უძლებს. ჩვენ არ გვინდა ცარიელი დემოკრატიული რესპუბლიკა და ცარიელი პრინციპი, არამედ რესპუბლიკა მტკიცე და ძლიერი, ჯანსაღი და თვითმდგარი. თუ რომელიმე პრინციპი რაიმე ზიანს მოგვაყენებს პრაქტიკულს ცხოერებაში — ჩვენ აღარ გვინდა ასეთი პრინციპი, ვინაიდან სიცოცხლე ყოველგვარ პრინციპზე მაღალია.

ის მაგალითი, რომ შვეიცარიაში არის 3 ენა, ჩვენ არაფერს არ გვეუბნება. არაფერს გვეუბნება იმიტომ რომ ეს მხოლოდ ზერელე ანალოგიის მონატანია. ასეთი ზერელე ანალოგია სახიფათო გზა და სა-

ხიფათო მეთოდია ჩვენთვის, შვეიცარიის მაგალითის მიხედვით ჩვენ ვერ დაუწერთ კანონებს ჩვენ ქვეყანას. საქართველო [illegible] რებში, რომლებიც დღეს მიღებული არის, არის ერთიანი ქვეყანა და ამ ქვეყნის ტერიტორიის საზღვრებში არ შედის არც ერთი მტკაველი მიწა, რომელიც სხვა მეზობელ ხალხს და სახელმწიფოს ოდესმე კუთვნებოდა. ჩვენი ქვეყნის ფარგლებში არც ერთი მტკაველი მიწა არ არის, რომელიც დაპყრობილი იყოს, და დამონებულ ხალხით დასახლებული. ის ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც დღეს ჩვენში არიან, ისინი ჩვენს სახელმწიფოში თავის შესაფარად სხვა ქვეყნებიდან შემოსულან, ნებაყოფლობით, ჩვენი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივის ცხოვრებით და უფლებით უცხოვრიან და უსარგებლნიათ. მე მგონია რომ ის არა—ქართველნი, რომლებიც თავიანთ ქვეყანას გამოქცეულიან ბინა ჩვენში და დაუდგიან ჩვენს მოქალაქეობრივს ცხოვრებაში მონაწილეობას იღებენ, ის მოქალაქენი ვალდებულნი არიან ჩვენ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ცოტა მაინც ერპლი მოუტანონ და თავიანთი ზრახვანი და პრეტენზიები შეიკვეცონ. თუ ეს არ ინებეს, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ეგა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივის ძალდატანების მეთოდით. საქართველოში მცხოვრებნი არა—ქართველნი, რომელნიც სარგებლობენ სახელმწიფოს ყველა ორგანოებით და ყველა მისი საშუალებებით თავიანთ პირად ცხოვრების მოსაწყობათ, ვალდებულნი არიან მცირე შეგიწროება დაიკისრონ და სახელმწიფო ენაზედ ილაპარაკონ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებაში. ამიტომ, ყოვლად შეუწყნარებელია აქ იმ დებულების დაცვა და მიღება, რომ ეროვნულ უმცირესობას უნდა მიეცეს უფლება საქართველოს პარლამენტში თავის ენაზე ილაპარაკოს. ყველა არა—ქართველი მოქალაქე საქართველოსი, რომელნიც ჩვენთან ერთად საკანონმდებლო მუშაობას დაიწყებენ, და აწარმოებენ, სახელმწიფო ენას უნდა ხმარობდეს.

ამ პრინციპიალურ ვალდებულის ვარდა, სახეშია მისაღები აგრეთვე მუშაობის პრაკტიკული და ტეხნიკური ინტერესი. ჩვენში რამდენიმე ეროვნება არის და ყველა ამათ, რომ მიეცეს უფლება თავიანთ ენაზე ილაპარაკონ, მაშინ ჯერ ერთი იმათ ხომ ერთმანეთი უნდა გაიგონ და მერე ქართველებმა ხომ ყველასი ნალაპარაკევი გაიგონ, რადგან ხომ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ რას ლაპარაკობს, რომ ნათქვამს პასუხი გავცეთ, და მასზე ჩვენი აზრი გამოვსთქვათ. ისე მოწმედ აქა ჯდომა, რომ არაფერი გესმოდეს ვერაფერი სასიამოვნოა. მაშასადამე, თუ გინდა თვითეული საბჭოს წევრი შეგნებით მოქმედობდეს, და შეგნებით სჭრიდეს საკითხს, მას უნდა ესმოდეს ყოველი სიტყვა, ნათქვამი ყოველი საბჭოს წევრისაგან. ეს კიდევ მოითხოვს აუცილებლად იმას, რომ ყოველივე სიტყვა ითარგმნებოდეს ერთმანეთისათვის გასაგებ ენაზე. აბა მაშინ ნახეთ თარჯიმანთა ინსტიტუტი ეროვნულ საბჭოში. თქვენ ხედავთ, თუ რამდენათ გართულდება და შეფერხდება ჩვენი საპარლამენტო მუშაობა იმიტომ რომ არ გვინდა არავის ვაწყენინოთ, და გვსურს, რომ ყველა სარგებლობდეს შეუზღუდველის თავისუფლებით ვინ დაგვწამებს, რომ ჩვენ გვქონდეს რაიმე საწინააღმდეგო, რომ ჩვენში შემოსულმა ერებმა განავითაროონ თავიანთი კულტურა და თავიანთ ენაზე იაზროვნონ. მათ აქვთ და ექნებათ კულტურულ შემოქმედების ერთეული უფლება და საშუალება. ამ მხრივათ არავითარი ხიფათი მათ არ მოელის. მადლობა ღმერთსაც, ოცხალი შემადგენლობის უმრავლესობა

ჩვენი პარლამენტისა, ამ მხრივ მოუხერელის პრინციპის ხალხია, და ამ მხრივ ჩვენ პარლამენტს არავითარი სიურპრიზი არ მოელის. ეს ესება დანარჩენებს, ჩვენც ამ აზრისანი გახლავართ, რომ ერების უმცირესობათ თავიანთ შემოქმედებასა. და კულტურულ განვითარებაში, არავინ ხელს არ შეუშლის, ოლონდ ის კი გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ჩვენს სახელმწიფოებრივს და საკანონმდებლო მუშაობაში კი თავიდან ყოველგვარი ზედმეტი ამწეწი გარემოება ავიცდინოთ. მერე კიდევ, ამ ენის საკითხს წმინდა გარდამავალი და წარმავალი ხასიათი აქვს. თუ მივიღებთ სახეში იმ დებულებას, რომელიც შემუშავებული არის დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის, თქვენ ვერ დაინახავთ ვერც ერთ ისეთ პუნკტს, საცა, ვთქვათ, გახაზული იყოს ეროვნული უმცირესობის საკითხი პარლამენტში ენის ხმარების მხრივ, და საცა ნათქვამი იყოს რომ ეროვნული უმცირესობა საკუთარის განსხვავებულის წესით შემოდიოდეს მომავალ დამფუძვნებელ კრებაში და იქ თავის ენაზედ ლაპარაკობდეს. აი ამ არჩევნების დებულებაში ეს არ გახლავთ და დარწმუნებული ვარ, რაც დამფუძვნებელი კრება ორგანიულ მუშაობას შეუდგება, და კონსტიტუციას დაგვიწერს. ეს საკითხი სრულიად მოისპობა და დღეს რა საჭიროება მოიცავს, რომ ამ მოკლე ხანისათვის წამოვაყენოთ ეს საკითხი და ისე გადავწყვიტოდ, როგორც მომხსენებელი გვირჩევს. მე იმის იმედი არა მაქვს, რასაკვირველია, რომ ამ სიტყვას, და აზრს აქ ანგარიშს გაუწევენ, რადგანაც ყოველი კანონპროექტის ბედი. აქ—წინასწარ გადაწყვეტილი არის აქ ჩვენ კანონების, ამ შემთხვევაში ხასიათი და ფიზიონომია ისეთი არის, როგორც იქნებოდა, მაგალითად, რომ იგი შემუშავებული ყოფილიყო მარტო ს. დემ. ფრაქციაში და შემდეგ სავალდებულოთ გამოცხადებულიყო მთელის საქართველოსათვის. მაგრამ, რადგან მაინც და მაინც აქა ვართ, ეროვნულ საბჭოში, და ფორმალურად აქა სწყდება კანონები, რადგან ს როგორც ყოველ შემთხვევაში მთელი ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულება და მზიდველია მთელი ქვეყნის წინაშე დიდი პასუხის მგებლობისა, რატომღაც მგონია, რომ თითეული წევრი ამ დარბაზში მეტ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობის გრძნობას გამოიჩენს კანონის დაწერაში, ვიდრე თავის საკუთარ ფრაქციის დარბაზში. მე გამოვთქვა მიმედს, რომ ამგვარი ჩვენი ეროვნული საბჭო, თუ რაც იგი ცოტა არ იყოს დაჩვეულია აჩქარებულის ტემპით კანონების გამოცხადებას, მაინც ერთგვარ ანგარიშს გაუწევს სახელმწიფოს რეალურ ინტერესს, და რომ იგი იმ პრინციპებს, რომლის განსახორციელებლად კაცობრიობა მიილტვის შეუზომავს და გააფართოვებს აწინდელ რეალურ საჭიროებას. მიუღებელია ის პრინციპი, რომელიც რეალურ საჭიროებას ვნებს. რაც დღევანდელ პირობებში რეალურ ინტერესების დამრღვევი არის, სახელმწიფოს პრაკტიკმა მოღვაწეებმა ის უნდა უშიშრად უკუაგდოს, როგორც საზარალო სახელმწიფო ინტერესებისათვის.

ი. ბარათაშვილი. (ს. ფ.) სოციალ-ფედერალისტების პარტიის სახელით ვაცხადებ შემდეგს: ჩვენ უერთდებით მომხსენებელის აზრს. პირველი და მეორე მუხლი საკამათო არ არის. რასაკვირველია, ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს. დედა-ენერძი ამ სახელმწიფოსი არის ქართველი ერი. სახელმწიფო ენა არის, რასაკვირველია, ქართული ენა. ეს უდავოა. მაგრამ, შეუძლებელია დავივიწყოთ ის, რომ აი ამ ჩვენ რესპუბლიკაში სცხოვრობენ სხვა ერები. შეუძლებელია რომ ეს ერეყოთ და დავივიწყოთ

ინტერესები სხვა ერებისა. აქ ამბობენ რომ, თუ შემოვიღეთ ... რესობის ენა ეს ჩვენ სახელმწიფოს დაარღვევს ხელს შეუშლ... თულებს ვისიმე საქმიანობას. ამ პრაკტიკულ თვალისაზრისით უყურებენ, და ამისთვის უნდა უარჰყონ ის, ნაც წმინდათა წმინდაც, რაც შეიცავს პირდაპირ უფლებას სხვა ერებისას და ამ უფლების დარღვევის გზას ჩვენ ვერასგზით ვერ შეურიგდებით. ვერავითარი პრაქტიკული მოსაზრება, ვერავითარი პრინციპიალური მოსაზრება, არ წარმომდგარა თქვენ წინაშე, რომ მართლა ეს საკითხი უარყოფილი უნდა იყოს, რომ მე-3 მუხლი ამ კანონპროექტისა არ არის მისაღები. ბ. კედია ბრძანებს ისე, რომ ვითომ ჩვენ ამას ვიღებთ იმიტომ რომ უგდებთ ყურს იმას, თუ რას იტყვიან სხვებიო ჩვენ ვამბობთ იმას, რაც უნდა ვთქვათ, რაც უნდა დავაწესოთ და რა გკუთვნის სხვებს. ჩვენ ამ თვალსაზრისით ვაშუქებთ ამ საქმეს. მართალია, ის, რომ სსქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობენ სხვა ერები, მოსული ერები, მაგრამ, განა აქედან უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა. რომ მათ არ უნდა ქონდეთ ნება ილაპარაკონ თავიანთი ენაზე?. ის ერები, რომელნიც არიან მოსულნი, უკვე ისინი არიან საქართველოს ქვეშევრდომნი, საქართველოს მოქალაქენი. ისინი ჩვენთან ერთათ შედუღებულნი არიან. საერთო ინტერესებით საერთო სახელმწიფოში ცხოვრობენ. ამისათვის გამოცალკევება და დასახვა, რომ ქართველი ერი, არის სხვა ერი, და ისინი არიან სხვა ერების წარმომადგენლები, და მათ შორის არავითარი კავშირი არ არისო—ეს დიდათ შემცდარი აზრია, სწორედ არა სახელმწიფოებრივი აზრი. და პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ეს არის არა სახელმწიფობრივი აზრი სწორედ ეს იქნება ნიადაგი იმისა, რომ აქ აღმოცენდება უთანხმოება. სწორედ იმაში არის ჩასახული დარღვევა მომქმედ წესრიგისა. სწორედ ჩვენ აღშურვილი ვართ ამ გამოცდილებით, და პრინციპიალური მოსაზრებით, რაზედაც ჩვენ მოგახსენებთ. სწორედ ამ თვალსაზრისით ვხელმძღვანელობთ ჩვენ და სწორედ ამ ჩვენ მოქმედებას ის უძევს საფუძველად, რომ არ გვინდა დარღვევა არავის უფლებისა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკა არავისთვის მამინაცვალი არ უნდა იყოს, ჩვენ ვამტკიცებთ იმას, რომ ჩვენ რესპუბლიკაში არავინ გერებათ არ უნდა იყოს; ამისდა მიუხედავად, ჩვენი პრინციპიალური მოსაზრება, პირდაპირ პრინციპიალური მოსაზრება არის. რომ ყველა ერს აქვს უფლება, აქვს ნება აღიაროს თავის სულისკვეთება თავის დედაენაზე. აქ ბრძანებდა ბ. კედია, რომ ჩვენ ვარღვევთ ჩვენ პრინციპებს, რომელიც პრაკტიკულ მოქმედებაში უვარგისია და იძულებულნი ვართ ეს პრინციპი შევცვალოთ. არა, ეს მართალი აზრი არ არის. ჩვენ პრინციპს არ ვარღვევთ. მაგრამ, სხვა და სხვა მოსაზრებით ვიღებთ ამა თუ იმ მოქმედებას, რომელიც ამ პრინციპიალურ ძირითად მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება. განა სადმე, როდესმე ჩვენ მოქმედებას დაგვირღვევს ის, რომ ყველა ერმა ილაპარაკოს თავის ენაზე, ეს ჩვენთვის არის პრინციპიალური მოსაზრება. თუ ვინმე არის, რომელიც იმას უმტკიცებს, რომ არ შეიძლება ერთმა წარმომადგენელმა ილაპარაკოს თავის დედა ენაზე, ეს პრინციპიალური მოსაზრება არის. მაგრამ, თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ვინც გამოვა აქ, ეროვნულ საბჭოს წინაშე სხვა ერის წარმომადგენელი, და ილაპარაკებს თავის დედა-ენაზე, ის დამღრვევი იქნება იმ პრინციპისო,- -იმ ნამდვილი პრინციპის ის, ვინც წარმოსდგება და დაამტკიცებს რომ თავის დედა-ენაზე ლაპარაკით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობას შეუშლის ხელს, და დაარღვევს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას—ეს ლიტონი სიტყვა იქნება. მაშასადამე ეს მიღებულია, და ჩვენ ამას ვამტკიცებთ: ვის რას დაუშლის, რომ იყოს ამ-ენაზე წარმოთქმული აზრი, და გასაგებათ საბჭოსთვის ეს სიტყვა გადათარგმნილი. მაშასადამე, ეს არის დაცვა იმ პრინციპისა, ეს არის დაცვა საქმიანობის, ეს არის დაცვა უმცირესობის უფლებისა. და ამ პრინციპს ჩვენ ვერ გადავლახავთ.

ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ აქ იყო ნათქვამი, და ვავიმეორებ, რომ ეროვნული საბჭო არის დემოკრატიული დაწესებულება დემოკრატიულ რესპუბლიკისა. და თუ თქვენ გინდათ იქონიოთ აქ წარმომადგენელი ამ ერთა უმცირესობისა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სწორედ ეს ერები გამოგზავნიან თავის დემოკრატიულ ნაწილის წარმომადგენლებს (ხმა ეროვნ. დემოკრ. სკამებიდან „ალბათ ტარხანოვს და თუმანოვს") აქამდის ისინი, ტარხანოვი და თუმანდვი იყვნენ სწორედ რომ დემოკრატიის წარომადგენელები. ჩვენ არ ვიცით ვერ მოქცემთ სიტყვას, თუ როგორ აასრულებენ ისინი თავის თანამდებობას. ოფიციალურად კი ჩვენ ვიცით, რომ თარხანოვი არის სწორედ წარმომადგენელი დემოკრატიისა და არა არისტოკრატიისა და ბურჟუაზიისა. ის, რაც იყო თქვენთვის თურმე დიმამტკიცებელი საბუთი არ არის. უნდა მოგახსენოთ, რომ პიროვნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ თარხანოვი არ ეგუება ამ მოთხოვნილებას, ეს ამის დამამტკიცებელი არ არის, რომ ერის წარმომადგენელი. დემოკრატიამ არ უნდა გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი• დიაღ, სწორედ იმათ უნდა გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელნი თავიანთ ერის სულისკვეთებისა. რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატია გამოგზავნის თავის წარმომადგენელს, რომელმაც მარტივად იცის მშობლური ენა. თქვენ უნდა მისცეთ უფლება თავის სამშობლო ენაზე ლაპარაკისა, რომ თქვენს წინაშე გადაშალოს ის, რაც შეადგენს მის ერის მოთხოვნილებას ამისდამიხედვით მოგახსენეთ—სწორედ ეს. მეორე, არის პრინციპიალური და პრაქტიკული მოსაზრება, რომ მისცეთ თქვენ საშუალება ამ ერთა უმცირესობის წარმომადგენელთ თავის აასაგებ ენაზე გადაშალონ თქვენ წინაშე რაც სურთ. ამ მოსაზრებით, ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ თქვენ არ დგახართ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. თქვენ პირდაპირ მოითხოვთ ძალით, რომ იმათ ქართული ენა იცოდნენ. რის უფლებით, რის ძალით მოითხოვთ ამას? თქვენ ამას მოითხოვს იმ ძალით, რომ უფლება ამ შემთხვევაში, თქვენ ხელშია, შეგიძლიანთ რომ მოითხოვოთ. ჩვენ კი არასდროს არ მივმართავთ ამისთანა ძალას, რადგანაც მათ ვაძლევთ საშუალებას ილაპარაკონ თავიანთ ენაზე. მაგრამ ისინი იმდენად შეგნებულნი არიან, იმდენათ ესმით მოთხოვნილება ქართველი ერის, ქართველი დემოკრატიის, რომ გაუწევენ მას ანგარიშს და სცნობენ სახელმწიფო ენათ, სწორედ ქართულ ენას, და მე მგონია, რადგანაც ეს ენა მისთვის იქნება გასაგები, ამით ჩაეყრება საძირკველი იმ სახელმწიფოს, რომლის ნიადაგზე ჩვენ ვდგევართ. და მე მგონია, ამ შემთხვევაში უთანხმოება არ იქნება ამ მოსაზრებით. ჩვენ მხარს უჭერთ ამ კანონპროექტს მხოლოდ შემდეგი შესწორებით: „რომ მე-3 მუხლი, რომელიც არის გამონაკლისი, უნდა დარჩეს, როგორც შენიშვნა 2 მუხლისა, და არა ცალკე მუხლად კანონისა,

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს შალვა ქორუმეულ.

შალვა ქორუმეული (დ. ერ. დ.) ბატონებო, სურვილი მაქვს ერთი მოსაზრება დავუმატო იმას, რაც ბრძანეს ი. კედიამ და დ. ჩიქოვანმა. მათ უყურადღებოთ დასტოვეს ერთი მოტივი, რომელსაც ბ-ნი მომხსენებელი მთავარ მოტივათ სთვლის თავის აზრის დაცვაში. ეს გახლავთ მოტივი დემოკრატიული. ჩვენ ხანაში დემოკრატიული პარლამენტი ამ მოსაზრებას გვერდს ვერ აუხვევს. მეც სწორედ ამ დემოკრატიულ თვალსაზრისით მინდა ლაპარაკი კანონ-პროეკტზე. თუ დემოკრატიზმათ ცხოვრების ცოცხალ კარნახს ვაღიარებთ და არა იაფბროშურებიდამ ამოკითხულ ლოზუნგებს, მაშინ ამ დემოკრატიზმმა მხოლოდ ერთი რამ უნდა გვითხრას, სახელდობრ ის, რომ ამ პარლამენტში ამ დემოკრატიზმის დაცვისათვის ქართული ენა უნდა მეფობდეს. უნდა მეფობდეს ქართული ენა იმიტომ, რომ ის გახლავთ ერთათ ერთი ენა გასაგები ყველა, საქართველოს მოქალაქესათვის, საქართველოს დემოკრატიისათვის, მეტათ მცირეოდენის გამონაკლისით. ჩვენ ხომ უნდა ვზრუნავდეთ მხოლოთ მათთვის, ვინც ჩვენთან იქნებიან, ჩვენ, უნდა გაუწიოთ ანგარიში უმცირესობათა იმ ნაწილს, რომელიც გახდება საქართველოს ქვეშევრდომი, იცნობს მის სუვერენობას და დაიკისრებს ყველა მოქალაქობრივ მოვალეობას. ასეთს ნაწილის უმცირესობათა ერებისა საქართველო დიდი ხანია იცნობს; ჩვენ მათთან სახელმწიფო—საზოგადოებრივ—მუშაობაში დიდი ხანია საერთო ენა გამოგვინახავს. ეს ენა, ბატონებო, ქართული ენა იყო და არის. დღესაც, მოგეხსენებათ თელაველ, გორელ და ახალგორელ სომეხს სამუშაო, ვიხმარ მომხსენებლის ტერმინს, ყოველდღიურ ენათ ქართული ენა აქვთ. ჩვენ არავისი წყენა არ გვინდა და გავბედავთ მოგახსენოთ, რომ სხვა ენა მათ არც იციან. გადარჩენებით დიდ უმრავლეს შემთხვევაში ასეთ ყოფაში გახლანან ჩვენში შემოსახლებული როგორც სომხობა ისე სხვები. ისეთს ძლიერს ფაქტორსაც კი, როგორც არის რელიგიოზური ფაქტორი, ოდნავათაც ვერ შეუსუსტებია დღემდის ეს მოვლენა. ცნობილია რომ მაგ. გორელი მკვიდრი სომხობა მოძღვრებს ლოცვას, მამაო-ჩვენოს, ქართულად ათქმევინებენ, რადგან სომხურ ენაზე წირვა ლოცვიდან არაფერი ესმით და ამგვარად იკმაყოფილებენ სულიერ მოთხოვნილებას. აი ამ ქართულ ენაზე მოსაუბრე ხალხის წარმომადგენელს მოელის ჩვენი ეროვნული საბჭო. ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ ეს ხალხი სულმუდამ შესძლებს გამონახოს თავის წარმომადგენელათ პირი ღირსეული და მასთან დაახლოებული და მაშასადამე მცოდნე იმ ენისა, რომელზედაც თვით ამომრჩეველი ლაპარაკობს, მცოდნე ქართულისა. ჩვენ გვგონია ნამდვილი, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი სწორედ ასე აყენებს საკითხს და არა ისე, როგორც ეს ბ. მომხსენებელს და განსაკუთრებით ჩემ წინა მოლაპარაკეს ბ. ი. ბარათაშვილს წარმოუდგენიათ. უკანასკნელის დემოკრატიზმი უფრო „Трудовое знамя"-ს დემოკრატიზმს წაგავს. განყენებულ, ბოროტათ ნახმარ პრინციპებს ჩვენ ვერ შევწირავთ ვერც უმცირესობათა ნამდვილ ინტერესებს, ვერც საქართველოს უმაღლეს დაწესებულების ღირსებას შევალახვინებთ. ბ-ნებო, სახელმწიფო საოდომინდორი არ არის, რომ ყველამ შიგ ინავარდოს! თუ რამდენიმე ინტელიგენტმა სომეხმა ან სხვამ, რომელთაც ჯერ არ უცნიათ ჩვენი დამოუკიდებლობა და დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მომავალშიც იცნონ იგი, არ იციან ენა ამომრჩეველებისა და მათ წარმომადგენლობას კი კისრულობ-

ბენ, მხოლოდ იმიტომ, რომ „რევოლუციონური“ სტაჟი აქვთ გავლილი, როგორც ბძანებს ბ. ბარათაშვილი, ეს, ბატონებო, ანორმალური მოვლენა გახლავთ, რომელსაც უნდა ებრძოდეს ყველა დემოკრატი და ვერავითარი რევოლუციონური წარსული მას ვერ გაამართლებს. ერთი უმთავრესი და უძვირფასესი მოვლენა დემოკრატიულ პარლამენტრულ წესისა ის გახლავთ, რომ ამომრჩეველისა და ამორჩეულის შორის უხილავი, ცოცხალი კავშირი სუფევდეს. ამომრჩეველს უნდა ესმოდეს თავისი დეპუტატის ნათქვამი, ჰქონდეს საშუალება მუდმივი კანტროლისა და აი, ჩვენო დიდო დემოკრატებო, რა მდგომარეობაში აყენებთ, თქვენ კარალელ, რუსელ და მათთან ერთათ უმცირესობათა დიდს უმრავლესობასა, რომელნიც ვერაფერს გაიგებენ, თუ მათი წარმომადგენელი დაიწყებს ლაპარაკს აქ მათთვის გაუგებარ ენაზე? რათ ართმევთ ამ ხალხს კანტროლის უფლებას, უფლებას ურომლისოდაც თქვენი დემოკრატიზმი მხოლოთ ფუჭი სიტყვაა?

საქართველოს დღევანდელი ვითარება ჩვენ ერთ დიდ ბედნიერებას გვაძლევს ხელში. ეს ბედნიერება საქართველოს მოქალაქეთა ერთ-ენობა გახლავთ. ბევრი დაწინაურებული დემოკრატიზმის ქვეყნებიც კი შენატრიან ასეთ მდგომარეობას. სახელმწიფო ენის გაუგებრობა სახელმწიფოში სულ მუდამ უკეთესმართი, განვითარებისა და წინმსვლელობის შემბორკავი მოვლენა ყოფილა. ცხოვრება და ჩვენი სინამდვილე ხელს გვიხსნის ასეთ შემბორკავი მოვლენიდამ და თქვენ, ბატონებო ნუ ინებებთ ხუნდების გაყრას.

ასეთი დადებითი დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მოვლენა ცხოველდება ძლიერი ისტორიული ტრადიციით. იშვიათის, უმაგალითო კეთილშობილებით და პატივისცემით იყო აღვსილი ერი უმცირესობათა მიმართ და ასეთ მაღალ კაცობრიულ ატმოსფერაში მან გამოსჭედა ძვირფასი საერთო ყველა საქართველოს მოქალაქეთათვის განძი—ჩვენი ენა. ქართული ენა არ გახლდათ მარტო სახელმწიფო დაწესებულებათა ენა, არამედ იგი იყო ენა საერთო. ამ ენაზე მარტო მეფენი კი არი კანონმდებლობდენ და სცემდენ სამმართველო გუკრებს, არამედ ამ ენაზე ლხინობდა და გლოვობდა ყველა მოქალაქე. თქვენ გინახავთ სომეხთ საფლავნი ქართული ლექს წარწერით და გაგიგონიათ მათი სალხინო ზეიმიც. ამ ენით ყველასაგან იწერებოდა სამეფო და სახელმწიფო ხოტბა და ამ ენით სომეხთ საზანდართა მოძახილით ვტიროდით გვირგვინის გატეხვას და პოლიტიკურ თვითმეფობის დაკარგვას. ეს ენა ადუღებდა ერთათ მაშინ მეტად ძლიერი რელიგიოზურს სხვა სხვაობას და დღესაც მან უნდა ჩააკიროს საქართველოს მთლიანობა, შეაღუღოს მისი შემადგენელი ნაწილები. ასეთის თანხმობით შეყრილან პრინციპი დემოკრატიული და პრინციპი სახელმწიფოებრივი. ნუ ინებებთ მათ გაყრას! შემოიღეთ ის, რასაც თხოულობს ცხოვრება დემოსისა, ისტორია და სახელმწიფოებრივი ინტერესი.

აქვს კიდევ ერთი მხარე თქვენ მიერ წარმოდგენილ პროექტს, რომელზედაც სიჩუმე არ შეიძლება. ეს მხარე უფრო პრაქტიკული, ტექნიკური ხასიათისა გახლავთ. თქვენ აალაპარაკოთ უმცირესობათა წარმომადგენელი იმ ენაზე, რომელიც ვერ გაიგებს - ვერც ჩვენი პრეზიდიუმი, ვერც ჩვენი საბჭოს წევრნი. თქვენ წარმოდგენილი გაქვთ რა „ბაბილონიადას“ და უხერხულობას ჰქმნით! თქვენ გრძნობთ ამას და ან-

ღვთ რა სიტყვის წარმოთქმის უფლებას-ესპობთ მას, რაც ლოგიკურად უნდა მოჰყვეს ამ უფლებას—საქმის წარმოება მათთვის მაინც-რომ ... ენაზედაც ილაპარაკებენ. ნება მიბოძეთ ამ მოვლენას თავისი საკუთარი სახელი ვუნოდო. ეს გახლავთ უაზრო და ულოგიკო კომპრომისი და კომპრომისი ნამდვილი „მენშევიკური“ სახისა. მაგრამ, ბატონებო, ამგვარი კომპრომისი შეიძლება თქვენ სადმე გამოგადგეთ ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი იქნება თუ თქვენი პარტიულ-სოციალისტური სიბჭოები, მაგრამ შეიმქენით, რომ საკანონმდებლო უზენაესი დაწესებულება გახლავთ სრულიად საქართველოსი და ასეთი ფანდები შორს დაიჭირეთ მისგან! აი, ბატონებო, ნამდვილი დემოკრატიული მოსაზრება, ისტორია და ტექნიკა საპარლამენტო მუშაობისა, ჩვენ გვავალებს მხარი დაუჭიროთ შესწორებას. შემოტანილს აქ წინააღმდეგ უმრავლესობის აზრისა, რომელიც აძლევს ქართულ ენას ამ პარლამენტში იმ ადგილს რომელიც უნდა ეჭიროს მას ყველა აქ ჩამოთვლილ თვალსაზრისის მიხედვით.

ბავდე საყვარელიძე. (ალიონელი).

ბატონებო! ეს საკითხი არის უდიდესი საკითხი საზოგადოდ ევროპიულ ეროვნების საკითხის გადაწყვეტაში, ეროვნულ სფეროში ეს ძალიან დიდი საკითხია. ამიტომ აგიტაცია და რაღაც შეურაცყოფა სრულიად ზედმეტია. უნდა მივცეთ გადაჭრილი პასუხი რეალურ საჭიროებას, როგორც შეიძლება. მე მოგახსენებთ—მე წევრი გახლავართ საკონსტიტუციო კომისიისა და ცოტა არ იყოს სხვა შეხედულებისა ვიყავი ამ საგანზე, ვინემ საერთო ფორმულას მიიღებდით. მოგახსენებთ რაშია საქმე; რაშია განსხვავება, მაგრამ ორიოდე სიტყვას ვიტყვი საერთო კამათის შესახებ. უპირველესად ყოვლისა, უნდა ვაღიარო დემოკრატიული შეხედულება ყოველ ევროპიულ ქვეყნისა, და უკანასკნელად გერმანიის დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლების კაუცკის შეხედულებით ეს არის ნატანჯი განცდა, ამის დასკვნა არის, რომ საუკეთესო წყობილება, საუკეთესო პარლამენტი, საუკეთესო დემოკრატიული ურთიერთობა იქ არის, სადაც ერთად ერთი ერი არის, სადაც ერთად ერთი სახელმწიფოებრივი ენა არის. მაშინ ცხოვრების ასეთ პირობებში დემოკრატიზმი ვითარდება, სოციალისტური წესწყობილება საუკეთესოდ მზადდება, და ამგვარად დამცველი ამ დემოკრატიისა არის ნამდვილი დამცველი ევროპიულ დემოკრატიისა და ჩვენი დემოკრატიისა. ეს დაცვა არის უდიდესი შეძენა ჩვენ ბრძოლის პროცესში. რა არის ეს? უკეთესია დემოკრატიისთვის, რომ მართლა ერთ ენაზე ილაპარაკოს, იმ მოსაზრებით რომ აუცილებლად ხალხის უფლება ამას თხოულობს; ნამდვილი ხალხის ინტერესი და გათვითცნობიერება ამას თხოულობს იმიტომ რომ ხალხის ინდერესი აუცილებლად მოითხოვს იყოს ერთ ენოვანი პარლამენტი. ერთ ტერიტორიაზე ერთი სახელმწიფო, ერთი ენა, ერთი ერი ეს არის საერთო დებულება. მე მოგახსენებთ ამ საერთო დებულებაზე, გადავდივარ და ვაღიარებ, რომ საქართველო არ ჰგავს ფედერაციულ წყობილებას, ფედერატიულ სახელმწიფოს; ფედერაცია არის თანასწორ ერთა კავშირი. შვეიცარია არის სამ ენოვანი, სამი სახელმწიფო, სამი ეროვნული, სამი ოფიციალური კონსტიტუცია. ამავე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ შვეიცარიაში არის კიდევ სხვა ენა, რომელიც იბრძვის, რომ გახდეს მეოთხე სახელმწიფოებრივ ენათ. შვეიცარიის დემოკრატია ამ სახელმწიფო უფლებას არ აძლევს. რატომ

იცით? ეს იმიტომ, რომ ეს ენა, რომელიც თხოულობს გახდეს მეოთხე სახელმწიფოებრივ ენათ, ეს არის ერთი პატარა კანტონის გრიზონის ენა. ამავე დროს შვეიცარიაში არის ბრძოლა ენათა ბების შესახებ. მაგრამ ყველა ენას უფლება არ აქვს ფედერა ტიულ სფეროში; იქ აქვს სახელმწიფოებრივი უფლება სამ ენას, ეს არის ჩვენი პასუხი ბ. ბარათაშვილის სიტყვაზე. ბ. ბარათაშვ. არგუმენტაციაა, რომ უმცირესობის ინტერესები თხოულობს მივცეთ უფლება ლაპარაკის თავიანთ ენაზე პარლამენტშიო. ეს შეცდომა არის, ამიტომ არის შეცდომა, რომ გართულება საკითხისა, მრავალ ენიანობის შექმნა აზარალებს თითონ დემოკრატიას. ამ გვარად ჩვენი პრინციპია, რაც შეიძლება ნაკლები ენა იქნეს პარლამენტში, რომ პარლამენტი იყოს ერთ ენიანი. შვეიცარიის მაგალითი არ არის ამ შემთხვევაში გამოსადეგი, იმიტომ რომ იქ არის ფედერაცია, ჩვენ კი უნიტარული სახელმწიფო ვართ. მაშასადამე ჩვენი ენა უნდა იყოს ოფიციალურად ქართული ენა.

ჩვენი რესპუბლიკა არის საქართველოს რესპუბლიკა. ამაზე დავა მე მგონია არ არის, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც საერთო კომპრომისის გზას გვირჩევს. ეს ის არის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არიან უმცირესობანი, რომელთა წარმომადგენლებმა არ იციან ქართული ენა, თუ კი თქვენ უკვე ერთ კანონში დაუშვით მათი წარმომადგენლობა, მე მგონია, რომ აქ უნდა გასცეთ პასუხი. რო მოვლენ, რას ეტყვით? როგორ მოექცევით? ეტყვით, გაბრძანდით გარეთ აქედანაო? მაშინ რაზედ იწვენდით მათ? ამაშია საქმე.

მე მაკვირვებს, ზოგიერთი ორატორი, რომელნიც მაშინ ამ კანონს იცავდენ, დღეს გამოდიან და იბრძვიან ამ უმცირესობის უფლების წინააღმდეგ. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ რესპუბლიკას აქვს ოფიციალური სახელმწიფო ენა, ნამდვილი სახელმწიფოებრივი ენა, ქართული ენა.

მაგრამ, მე გეკითხებით თქვენ, ყველა მიმართულების, ყველა ფრაქციის წარმომადგენლებს, თქვენ არ სთვლიდით, თანახმანი არ გახდით აფხაზეთში რუსულ ენის დროებითი ხმარებისა? თქვენ თანახმა არ გახდით, რომ რუსული ენა ზოგიერთ დაწესებულებაში ყოფილიყო ჯერ კიდევ? (ხმა — „ცენტრალურში") დიახ, ცენტრალურში. ოფიციალურ სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში. ჯერ-ჯერობით კიდევ გარდამავალ ხანაში დაუშვით რუსული ენა, იმიტომ, კი არა რომ იმას იდეალათ ვთვლიდით, არა იმიტომ, რომ ეს აუცილებელიატეხნიკურათ. ჩვენ გამზადებთ პირობებს ნაციანალიზაციისათვის, და თავის თავათ ხდება გაეროვნება, თავის თავათ ხდება ნაციონალიზაცია. ჩვენ ოფიციალურათ ვიღწვით იმ იდეალისათვის, რომ საქართველოში ოფიციალური ქართული ენა იქნეს ყველა დაწესებულებაში, და არავითარი ასეთ გვარ კომპრომისს ადგილი არ ქონდეს. მეორე მხრივ პარლამენტში რა ხდება? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ოფიციალური ენა არის ქართული ენა, ამ ენაზე არის კანონმდებლობა შემუ-

შავება, ესე ვთქვათ წარმოება საქმისა ხდება ქართულ ენაზე. ძნიერთ ჩვენ უნდა ვალიაროთ, თავს ნუ ვატყუებთ, ნუ ვიტყვით, რომ უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა მივცეთ ისეთივე უფლება, რაც ჩვენ გვაქვს. ეს არ შეიძლება, და არც ხდება. ჩვენ არ ვაძლევთ უფლებას რომ ისინი თავიანთ ენაზე კანონებს აწარმოებდენ. განმარტების, ან „პაბრავკების“ შემოტანა იმათ თავიანთ ენაზე არ შეუძლიანთ; ან რუსულ, ან სომხურ ენაზე კანონები იყოს დასმული, კენჭი ეყაროს კანონს — ამის ნებას ჩვენ არ გაძლევთ. კენჭის ყრა და მთელი წარმოება, კანონმდებლობა ხდება ქართულ ენაზე. რას ვაძლევთ ჩვენ. ერთ კომპრომისს ვშვრებით. მას ჩვენ იმის უფლებას ვაძლევთ, რომ მათ ექნება უფლება თავის დედა ენაზე სიტყვა წარმოსთქვან. ჩვენ არ გვავალებს, რომ მათი განმარტებანი თავიანთ ენაზე მივიღოთ, ეს არ გვავალებს, რომ მათ კანონები პირდა პირ თავიანთ ენაზე განმარტონ, და ჩვენ განვიხილოთ და კენჭი უყაროთ. თარგმანი არ შეიძლება. მე პირდაპირ შეუძლებლად მიმაჩნია რომ ოფიციალური თარგმანი იყოს. მაშასადამე, ეს არის ერთგვარი დეკლარაცია ოფიციალური მათი მთელი უფლებისა.

ბატონებო! საქმე იმაში კი არ არის, რომ ქართულათ ილაპარაკონ. ბერძნებს და ოსებს, როგორ მოსთხოვთ რომ ყველამ იცოდენ ქართული ენა. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ გვისწავლია ქართული ენა ბავშობიდან, ბევრნი არიან მაინც რომ ქართული დავიწყებული აქვთ. მით უმეტეს დღეს, ამ გარდამავალ ხანაში შეგვიძლიან დაუშვათ დროებით, რომ უმცირესობის წარმომადგენლები დედა-ენაზე ლაპარაკობდნენ. განსხვავება ჩემი და კომისიის წინადადების შორის არის ის, რომ მე დამატებად ვთვლი შემდეგ წინადადებას: საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებმა, სიტყვა უნდა წარმოსთქვან ქართულათ. მაგრამ, სახელმწიფოებრივი ენის, ქართული ენის, უცოდინარობის გამო, დროებით ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს ეძლევათ ნება სიტყვა წარმოსთქვან თავის ენაზე.

ბატონი იოსებ ბარათაშვილი აკანონებს თითქოს ყოველთვის, როდესაც იქნება პარლამენტი, ყოველთვის იქნებიან უმცირესობანი, პარლამენტში მათ მიეცემათ ნება ილაპარაკონ თავის დედა-ენაზე. მე ვაცხადებ, რომ ეს არ არის მართალი; არც დემოკრატია, არც სახელმწიფოებრივი ინტერესები ამას არ მოითხოვენ. თუ ვალიარებთ ამ კომპრომისს, ეს იმიტომ რომ სხვა გამოსავალი არ არის. ან უნდა ის უარყოფილი იყოს სრულიათ, ან და ერთა უმცირესობას წარმომადგენლები იყვნენ არჩეული ქართულ ენის მცოდნენი; მაგრამ, იტყვიან-არ არის მცოდნე ქართული ენისა. პოლიტიკურ მოღვაწეთა შორისო.

ჩვენ ვიცით რომ, დღეს ყოველი სომეხი, ყოველი რუსი, რომელიც სცხოვრობენ საქართველოში, დღეს ყველა სწავლობს ქართულ ენას. მე ვიცნობ ინჟენერებს, რომელნიც უკვე სწაულობენ ქართულ ენას, და ორი თვის განმავლობაში შეისწავლეს ქართული ენა იმდენათ, რომ უკვე კითხულობენ გაზეთს. ჩვენ ვაიძულებთ მათ, უმცირესობის ერების წარმომადგენლებს რომ, აღრე თუ გვიან დაადგენ ამ გზას, და თუ დღეს არ იციან სიტყვის წარმოთქმა ქართულ, სახელმწიფოებრივ ენაზე, როცა ეცოდინებათ მათ ქართული ენა

ქართულათ წარმოსთქვან სიტყვა, მაშასადამე, ჩემი წინადადება არის კომპრომისული და არა პრინციპიალური. მე პრინციპათ არასოდეს [illegible] გავჯდი იმას, რომ სოციმლისტურ შეხედულებით, უმცირესობის მომადგენლებს უფლება ჰქონდედ თავის ენაზე ილაპარაკონ პარლამენტში. ეს არ არის სოციალისტური შეხედულობა. მეორე მხრივ, არ ყოფილა იმის თანახმა არც ერთი პარლამენტი. და არც ერთი პარლამენტი არ არის, რომ უმცირესობას არ ქონდეთ უფლება ილაპარაკონ თავის ენაზე. ჩვენ ვიცით, მაგალითად, ავსტრიის პარლამენტი; აქ ყველა ერთა უმცირესობის წარმომადგენლებს აქვთ უფლება ილაპარაკონ თავის ენაზე. (ხმა: „ძალიან მაგალითია"). არ არის კარგი მაგალითი? არც ჩემი იდეალი გახლავთ ავსტრიის პარლამენტი... (ხმა — „იტალიის?).

იტალიის პარლამენტი თითქმის იდეალური პარლამენტია. ერთერთიანი პარლამენტია. ნამდვილი სახელმწიფო ენა არის იტალიური ენა. მიუხედავათ ამისა, დეპუტატებს ნება აქვთ ფრანგულ ენაზე ილაპარაკონ. და იმით, სრულიათ არ ბრკოლდება სახელმწიფოებრივი ენა, იტალიური ნეა. ამ გვარათ, მე ვამბობ, ჩვენ იძულებული ვართ დროებით დაუშვათ ეს კომპრომისი, სანამ ქართული ენა არ არის გავრცელებული ამ უმცირესობათა შორის. და ამიტომ, ჩვენ მათ ვერ მოვთხოვთ რომ ყველამ ქართული ენა იცოდნენ.

ამიტომ, ჩემი კომპრომისული წინადადება, ჩემი დამატებითი წინადადება არის შემდეგი:—სახელმწიფოებრივ ენის უცოდინარეობი გამო, მათ შეუძლიან წარმოსთქვან სიტყვა თავიან ენაზე. სიტყვა წარმოსთქვან მარტო. და არა მიწერ მოწერა, და არა კანონპროექტის წარმოდგენა.

რაც შეეხება, ბატონებო, იმ მოსაზრებას რომ, ვითომ, აბსტრუქციას გააკეთებენ ისინიო, მე მგონია, სწორეთ ისინი არ იზამენ ამას. ეს უფლების დეკლარაცია იქნება, და ყველა მოინდომებს, რომ ქართულათ წარმოსთქვას სიტყვა. იმათ, უსათუოთ, ეცოდინებათ ის დადგენილება და აუცილებლათ, გამოგზავნიან, მომავალში მაინც, ისეთ დეპუტატებს, რომლებსაც ქართული ენა ეცოდინებათ. მე მგონია, რომ ადრე გადაგვეწყვიტა ეს საკითხი,—სომხები იმ გვარ პირებს აირჩევდნენ რომელნიც შეეფეროდნენ ჩვენ სახელმწიფოებრივ შეხედულობას. რაც შეეხება იმ შეხედულობას, ვითომ ჩვენ ობსტრუქციის გზას ხელს შეუწყობთ, ეს არ იქნება და პირველ ყოვლისა ოსები ქართულ ენაზე ილაპარაკებენ. ქართველი ებრაელებიც ილაპარაკებენ ქართულ ენაზე. ეს აუცილებელია, და თუ გამოგზავნიდნენ უწინ ქართულის არა მცოდნეს, მე მგონია, ვხლა გამოგზავნიან ქართულ ენის მცოდნეს. (ხმაურობა). მოითმინეთ, და რაც შეეხება სომხებს,—სომხებში ბევრმა იციან ქართული. მაგრამ, ბევრმა არ იციან. ვინც არ იცის,—არ ილაპარაკებს, თუ არ ილაპარაკებს, ჩვენი სახელმწიფო არ დაირღვევა. ჩვენი სახელმწიფო ლაპარაკით არ დაირღვევა.

ბატონი სპირიდონ კედია ამბობს სხვის გულისთქმას, სხვის სიტყვას, ყურადღება არ უნდა მივაქციოთო. ეს სხვა კი არ არის, ისინი ჩვენი მოქალაქენი არიან. და თუ ისინი თხოულობენ ჩვენგან უფლებას, ჩვენ ვალდებულნი ვართ პასუხი ვაგოთ, ვინაიდან ისინი არიან ისეთივე მოქალაქენი, როგორც ჩვენ და თუ სხვა გზას ადგიხართ [და] თქვენ განდევნის პოლიტიკას აწარმოებთ, მაშინ უნდა განდევნოთ და გადავარ-

ჩინოთ მარტო ქართველები. თუ ეს არ არის, მაშინ აუცილებელია სწორეთ უნდა დაუშვათ ერთგვარი კომპრომისი.

რეზიუმეს გავაკეთებ. სწორეთ სახელმწიფოს თვალსაზრისით უნდა დაუშვათ ერთგვარი კომპრომისი, ვინაიდან ჩვენ ვერ მოვთხოვთ ყველა ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს ქართული ენის ცოდნას. ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ კომპრომისი. ქართული ენის უცოდინარობის გამო, ჩვენ მათ ვაძლევთ ნებას სიტყვა წარმოსთქვან თავის დედა-ენაზე. ესე კომისიაში იყო ნათქვამი. ზოგი ამბობდა, სად იქნება ისეთი საშუალება, რომ გავიგოთ — იცის თუ არა დეპუტატმა ქართული ენა. და როდესაც დეპუტატი საკანონმდებლო წინადადების შემოტანას მოინდომებს — მან უნდა შემოიტანოს ის ქართულ ენაზე. ჩვენ ვაიძულებთ, რომ მაშინ კანონმდებლობის მუშაობა იყოს მარტო ქართულ ენაზე. ყველა დეპუტატი, რომელსაც, მაგალითათ შემოაქვს საკანონმდებლო წინადადება ქართულ ენაზე, სწორეთ ისეთი დეპუტატი ქართულათ ილაპარაკებს. ყველა ის დეპუტატი, რომელიც ქართულ ენაზე შეიტანს რომელიმე წინადადებას, ქართულ ენაზე მიართმევს პრეზიდიუმს, ვალდებულია ქართულათ ილაპარაკოს. ამ გვარათ, ეს ერთგვარი საშუალება, ერთგვარი ფაქტორი იქნება ჩვენს ხელში, როდესაც ვაიძულებთ ყველა უმცირესობათა წარმომადგენლებს, ვინც კი იცის ქართული ენა, ილაპარაკოს ქართულათ. ეს არის ერთათ ერთი გამოსავალი. მე ეს არ მაკმაყოფილებს.

მაგრამ, მე გეკითხებით: იდეალურ ფორმაში ვითარდება ჩვენი რესპუბლიკა? არა. არა იდეალურ ფორმაში ვითარდება ჩვენი რესპუბლიკა და სწორედ ამ გზას ურჩევ საბჭოს, რომ სწორედ ასეთი კომპრომისული გზა მიიღოს. ჩემი წინადადებაა — საბჭომ მიიღოს ეს დებულება, დამატება:

„სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო, შეიძლება ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებმა წარმოსთქვან სიტყვა თავის დედა ენაზე.“ ერთი გაზეთი გვირჩევს (ხმა „Борба“), რომ იყოს ორი ენა. ერთი ოფიციალური, ქართული, — მეორე რუსული. ჩემის აზრით ეს ყოვლად შეუძლებელია. ვინაიდან, თუ ვიცავთ უფლებას, უნდა დავიცათ რიგიანათ, მაგალითათ, თუ იქნება ლაპარაკი სხვა ენაზე, უნდა იყოს დედა-ენაზე. (ვეშაპელი: „თუ არც თავისი ენა იცის?“), და თუ არც თავისი ენა იციან, ისინი აქ არ ილაპარაკებენ, ისინი აქედან წავლენ, დარწმუნებული, ვარ ვინც აირჩევს თავის წარმომადგენლებს, გამოგზავნის იმისთანას ვინც დააკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნილებებს ვინც დააკმაყოფილებს ჩვენ სახელმწიფოებრივ საჭიროებას. ასეთია ჩემი წინადადება. კომისიის წინადადება არის, მაგრამ, ამ კომისიის წინადადებას უნდა მოემატოს ეს.

შ. ფაჩუაშვილი. (ს. რ.) მოქალაქენო! კანონი უმცირესობის წარმომადგენლების ჩვენს ეროვნულ საბჭოში დაშვების შესახებ ისედაც ძალიან დაგვიანდა. აქამდე ჩვენს ეროვნულ საბჭოში სხვა ერთა წარმომაგენლები არ არიან. მაშინ, როდესაც ეს საბჭო, არის საკანონმდებლო დაწესებულება, მთელი საქართველოსი აქ უნდა მონაწილეობდნენ ისინიც, რადგან აქ მუშაობა მათაც შეეხება მაგრამ ისინი აქ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ჩვენთვის, რასაკვირველია ცხადი და გასაგები იყო ის თუ, რატომ არ იყო ჩვენი ეროვნულ საბჭო სხვისთვის პოპულიარული და დიდი ავტორიტეტით მოსი-

ლი. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოღებოდა და მოეღო კიდეც ბოლო: ეროვნულმა საბჭომ მიიღო კიდეც კანონი, რომლითაც ის ბჭეობა იქნება სხვა ერების წარმომადგენლებით. მაგრამ ამას რასაც ვაკეთებთ ერთი ხელით, არ უნდა ვანგრიოთ მეორე ხელით. ეს არ იქნება კარგი და სასურველი შემოქმედება. ყველასთვის გასაგებია ის, რომ ბევრმა მოქალაქემ საქართველოში არ იცის ქართული ენა და, როგორც აქ მოგახსენებთ თითონ ქართველიც ბევრია ისეთი, რომ სავსებით გადაგვარებულნი არიან, და ქართული ლაპარაკი არ ეხერხებათ. რა უფლებით, რა საბუთით უნდა მოვთხოვოთ უცხო ერების წარმომადგენლებს, რომ მათ იცოდნენ ქართული ენა? ეს რომ გვექნა, მაშინ ხომ ორი საზომი იქნებოდა; —სხვებს მეტს მოვთხოვდით, ჩვენს კი ნაკლებს.

ჩვენი ცხოვრება ისეთი მდგომარეობაში იყო რომ გაბატონებული იყო რუსული ენა ყველა დაწესებულებებში. ყველა ცდილობდა რუსული ენის შესწავლას და არავის ჰქონდა სურვილი ქართული ენა შეესწავლა. და, როგორც ჩვენ არ გვქონდა სურვილი, ისე სხვას არ ქონდა. ჩვენ მივიღეთ რომ უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ და ცხოველი მონაწილეობა მიიღონ, მთელ ქვეყნის კანონ მდებლობაში. თავის თავად ცხადია ისინიც უნდა დაუშვათ. ისეთი უფლება უნდა მივსცეთ, რომ მათ საშუალება ქონდეს განახორციელონ ეს თავისი უფლება. თუ აუკრძალავთ, რომ მათ თავის ენაზე ილაპარაკონ მათ არ ექნებათ საშუალება მიიღონ ამ კანონ მდებლობაში. მონსწოლეობა არ ექნებათ საშუალება რომ თავის ენაზე მიმართონ თავის ერს, იმ ერს, რომელმაც თავის წარმომადგენელი გამოგზავნა, იმ ერს რომელსაც ქართული ენა არ ესმის. ეს, რასაკვირველია, ფიქციათ გადაქცეული იქნება, თუ მას ჩვენი დემოკრატიული პარლამენტი არ შეუშვებს.

აქ ლაპარაკობენ, რომ სომხებმა იციან ქართული ენა, და მაგალითებად მოჰყავს ბატონ ქარუმიძეს. გორისა და თელავის სომხები. მე არ ვიცი, არა ერთხელ წამიკითხავს იმათ გაზეთში, რომ ეს გორის სომხები სომხები არ არიან და ქართველები არიან. მაშინ როგორ შეიძლება ქართველი სომხები მოვიყვანოთ და ამ მაგალითით დავამტკიცოთ, რომ სომხებმა ქართული ენა იციან. თუ გადავავლებთ თვალს, ყველა სხვა ოლქებს, საცა სომხები არიან მაგ. ზაქათალის და ბორჩალოს მაზრას; მე დარწმუნებული ვარ, რომ ქარუმიძე მომხრე არ არის რომ ბორჩალოს მაზრა საქართველოს ტერიტორიაში არ შედიოდეს, აქ ხომ არ იციან ქართული ენა. მაშასადამე აუცილებელია რომ მათმა წარმომადგენელმა უნდა გააგებინოს მათ თავისი მისწრაფებანი და თავისი სურვილები ეს იქნება გამასხარავება მათი წარმომადგენლობისა, მათი უფლებისა.

მეორეს მხრივ აქ მიუთითეს ევროპის და შვეიცარიის მაგალითებს, როგორც საყვარელიძემ, რომ შვეიცარიაში ეს სამი ერნი თანასწორნი და თანაბარნი არიანო. ხამი სახელმწიფო ენა არის, მაგრამ არიან სხვა პატარა კანტონები, სხვა პატარა ერები, რომელნიც, მოითხოვენ, რომელთაც უნდათ რომ მათი ენა გადაიქცეს მეოთხე სახელმწიფო ენათ. მაგრამ მათ უფლებას არ აძლევენ, მე მგონია რომ ასეთი მაგალითი საყურადღებო არ არის, იმიტომ რომ, ბატონებო, მათ აქვთ თავისი კანტონის კონსტიტუცია, ავტონომია, უმთავრესი კანონმდებლობა იქ სწარმოებს და იქ მათი ენა გაბატონებული არის, თუ ეს ფედერალური საბჭო იმდენად მნიშვნელოვანი არ არის რასაკვირველია, მნიშვნელობა

აქვს მაგრამ იმდენად არა რომ მართლა ზედმეტი უხერხულობა, შეიქმნას და პატარა ერების წარმომადგენლებს მისცეს უფლება, [illegible] შეიქმნას უხერხულობა. ჩვენში კი რა მოხდება? ყველა ამტკიცებს, [illegible] საქართველო არის უნიტარული რესპუბლიკა. არ ვიცი საიდგან გამოიტანეს ეს დასკვნა; ჯერ ჩვენ არ გვაქვს ძირითადი კონსტიტუცია, ჩვენ კიდევ არ ვიცით, იქნება ჩვენი სახელმწიფო ფედერალური თუ უნიტარული, და ეს დასკვნა საიდან არის, მაგრამ ყველა ამას ამტკიცებს. ყოველ შემთხვევაში ქართული ენა სახელმწიფოებრივი ენა იქნება. მაშასადამე მათ არ ექნებათ არც ერთი დაწესებულება საკანონმდებლო, სადაც აწარმოონ კანონმდებლობას თავის ენაზე მათვის გასაგებ ენაზე, და თუ ეს უნიტარული იქნება მაშასადამე დარჩება ერთად ერთი პარლამენტი საქართველოსი და იქაც საქმის წარმოება და მთელი კამათი იქნება გაუგებარ ენაზე ამ ერების წარმომადგენლებისთვის. ეს იქნება დაჩაგვრა პატარა ერებისა და ეს ჩაგვრა ქართულ ერს არ სჩვევია, და არ ჩაუდენია მთელ თავის ისტორიის განმავლობაში. და არა როდეს არ ჩადენს, რადგანაც თავის თავზე გამოუცდია სიმწვავე ამ ჩაგრისა.

აი ამიტომ აუცილებელია რომ მცირე ერების წარმომადგენლებს ქონდეთ უფლება თავის ენაზე გამოსთქვან თავისი აზრი, საქართველოს პარლამენტში.

მაინც და მაინც არც მისაღებია ის ფრაზა, რომელიც გამოსთქვა მომხსენებელმა, რომ გაბატონებულ იქნეს ქართული ენა და სხვა აზრები კიდევ, ანდა კიდევ ის დასკვნები, რომელიც გამოიტანეს კანონ-პროექტიდან. აქ არ არის ლაპარაკი, იქნება თუ არა მთარგმნელი. კანონპროექტში არ არის ნათქვამი და ყველა თავისებურად ბჭობს და ლაპარაკობს, თუ მათ ექნებათ უფლება, რომ თავის ენაზე წარმოსთქვან სიტყვა, კამათში უნდა მიიღონ მონაწილეობა თავის ენაზე. იქნება თუ არა მთარგმნელი ეს რეგლამენტით მომავალში უნდა შემუშავდეს და ამაზე ლაპარაკი მე ზედმეტათ მიმაჩნია.

ჩვენი ფრაქცია ამ კანონ-პროექტს მხარს უჭერს—ცოტაოდენი შესწორებით, რომელსაც შემდეგ მოგახსენებთ და მოითხოვს, რომ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს ექმნეს უფლება დედა ენაზე აწარმოონ კამათი და და მიიღონ მონაწილეობა კანონმდებლობაში.

ნ. ქარცივაძე. (ალი ინელი) ბატონებო! რასაკვირველია ოსებ ბარათაშვილი მართალია, როდესაც ის ამბობს, რომ პრინციპიალურ მოსაზრებით ჩვენ ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა მივსცეთ ნება და საშუალება ილაპარაკონ თავის მშობლიურ ენაზეო. მართალია ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელი ბავლე საყვარელიძე, როდესაც ის ამბობს რომ ეს დროებითი კომპრომისია და შეიძლება აუცილებელიო. მე პრინციპიალურ მოსაზრებებზედ არ შევჩერდები, მხოლოდ ნება მიბოძეთ რამოდენიმე სიტყვა მოგახსენოთ იმ პრაკტიკულ უხერხეულობაზედ, რომელიც აუცილებლათ დაიბადება ჩვენს პარლამენტში თუ ჩვენ ეს კანონ პროექტი ასე მივიღეთ, თუ ჩვენ მართლა ეროვნულ' უმცირესობათა წარმომადგენლებს მივანიჭეთ ის უფლება, რომელიც ჩვენ გვაქვს, თუ ასე უნდა მოვიქცეთ—მართლა უფლება უნდა მივანიჭოთ და არა ის მივაწოდოთ, რაც არის ფიქცია (კედია—„მართალია") ჩვენ თითქოს უფლებას ვაძლევთ დღეს და ნამდვილათ კი არავითარ უფლებას არ ვაძლევთ და გარწმუნებთ ეს კანონ პროექტი ვერ დააკმაყოფილებს არც იმათ და არც ჩვენ. ვერ გააუმჯობესებს ვერც ჩვენ მდგომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეობას და ვერც იმ ერების მოქალაქეთა მდგომარეობას, რომელნიც ჩვენ საზღვრებში დამკვიდრებულნი არიან.

უპირველესად ყოვლისა, როდესაც საბჭო იწვევს წევრს ის უნდა იყვეს სრულ უფლებიანი წევრი. მის მუშაობა და მის მოღვაწეობა მარტო იმით არ უნდა განისაზღვრებოდეს, რომ წარმოსთქვას სიტყვა. მან უნდა იმუშაოს სხვა და სხვა კომისიებში როგორც სრულ უფლებიანმა წევრმა ჩვენი საბჭოში, მან უნდა მიიღოს მონაწილეობა სამხედრო საფინანსო და სხვა კომისიებში და თუ ჩვენ ამ პრინციპს მივიღებთ, აქაც უნდა მივცეთ საშუალება სიტყვის წარმოთქმისა.

მე მგონია, ბატონებო, რომ არის ერთი ფორმალური ლოგიკა და მეორე კი ლოგიკა ცხოვრებისა და ხშირათ ცხოვრების ლოგიკა ფორმალურზედ უფრო ძლიერია. ერთათ ერთი შედეგი იმ წესისა, რომელიც თქვენ მიიღეთ—კომისიის მუშაობაში, იქნება არა ის, რომელიც თქვენ გსურთ,—არამედ ისე, რომ ქართულ ენას სრულიათ განდევნით ყველა კომისიიდან ამას მე ვამტკიცებ,—თუ ამას თქვენ მიიღებთ, თქვენ დაინახავთ, რომ ეს ასე იქნება (მარჯვენა მხრიდგან ხმა: „მართალია.") ბატონებო! თქვენ აძლევთ უფლებას წარმოსთქვას სიტყვა რამოდენიმე ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს, მაგრამ ამასთანავე თქვენ უსპობთ მას ყოველგვარ საშუალებას. სიტყვა რომ წარმოსთქვას უნდა იცოდეს, რას ლაპარაკობენ სხვები, მე გამოვდივარ, ამ ტრიბუნაზედ ვლაპარაკობთ ქართულ ენაზე, იმან მე უნდა მაპასუხოს—რას მიპასუხებს, თუ ამას არ ესმის ჩემი ნათქვამი. ერთი მითხარით, განა ეს უფლება, არის, განა ამით სრულ უფლებას ვაძლევთ? მე კი გეუბნებით ცხოვრების ლოგიკა გვეუბნება, თუ ჩვენ მივიღეთ ეს კანონპროექტი, ერთი შესწორება კიდევ უნდა შევიტანოთ ეს იქნება აუცილებელი, რომ გვყვანდეს თარჯიმანი. ჩვენ დაგვჭირდება შვიდი თარჯიმანი. რად გარდიქცევა ჩვენი პარლამენტი, მე მგონია თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ.

მართალია ავსტრიის პარლამენტში ყველა ლაპარაკობს თავის მშობლიურ ენაზე, მაგრამ თუ ავსტროუნგრეთი დაისახეთ იდეალათ, შეიძლება იძულებითი იდეალათ, უნდა შეურიგდეთ ყველა იმ მოვლენებს, რომელთაც აქვთ ადგილი ავსტროუნგრეთის პარლამენტში,—აი იმ დაუსრულებელ აბსტრუქციებს და უსაქმობას, რომელნიც იწვევენ სახელმწიფოებრივი კრიზისებს. ბატონებო, მე არ მოგაწყენთ თავს. ან მიეცით მართლა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ისეთი უფლება რომლითაც ისინი ისარგებლებენ, თუ არა და ნუ აძლევთ ამ უფლებას და შემოიღეთ მარტო ერთი ენა, სხვა ნაირათ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება,—ან უნდა იყოს ქართული ენა და თუ არ შეიძლება ქართული ენა, ისევ უნდა იყოს ის ენა, რომელიც ყველასთვის გასაგებია ცხოვრებაში. ამ ალტერნატივს გისვამთ. შეიძლება თქვენ სხვანაირათ გადაწყვიტოთ, მაგრამ შეიძლება კორეკტივი ცხოვრებამ შემოიტანოს და თითონ აირჩიოს ორ ენის შორის. ის კი რასაც თქვენ აპირებთ, გადააქცევს ჩვენს პარლამენტს ბაბილონის გოდოლათ.

ოვგუსტომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს. კამათი გახლავთ დასრულებული.

რ. არსენაძე (ს. დ, მომხსენებელი) უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კანონპროექტის გარშემო ერთი რაღაც გაუგებრობა იბადება. სუყველას

ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ჩვენ უფლებას ვაძლევდეთ დეპუ-
ტატს და არა ხალხს, რომელიმე ერმა რომ მუნჯი გამოგზავნოს, რა
ენაზე უნდა ალაპარაკოთ. განა ჩვენ უფლებას დეპუტატს ვაძლევთ?
არა, ჩვენ ვლაპარაკობთ და ვმსჯელობთ ერის უფლებაზე. ხოლო ვის
გამოგზავნის ის ერი—ეს არის დამოკიდებული მის კულტურაზე, მის
შეგნება და განვითარებაზე. (კედია: „ეს არ კმარა").

ჩვენ ვამბობთ—გამოგზავნეთ ის, ვინც თქვენ გინდათ. ისინი გა-
მოგზავნიან იმათ, ვინც სურთ, ვინც მათი აზრით მათ კარგათ წარმო-
ადგენს. მათ, რომ მუნჯი წარმომადგენელი გამოგზავნონ, თქვენ უარს
ვერ ეტყვით. მათ რომ ამისთანა დეპუტატი გამოგზავნონ, განა ამის გამო
თქვენ უფლებას ჩამოართმევს, რომ თავისი წარმომადგენელი იყოლიონ
აქ? თქვენ ამბობთ: ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ეროვნულ უმცირესობათ,
რომ მათ ისეთი პირნი აირჩიონ და გამოგზავნონ, რომლებმაც უეჭვე-
ლად იციან ჩვენი ენა. არის თუ არა ეს შეზღუდვა საარჩევნო უფლე-
ბისა? არის. და არა დეპუტატი... (კედია: „შეზღუდვა მაინც არის. მაგ
კანონპროექტში").

ეს არის მთავარი, რომ თქვენ ზღუდავთ თითონ ხალხს, და ართ-
მევთ მას იმ უფლებას, რომელიც საერთოდ უნდა იყოს მიღებული,
ცოტად და ბევრათ, რიგიან სახელმწიფოში. თქვენ აქ მოგეხსენე-
ბათ, რომ იტალია არ ართმევს უფლებას. აქ მოიყვანეს შვეიცარიის
მაგალითი საცა სამ ენას აქვს უფლება, ეს მოიყვანს „ალიონის" ჯგუ-
ფის წარმომადგენელმა რომელსაც თავის დასაბუთებაში დაავიწყდა, რომ
სოც.-დემ. ამ მეოთხე ენის უფლებისთვის იბრძვიან. იმან კი გამოიყვანა
რომ მეოთხე ენა საჭირო არ არისო და არც აქ არის ის საჭიროო. მე
ვამტკიცებ, რომ არც ეს მაგალითი არის მოსაყვანი. მითუმეტეს, ეს
მიგალითი არ არის მოსაყვანი დემოკრატიის მიერ და ამის წამოყენება
დემოკრატიის წარმომადგენლების მიერ, დემოკრატიის სახელით მავნე-
ბელია დემოკრატიის ინტერესებისათვის და მართლაც ეს არის მთავა-
რი მოსაზრება.

ყველა ის საბუთები რომ მოჰყავთ, თითქოს თავმჯდომარე ვერ გა-
იგებს მათ ენას და რა ეშველებაო. ყველა ეს არის ჩინოვნიკური მო-
საზრება. ზოგიერთ სამინისტროში, გამოცდილი მოხელეები—დავტოვეთ
რუსები, და ნება მივეცით რუსულათ საქმე აწარმოონ. მაგრამ თუ დე-
პუტატს გადავაქცევთ ჩინოვნიკად და მოხელედ, თავის თავად ცხადია,
ეს პრინციპი უნდა მივიღოთ. ამ პრინციპს დაარჩენს და დაადგენს კიდე-
ვაც ბატონი საყვარელიძე თუ არა? თუ არ იციან ქართული, მაშინ
რუსულათ უნდა ილაპარაკონ? ნუ დავიწყებთ ძირითად კონსტიტუციას.
ნუ დავიწყებთ ვის აძლევთ ამ უფლებას.

მეორე მოსაზრება: რომ გამოგზავნოს სომხის ერმა გლეხი, მუშა,
აი აქ მიიღებთ იმათ თუ არა? რუსული ენა არის გასაგები მხოლოთ
ინტილიგენტურ წრეებისათვის. მხოლოთ, ამ წრისთვის არის საერთა-
შორისო, ენა რუსული ენა. მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ ფრაქციაში არის
20 კაცამდე, რომლებმაც, შეიძლება, რუსულ ენაზე ყველაფერი ვერ
გაიგონ. რატომ არის ეს? იმიტომ რომ ისინი ხალხის წარმომადგენელნი
გახლავან, ხალხიდან გამოსული, და ჯერ უნივერსიტეტი არ გაუთავე-
ბიათ, რუსული ენა არ შეუსწავლიათ, და რუსული კულტურა იმდე-
ნათ არ შეუთვისებიათ, რომ გაიგონ. (ქარუმიძე: „აქეთ ნუ იყურებით").
რომ ასეთი ხალხი არის ჩვენს მაღალ წრეებში ქართული მათ არ იციან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ილაპარაკებენ, რადგან გრძნობით და რწმენით გადაგვარებულნი არიან.

ჩვენ გადაგვარებულთ უფლება აქვთ გადმოგვარდნენ, თუ არა და, —გაგვშორდნენ.

მაგრამ უმთავრესი აქ იყო ერთი ლოლიკა. ბატ. კედიას სიტყვაში ლოლიკა მაინცა და მაინც არ იყო დაცული. ის ამბობდა, ჩვენ ქართული სახელმწიფო გვაქვს, ჩვენ ქართველები ვართ უმრავლესობა, და ქართული ენა უნდა იყოს დანარჩენისათვის სავალდებულო.

შეიძლება მათ თავიანთ ენაზე ლაპარაკით 1—2 საათით დაგვაგვიანონ, ზედმეტი ილაპარაკონ, მაგრამ, ამის გამო ჩვენ ხომ არ შეგვიძლიან მოუსპოთ უფლება თავიანთ ენაზე ლაპარაკისა? მართალია, სხვა გზით მიღებულ კანონ-პროექტს, როგორ გავატარებთ ცხოვრებაში? იქნება განა ხალხში განხორციელებული? ხორცს შეისხავს?

თუ მივიღეთ ბატონ კედიას პრინციპს—მაშინ გადაჭრით ვალიარებთ, რომ ცხოვრებაში იმისთანა კანონის გასატარებლად ხიშტები უნდა მიაყენოთ იმ უმცირესობას, რომელიც დაახლოვებით 20% წარმოადგენს მთელ მცოვრებლების. რატომ უნდა ავყაროთ ჩვენ მათ უფლება თავის ენაზე ლაპარაკისა? შეიძლება ჯერ მან ქართული ვერ შეისწავლა?

აქ მოვლენ დეპუტატები, რომელთაც იციან თავის ენაზე ლაპარაკი და არა სხვისი ენა.

ამასთან შეიძლება ისიც მოხდეს რომ ყველა მათგანმა იცოდეს ქართული. მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ დეპუტატი ისეთი აზროვანების იქნა როგორც მაგალითად. ბატონი კედია და ვეშაპელია, მაშინ იცის, თუ არ იცის ქართული, იგი უეჭველად თავის ენაზე ილაპარაკებს. მაგრამ თუ წარმომადგენელს გამოგზავნიან ის ელემენტები, რომელნიც ხალხის, დემოკრატიის იდეებს, დემოკრატიულ მოსაზრებებს მართლათ იცავენ, ალბად ეცდებიან რომ საქმე გაგვიადვილონ., ქართულ ენაზე ილაპარაკონ, და თავიანთი უფლება სადემონსტრაციოდ არ გამოიყენონ. ეს არის მათი უფლება. ჩვენ არ გვაქვს უფლება წავართვათ იგი. მათ აქვთ უფლება ილაპარაკონ, როგორც ქართულ ენაზე, ის თავის ენაზე.

ყველას მოგეხსენებათ, რომ რუსეთში სდევნიდნენ ებრაელებს სარწმუნოებისთვის. როდესაც ლახავდნენ და ზღუდავდნენ მათ უფლებას—ინტელიგენტი, არა ის ინტელიგენტი, რომელსაც ებრაელთა რჯული სწამდა, არამედ ისიც, რომელსაც არავითარი სარწმუნოება არა ჰქონდა და არც ებრაელთა რჯული სწამდა—ამ რჯულის თავგამოდებით იცავდა მხოლოდ იმიტომ, რომ მის სჯულს სდევნიდნენ. იწვევს, თუ არა წინააღმდეგობას ასეთი წარმომევა უფლებისა? აკრძალვა სიტყვის თავის ენაზე გამოთქმისა,—სინიდისის თავისუფლებისა? სწორედ თავისუფლების უარყოფამ ამ საგანში გამოიწვია ის, რომ ხალხი წინააღმდეგობას ეწევა იმ საგანში, და ეწერება ამ სარწმუნოებაში, რომლის აღიარება აკრძალულია, და რომელიც დევნას განიცდის. მაშასადამე არავითარ უფლების შეზღუდვას ამ მხრივ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენში. აქ დიდი სახელმწიფოებრივი პრინციპი არის წამოყენებული და თუ ამ პრინციპს, დავიცავთ ჩვენი საქმე კარგად წავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩვენ გვითხრეს, რომ ჩვენ ყურს უგდებთ იმას, თუ [illegible] ან სხვებიო.

დიახ! მე გადაჭრით ვაცხადებ,—რომ დემოკრატია ყურს უგდებს ყველა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, ყველა იმას რაც შეეფერება საერთო დემოკრატიის ინტერესებს. როგორც დაგიმტკიცათ დღეს ჩვენში ისტორიულმა წარსულმა,—ეს შეეფერება თვით ხალხის და სახელმწიფოს ინტერესებს.

აქ ერთი პრინციპი არის გარკვეული: ყველა არა ქართველს სდევნიან. ჰგონიათ, რომ ამით სახელმწიფოს ააშენებენ (ხმაურობა. „ადგილ „დევნას არ აქვს ადგილი") ჩვენ კი გვგონია, რომ ასეთი დევნით სახელმწიფო არ აშენდება, თუ სდევნით,—უნდა უფლება წაართვათ ყველა ეროვნულ უმცირესობათ. მე მგონია რომ ჩვენ ამ პრინციპით ვერ ვახელმძღვანლებთ. მე მგონია. უფლების აყრა უნდა იმ ზოგიერთ ჯგუფემსა და წრეებს, რომლის შესახებ ჩვენ ფაქტები გვაქვს, რომ ამგვარად გამოდიან ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ და მის დანგრევაში გვარიან მუშაობას ეწევიან (ხმაურობა... „ბ. ვეშაპელი"—ალექსეევთან ვინ მიდის?")... და მიუხედავათ ამისა არამც თუ იმითთვის არ აუყრიათ უფლება, არამედ არაკი წამოუყენებიათ საკითხი მათ უფლების წართმევისა, ან შეზღუდვის შესახებ.

აქ ერთი ორატორი აღნიშნავდა, რომ ოსები, სომხები, თუმცა ბევრმა იციან ქართული, მაგრამ არ ილაპარაკებენ ქართულ ენაზეო.

განა შეიძლება სხვის გულში ჩაიხედოთ. მე ვამბობ, კიდევაც რომ არ ილაპარაკონ, ჩვენ ამ უფლებას ვერ ავყრით, თუ ავყრით სწორედ განზრახ ილაპარაკებენ, თავიანთ ენაზე.

მე მგონია, შეიძლება კულტურული გაერთიანება მთელი ხალხისა, თუ ამას საფუძვლათ დაედება ნამდვილი გაერთიანება, ყველა ერების დემოკრატიისა, ნამდვილი დემოკრატიული მუშაობა. თუ ამას მივაღწიეთ,—შეიძლება ეროვნულ უმცირესობათ წარმომადგენლების მიერ არც ერთი სიტყვა არ იქმნეს წარმოთქმული დედა ენაზე. მაგალითი შვეიცარია არის. იქ იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ იტალიურ ენაზე ილაპარაკონ ოფიციალურად, მაგრამ არც ერთხელ აზრად არვის არ მოსვლია, რომ ოფიციალურათ აერთვათ იტალელებისთვის უფლება. თავის ენაზე ლაპარაკის დევნა და აკრძალვა ჰქმნის, ამ შემთხვევაში, მხოლოდ წინააღმდეგობას მთელი ხალხის საღი ელემენტების, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოებრივ ელემენტების მხრივ. მაშასადამე აყენებს ახალ ახალ დაბრკოლებებს. უფლების მიცემა კი ამ შემთხვევაში აერთიანებს, და შეძლებას აძლევს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ელემენტებს, საქმე საუკეთესოდ, ძმურათ და ამხანაგურათ აკეთონ, და ამით მკვიდრი ნიადაგი, არა ყალბი ნიადაგი, მისცენ მართლა დემოკრატიულ რესპუბლიკას.

აქ დემოკრატიის სახელით ლაპარაკობდა ერთი ორატორთაგანი. ჩვენ დემოკრატიზმი გვესმის მხოლოდ ცხოვრებაში. დემოკრატიზმი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთად ერთ ენად ქართული ენა აღიაროთ. მე არ ვიცი, რა დემოკრატიზმია ის დემოკრატიზმი, რომელიც ქართულ ენის გარდა, ამ ცხოვრებაში, არავითარი ღირსებას და დაფასებას სხვა ენას არ აძლევს, და რომელსაც ჰგონია, რომ თუ ცხოვრებაში, ამ ენების ღირებულების მიხედვით ილაპარაკეთ, ეს იქნება ‘ძეურაცყოფა, მაგალითად პარლამენტის ღირსებისაო. იყო ერთხელ ისეთი

დრო, როცა ამბობდნენ რომ ქართულ ენაზე ლაპარაკი უღირსი საქმე, უღირსი სიტყვაა. მაგრამ, ამის წინააღმდეგ მე მგონია არა ... აღელდებოდნენ და ამხედრდებოდნენ სწორეთ ისინი, ვინც დღეს სხვის ენის წინააღმდეგ ლაპარაკობენ.

როცა საქმე მივა იქამდინ, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან გავიგონებთ არა ქართულ ენაზე ლაპარაკს, მე მგონია, რომ ეს არავითარი უღირსობა არ იქნება. პირიქით ეს იქნება ღირსება, რომ პარლამენტი არავის არ ართმევს უფლებას, რომ თავისი აზრი ისე გამოსთქვას, როგორც შეუძლიან. სწორეთ ამიტომ, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ უნდა მივცეთ ყველა ერის წარმომადგენლებს, და არა ორ მუჭა ინტელიგენციას, უფლება თავის სამშობლო ენაზე ლაპარაკისა, იმიტომ რომ ეს აუცილებელია თვით სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის.

თავმჯდომარე. ამ რიგად, კამათი არის გათავებული. ვინ არის მომხრე, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი. (მომხსენებელი კითხულობს პირველ მუხლს) „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არ არის ქართული ენა“.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? მსურველი არ გახლავს. ვინ არის წინააღმდეგი პირველი მუხლისა? არავინ. პირველი მუხლი მიღებულია. შენიშვნა.

მომხსენებელი. (კითხულობს შენიშვნას) ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება ცალკე კანონით განისაზღვრება.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ შენიშვნის შესახებ? ამ მუხლის შესახებ ზეპირი შესწორება იყო, წერილობითი შესწორება არ მაქვს და მაშასადამე, კენჭს ვერ ვუყრი, გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

მომხსენებელი. (კითხულობს) საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი ხდება ქართულ ენაზედ.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მესამე მუხლი.

მომხსენებელი. (კითხულობს) ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთ შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედა ენაზე.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბარათაშვილს.

ი. ბარათაშვილი. (ს. ფ.) როგორც უკვე მოგახსენეთ, მე მგონია, რომ მესამე მუხლი არ უნდა იყოს. ეს უნდა იყოს შენიშვნა მეორე მუხლისა, რადგან არ შეიცავს ცალკე კანონს. ეს არის გამონაკლისი ამ მუხლისა. ამიტომ შენიშვნად უნდა დარჩეს. ჩემი წინადადებაა, რომ მესამე მუხლი იყოს მეორე მუხლის შენიშვნათ.

მაშასადამე პირველი შენიშვნა არის „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვან დედა ენაზე.

ივ. ჩერქეზიშვილი. (ს. რ.) რაც შეეხება ეხლა შემოტანილ შენიშვნას, ჩვენ არა ვსთვლით ამისთანა ცვლილებას საჭიროთ, რადგანაც მეორე მუხლში იქნება 2 შენიშვნა. მათ შორის ერთი იქნება სწორეთ მეორე მუხლის შენიშვნა. ეხლა შემოტანილი შენიშვნა კი გამოვა შენიშვნის შენიშვნა. ჩვენ საჭიროთ ვსთვლით იყოს დატოვებული როგოც არის მესამე მუხლი. მაშასადამე დარჩეს მესამე მუხლი. რაც შეეხება თვით მესამე მუხლს ჩვენ ვთლით საჭიროთ შემდეგი ცვლილება იყოს შემოტანილი. აქ არის ნათქვამი — „შეუძლიათ სიტყვა წარმოსთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვან დედა ენაზე", მაგრამ აქ სუყოველთვის ლაპარაკი იყო ენის შესახებ და „შეიძლება" ერთის მხრივ და „უფლება აქვს", — მეორეს მხრივ, — ამ ორ ცნებათ შორის დიდი განსხვავება არის. „შეიძლება," ეს ცოტა ოდენი რბილი ტერმინია, რომელიც არავითარ უფლებას არ აძლევს. „უფლება აქვს," ეს ქმნის ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ერთგვარ გარანტიას, რომელიც უნდა მისცეს ეროვნულმა საბჭომ, რომ იმათ უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ იმ ენით რომელზედაც უნდათ თავის სიტყვა წარმოსთქვან. ამიტომ ჩვენ საჭიროთ ვსთვლით, რომ ეს მუხლი იყოს შეცვლილი შემდეგ ნაირად: (კითხულობს) „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ სიტყვა წარმოსთქვან დედა ენაზე".

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს საყვარელიძეს.

ბ. საყვარელიძე. (ალიონელი). მე, როგორც მოგახსენეთ, ძალიან წინააღმდეგი ვარ, რომ ეს მუხლი იყოს უცვლელად მიღებული. მე მგონი ეხლა ნათელი არის, თუ მივიღებთ იმას რაც არის იმ შესწორებით, რომელიც წამოაყენა საბჭოს წევრმა ჩერქეზიშვილმა. ჩვენ დავაკანონებთ სამუდამოთ ვითომ ჩვეულებრივი წესი ამას თხოულობს. ჩემის აზრით, არც ლოდიკა, არც სახელმწიფოებრივი აზრი, არც დემოკრატიული აზრი, არც ერთი და არც მეორე, არ თხოულობენ იდეალურ ტიპად გავხადოთ დებულება, რომ უმცირესობის წარმომადგენლებს ჰქონდეთ უფლება ილაპარაკონ თავის დედა ენაზე. ასეთი უფლება არ არსებობს არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც ცდილობს რეფორმატიულ იდეები განახორციელოს, და ჩვეც უარვყოთ.

მე ვადგენ ამ კოპრომისულ წინადადებას. იძულებული ვართ რომ უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, დღეს დღეობით, სანამ ნაციონალიზაცია არ არის გატარებული, და ხალხის უმცირესობის წარმომადგენელმა არ იცის ქართული მივიღოთ ამგვარი წინადადება: „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედა ენაზე". ეს დამატება უნდა იყოს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ დროებითი ხასიათი დღევანდელი მდგომარეობისა. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ დროებითი კომპროსი, რომ ჩვენ პარლამენტში შეიძლება ლაპარაკი დედა ენაზე, მხოლოთ იმიტომ, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება რომ ილაპარაკონ ქართულ ენაზე. მე ასეთ რასმეს გეტყვით. 5 წლის შემდეგ, maximum 10 წლის შემდეგ, აქ არ იქნება ერთი მოქალაქე, რომელსაც არ ეცოდინება ქართული ენა. მიიღებთ თუ არა ამ დამატებას, მე ეს დამატება პრინციპიალურად მიმაჩნია. თუ გინდათ გავრცელებული იყოს ეს ენა და ყველასათვის გასაგები — ეს შენიშვნა უნდა მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა ისეთი მრავალ ენოვანი პარლამენტი, რომელიც არ არის არსად დედამიწის ზურგზე — 11 ენოვანი თუ 9 ენოვანი.

ყველაზე უფრო მრავალ ენოვანი პარლამენტი არის შვეიცარიაში და ავსტრო-უნგრეთში, სადაც სამ ენაზე მეტს არა ლაპარაკობს ხალხი. ჩვენი წინადადება, არის პრინციპიალური ხასიათისა. პრინციპიალური ერთის მხრივ, რომ მუდამ არ ილაპარაკონ უმცირესობათა წარმომადგენელმა თავიანთ ენაზე და მეორეს მხრივ, რომ უნდა იცოდნენ ჩვენი ენა. ეს აუცილებელი ნაბიჯია, მანამ ჩვენ არ გვექნება საშუალება რომ ერის უმცირესობამ თვის ენაზე ილაპარაკოს. (აწვდის თავმჯდომარეს თავის შესწორებას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიცით, რომ წარმომადგენელი მოწოდებულია საკანონმდებლო მუშაობისათვის, აქ ის იძულებულია წერილობით შეიტანოს კანონ-პროექტები და სხვა. იგი იძულებულია საქმის წარმოება აწარმოვოს ქართულ ენაზე. თუ ამას გაიზიარებენ სომხების, შერმნების, ოსების წარმომადგენლები—ცხადია ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლები არ მისცემენ თავის თავს ნებას, რომ გაგვიჭიანურონ საქმე და შემოიტანონ კანონპროექტები ისეთ ენაზე, რომელიც ჩვენ არ გვესმის. ამ შემთხვევაში დიდი გარანტია კი არ არის, პრინციპიალური გარანტია. ეს არის პრინციპიალურად გადაწყვეტა ჩვენი საკითხისა და ერთგვარი გარანტია იმისა, რომ ჩვენ შეძლება გვექნება ვიფიქროთ ამ უმცირესობის პოლიტიკურ ზნეობაზე, რომ ისინი ბოროტად არ მოიხმარებენ თავიანთ უფლებას.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს სპირიდონ კედიას.

სპ. კედია. (ერ. დემ.) ქვემოდ მესამე მუხლის შესახებ ძალიან საინტერესოა, ეს ენა მოვიხსენოთ ის სიტყვა, რომელიც ეგრეთი რწმენით წარმოსთქვა ბატონმა ქარცივაძემ.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე არა მრთელის რწმენით და სიამკარავით შემუშავებულ კანონპროექტთან, არამედ აქ არის შეფარდება ერთი მეორის გამაბათილებელ პუნქტებისა და მუხლებისა, როდესაც ნათქვამია მე-2, მუხლში, რომ „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველგვარი კამათი და საქმის წარმოება ხდება ქართულ ენაზეო“ აქედან ნათლათ ის აზრი გამოდის, რომ ვისაც ჰსურს ჩაერიოს საბჭოს მუშაობაში, ან და მონაწილეობა მიიღოს კამათში, უნდა იცოდეს ქართული ენა. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი აქ მუშაობა არის კამათი და საერთო შეკამათებით სიმართლის გამოძებნა. თავის თავად ცხადია იმ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს, რომელიც ეროვნულ უმცირესობის მიერ იქმნა გამოგზავნილი და რომელსაც არ ეცოდინება ქართული ენა იმ, ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს არ შეეძლება კამათში მონაწილეობის მიღება.

თუ მთელი სისასტიკით დაცული იქნება მეორე მუხლი, მაშინ მთელის სისასტიკით განდევნილ იქმნას ეს მესამე პუნქტი. აქ არის ცდა შეურიგებელის შერიგებისა. ეს არის ერთნაირი შიში პირნათლად ითქვას ის, რაც ჰსურს კანონმდებელს.

როდესაც კანონმდებელი სწერდა მე-2 მუხლს, მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ეროვნულ საბჭოში ქართული ენა იქნება. მაგრამ ეს აზრი ნათლად არ არის გამოთქმული იმიტომ, რომ მას ეშინოდა იმისი, რომ ამის შესახებ ვიღაცა რაღაცას იტყვის. ეს კი მიუღებელი მეთოდია ჩვენს მუშაობაში დღეს. ამიტომ მესამე მუხლი ამ შემთხვევაში სრულიად მიუღებელია, რადგანაც საბჭოს წევრი უნდა იყოს მონაწილე საბჭოს ორგანიულ მუშაობისა. მაშასადამე, უნდა ლაპარაკობდეს იმ ენაზე, რომელიც ესმის საბჭოს.

რადგანაც ეს ასე არ არის—ეს მუხლი სრულიად უნდა იყოს გამოტოვებული, რადგან აქ არის რაღაც კეკემალულობა და არა ნამდვილი კანონმდებლობა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ირაკლი წერეთელს.

ირაკლი წერეთელი. (ს. დ.) ბატონებო! ეს კითხვა არის არა მარტო პრინციპიალური საკითხი, ეს არის საკითხი აგრეთვე ტეხნიკურ მიზანშეწონილობისა.

ახლა რომ ჩვენ მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგ ნხმება ჩვენს პრინციპს, მაგრამ შემდეგში გამოიწვევს დიდ სიძნელეებს ბას და სრულიად წინააღმდეგ მიზანს მიაღწევს—ეს იქნება კანონის უვარგისობა.

აი, ეხლა, ამ მუხლს, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, სწორეთ ეს მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ჩვენ გვინდა ამით დავიცვათ უფლება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა და, მეორე მხრით, ჩვენ გვინდა გაუადვილოთ საბჭოს საქმის წარმოება.

აქ ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ აირჩევენ ისეთებს, რომელნიც მოინდომებენ უსათუოდ რუსულ ენაზე ლაპარაკს, ან და იმას, ვინც მოისურვებს თავიანთ ენაზე ლაპარაკსო.

ეს სათუოა.

ჩვენ არ ვიცით რა გვარი წარმომადგენელნი იქნებიან არჩეულნი და ან ისინი თვის მხრივ რას მოითხოვენ.

წარმოიდგინეთ თქვენ, რომ ყველა ქართულ ენის მცოდნე იყოს, ან და თავის დედაენის მცოდნე არც ერთი არ გამოდგეს. მაშინ ექვს გარეშეა ამ მუხლში რაღაც ცვლილება უნდა მოვახდინოთ, რომელიც მიზან-შეწონილი იქნება ამ ახალ შემადგენლობისთვის.

სახეში მისაღებია არა მარტო პრინციპიალური მხარე, არამედ აქ არის სახეში მისაღები ტეხნიკური მხარეც. ჯერ ეს წარმომადგენელები არ შემოსულან და ჩვენ არვიცით რა გვარი წარმომადგენელები იქნებიან. ამავე დროს კანონპროექტში არის მუხლი, რომელიც ჩვენ უკვე მივიღეთ:—ეროვნულ უმცირესობისათვის ენის ხმარება ცალკე კანონით განისაზღვება დავსჯერდით ჯერჯერობით ამას დღეს და აი ეს ცალკე კანონით შემოვიტანოთ იმის და მიხედვით, თუ როგორი წარმომადგენლები იქნებიან აქ. ამიტომ მე წინადადება შემომაქვს გადავდოთ აი, ამ მუხლის ჯერჯერობით მიღება და მივიღოთ კანონი უამ მუხლოდ; მხოლოდ აქ უკვე გარკვეულია რომ ცალკე კანონი უნდა გამოვცეთ და ამას გამოვცემთ მაშინ, როდესაც იქნებიან ეროვნულ უმცირესობათ წარმომადგენელები.

თავმჯდომარე. კამათი მოსპობილი გახლავთ. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

რ. არსენიძე. მე უნდა მოგახსენოთ შემდეგი. პირველი შესწორება რომ მესამე მუხლი გადავაკეთოთ მეორე მუხლის მეორე შენიშვნად, ეს ტეხნიკურად გამოსადეგარია. შეიძლება სრულად შევაერთოთ, მაგრამ მე სამე მუხლის მე 2-ე მუხლად გადაკეთება ყოვლად მოუხერხებელია.

რაც შეეხება მეორე შესწორებას, რომ მივცეთ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს ნება თავის ენაზე ლაპარაკისა, თუ მან ქართული ენა არ იცის, ეს ნიშნავს რასაკვირველი, ამ უფლების უარყოფას. სარეგლამენტო საკითხის გადაწყვეტას. ვთქვათ მუნჯი, რომ მოვიდეს როგორ მოვექცეთ. მუნჯურად ველაპარაკოთ თუ რა უყოთ? თუ ამ საკითხს სვამთ, საჭიროა ამ საკითხის პრინციპიალურად გადაწყვეტა.

და შეიძლება ორნაირი გადაწვეტილება მოგვიხდეს. ამიტომ საჭირო არ არის წინასწარმეტყველება და ამ გადაწყვეტილების მიღება, სანამ ეს ხალხი აქ არ შემოსულა. მაინც და მაინც დღეს დღეობით საჭირო არ არის, საკითხი ამას არ თხოულობს. მესამე შესწორება ეროვნულ დემოკრატების მიერ შემოტანილი მოითხოვს ამოიშალოს ეს მუხლი მთლიანად, რადგანაც პრინციპიალურად ეწინააღმდეგებიან ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლს, ამბობენ, რომ დედა ენაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. ეროვნული კამათი დღეს იმაში მდგომარეობს, რომ დაგვიმტკიცონ: ვითომც არ არის აუცილებლივ საჭირო, რომ ეროვნულ უმცირესობათ უფლება მივანიჭოთ. ერთი შენიშვნა ჩვენ უკვე მივიღეთ და ეროვნულ დემოკრატებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება ცალკე კანონით განისაზღვრება, მაგრამ როგორ... (ხმაურობა „ვეშაპელი—სენატის განმარტებაა") მე მგონია კანონი იწერება არა იმისთვის, რომ ქაღალდზე დარჩეს, არამედ იმისთვის რომ ამ კანონს მოჰყვეს სათანადო მუშაობა. ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, იმიტომ რომ ის საბუთები, რომელიც ბ. ქარცივაძემ წამოაყენა წინათ იყო ნათქვამი და სათანადო პასუხიც იყო მიცემული. ახალი მას არაფერი უთქვამს. ეს გამეორებაა... კოლია ქარცივაძის სიტყვები, (კედია—ნიკოლოზ ქარცივაძის) რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბაბილონის გოდოლად გადაიქცევა საბჭოო. აქ სრულიად მოსატანი არ იყო იმისთვის. რომ პარლამენტის ბაბილონის გოდოლად გადაქცევა შეიძლება არა მარტო ამითი, არამედ სვისტოკებითაც, როგორც თქვენი გეგმა ამბობს, საფშვიტინოს ამუშავებით, რომ ლაპარაკი შეაწყვეტინოთ.

ესეც უნდა მიეღოთ მხედველობაში, ზოგიერთ დეპუტატებს, დაცოტა ცხოვრებას ჩაუფიქრდნენ.

შემდეგ შენიშვას. რომელიც წამოყენებულია ირაკლი წერეთლის მიერ, მე ვერ დავეთანხმები. იმ შენიშვნას, რომელიც ირაკლი წერეთელმა წამოაყენა, ერთ გვარი ძირითადი დებულების, ძირითადი კონსტიტუციის ხასიათი აქვს. ამ საკითხის პირველ განხილვის დროს კომისიამ ორი მთავარი დებულება მიიღო. ერთი ეს, რომ სახელმწიფო ენა უნდა ამოგვეჩინა და დაგვესახელებინა, მეორე- -მისი ხმარება პარლამენტში. პირველი ვალიარეთ და მეორე უარ ვყავით. ჩვენ გადავწყვიტეთ, თუ როგორ უნდ იქმნეს პარლამენტში განხორციელებული სახელმწიფოებრივ და სხვა ენის ხმარება, და შემოგვეტანა კანონ პროექტით თქვენ წინაშე. და თუ თქვენ ეხლა ამ მუხლს გააუქმებთ, უამმუხლოდ მიიღებთ, მე მგონია მთელი კანონ პროექტი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

ეს ერთი.

მეორე. კანონის ეს შენიშვნა ეხება არა მარტო პარლამენტს. ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი კანონ-პროექტები ეროვნულ უმცირესობისთვის არა სახელმწიფო ენათა ხმარების განსაზღვრის შესახებ. მაგალითად, მომრიგებელ მოსამართლეების შესახებ, და სხვა დაწესებულებების შესახებ. თვითონ ამ დებულებაში ამ დაწესებულებისთვის გარკვეული იქნება კონკრეტიულად ენის ხმარების წესები.

აი ეს გვქონდა მხედველობაში.

მაშასადამე, თუ ჩვენ უარვყოფთ მესამე მუხლს, ჩვენ უარვყოფთ მთელ კანონ-პროექტს, ვინაიდან სხვა დანარჩენი აზრი ამ კანონ-პროექტს არა აქვს.

შეიძლება ყოველივე შესწორების მიღება და გაუმჯობესობის შემოტანა, მაგრამ გადადება და ამოშლა, მესამე მუხლისა ნიშნავს მთელი კანონის გადადებას მის არსებით მხრის ბოსპობას.

ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ კატეგორიულად გადადებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრების შეწყვეტა.

თავმჯდომარე. წინადადება არის შემოტანილი, რომ კრება შევწყვიტოთ.

ირ. წერეთელი. მე ვფიქრობ; ბატონებო, რომ სასარგებლო იქნება, აი ამ ახალ წინადადებაში ფრაქციების ერთმანეთში შეთანხმება მოხდეს. შესაძლო არის რომ შეთანხმება მოხდეს; ამიტომ მე შემოვიტანე წინადადება: 15 წუთით შევწყვიტოთ კრება. ეს არ შეაფერხებს ჩვენ საქმიანობას, თუ წინააღმდეგნი არ ბრძანდებით.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ წინადადებისა, რომ კრება შევწყვიტოთ 15 წუთით? წინააღმდეგი არავინ არის მაშასადამე კრებას ვწყვეტამ 15 წუთით.

(კრება სწყდება 2 ს. და 45 წუთზე)

## კრების გახსნა.

3 ს. და 30 წუთზე კრება ხელახლა იხსნება.

თავმჯდომარე. კრება ხელახლად გახსნილი გახლავთ. გთხოვთ დაბრძანდეთ. აქ გახლავთ წინადადება, რომ მესამე მუხლში შევიტანოთ შემდეგი ცვლილება, რომელიც შემოტანილია საბჭოს წევრის პავლე საყვარელიძის მიერ, რომ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს შეუძლიან სიტყვა წარმოსთვას დედა ენაზე „სახელმწიფო ენის უცოდინრობის გამო“. მე კენჭს უყრი ამ წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ ამ მესამე მუხლში შეტანილი იყოს შემდეგი წინადადება?

ირ. წერეთელი. (ს. დ.) უკაცრავად, რეგლამენტის დარღვევის გამო. მანდ არის უფრო რადიკალური წინადადება, რომელიც მოითხოვს, რომ მესამე მუხლი მთლად მოიხსნას.

თავმჯდომარე. უკაცრაოდ... მე საშუალება უნდა მივცე კრებას იმსჯელოს იმ წინადადებაზე, რომელიც შემოიტანეს ამ მესამე მუხლის შესახებ და მაშინ დავინახავთ თუ ამ რადიკალურ წინადადებას, რა ბედი მოელის, თუ საბჭო უარყოფს ამ წინადადებას, მაშინ თავისთავად მოიხსნება იგი. ეს არის რეგლამენტის წესი. (საყვარელიძეს) თქვენ რის შესახებ გნებავთ? რეგლამენტის შესახებ? მობრძანდით.

პ. საყვარელიძე (ალიონელი) ჩემის აზრით იმ დამტკიცებით, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ, შეიძლება გადაიჭრას ამ მუხლის ბედი. ვინც მომხრე არის ამ დამატების, ის დარწმუნებულია რომ ეს უნდა გავატაროთ, და თუ საბჭო დარწმუნდება, რომ ეს უნდა მოიხსნას, მაშინ შესწორებაც არაა საჭირო, მაგრამ თუ ვინმე დარწმუნებული იქნება, რომ ეს მუხლი გავა, მაშინ შეუძლიანთ შემოიტანონ შესწორება ან გამაძლიერებელი ან და შემასუსტებელი.

თავმჯდომარე. მე, როგორც თავმჯდომარე უნდა მოგახსენოთ, რომ რაშია დარწმუნებული კრება ჩვენ მაშინ გავიგებთ, როცა კენჭს უყრით.

ჩემის აზრით, მე არც რეგლამენტის ძალით, არც სხვა რამ საშუალებით არ მაქვს შეძლება დავრწმუნდე, თუ რაშია კრება დ არწმუნებული. ამას მაშინ გავიგებთ, როცა ხელს ასწევთ.

მეორე. რეგლამენტის ძალით მე კენჭი უნდა უყარო შესწორებას. (პავლე საყვარელიძე „მოვხსნი ჩემ წინადადებას“) ზოგიერთი მოგახსე-

მართლაც სარჩულად უძევს, როგორც პიროვნების გაბედულებას, სრული უმწიკვლელობა, სრულ უმანკოება და ზნეობრივი სიფაქიზე, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწისათვის ეს არ კმარა, მის გაბედულებას სარჩულად უნდა ედოს ის, რასაც უწოდებენ სალსა, გონიერსა და ქვეყნისათვის სასარგებლო პოლიტიკის და ეს სარჩული მის განცხადებაში, მის მრავალ განცხადებაში მე ერთხელაც ვერ დავინახე.

ბ. ახმეტელმა, სხვათა შორის როცა შეეხო სასურსათო უწყების რევიზიას, სთქვა, რომ არ შეიძლება სასურსათო საქმის უწყების რევიზიის სათავეში დანიშნული იქმნეს ისეთი პიროვნება, სასურსათო საქმის რევიზიას ეწარმოვებდეს ისეთი პირი, რომელიც თვით—არის ერთ—ერთი თვალ საჩინო მოღვაწე სასურსათო საქმისა ჩვენში, იმიტომ რომ ასეთს შემთხვევაში რევიზიას ნდობა არ ექნება საზოგადოებაში და ხალხშიო. რევიზია უნდა მიენდოს ისეთ პირს, უმჯობესია ისეთი პირი დაინიშნოს, რომელსაც კავშირი არა აქვს და არც ჰქონია სასურსათო საქმესთანო. ამის პასუხად პირველ სხდომაზე სასურსათო მინისტრმა ბ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ის პირი დანიშნულია მთავრობის თავმჯდომარის მიერ და ამიტომ ეჭვის მოტანა არ შეიძლებაო. მე მგონია, რომ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე არ დაუმადლებს ბ. ლორთქიფანიძეს ასეთი გამოქომაგებისათვის და ეს მართლაც სრულიად ზედმეტი იყო. ჩვენ სავსებით და სრულიად, რასაკვირველია, ვენდობით ჩვენს მთავრობას და მის თავმჯდომარეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საბჭოს საერთოდ და კერძოდ თითეულს წევრს, ნება არ ჰქონდეს თვისი აზრი გამოსთქვას, თუნდაც თვით ამ მთავრობის თავმჯომარის მიერ დანიშნულ პირის შესახებ და ამ პირის რევიზიის სათავეში დანიშვნის შესახებ ასეთს პირობებში.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიგეთ, რომ ეს პირი გადაყენებულია და სხვაა დანიშნული, ჩვენ მოვისმინეთ განცხადება მთავრობის თავმჯდომარისა: ის პირი, რომელიც იყო რევიზიის სათავეში ჩემ მიერ დანიშნული, მე იძულებული ვიყავი გადამეყენებინა, რადგან იგი ავად არისო. ამ ჟამად ჩვენ ამის შესახებ უნდა გამოვსთქვათ მხოლოთ მწუხარება, რადგან მთავრობამ არ აღიარა საბჭოს წინაშე, რომ მას შეცდომა მოუვიდა, როდესაც უწყების სათავეში დანიშნა ისეთი პირი, რომელიც ასე თუ ისე დაინტერესებულია. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ეს პირი გადაყენებულია და ეხლა ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რადგანაც რევიზია სწარმოებს, იგი წესიერად იწარმოებს.

ხშირად, სხვა და სხვა შეკითხვის დროს და ეხლაც შემკითხველს უსაყვედურებენ დოკუმენტების უქონლობას. ეს, რასაკვირველია, სასურველი საქმეა მთავრობისათვის და საბჭოსათვის, რომ თვითოეული დებულება დამტკიცებული და დასაბუთებული იყვეს უტყუარი აუცილებელი დოკუმენტებით. მაგრამ, ბატონებო, ხშირად არის ასეთი შემთხვევა, ასეთი მდგომარეობა,—თვითოეულს თქვენგანს გამოეცდება და მეც ხშირად ასეთი შემთხვევა გამომიცდია, როცა იცი, რომ მოხდა ამბავი, არის ფაკტი ცხოვრებაში, ნამდვილი რეალობა არის, მაგრამ არ შეგვიძლიან ქაღალდით, დოკუმენტით და სხვა რამით დაამტკიცო, ყოყმანში ხარ, მართალია ეს, მაგრამ რა ვქნა? გავჩუმდე, არაფერი ვთქვა? თუ სთქვი, გეტყვიან უსაფუძვლოა, არ არის დოკუმენტებით

დასაბუთებულია, მაგრამ მეორეს მხრივ გაჩუმდე—სინდისი
არ გაძლევს, გქენჯნის. აქ, ბატონებო, ეროვნულ საბჭოში,
რის არის ერთი წევრი ქუთაისიდან, რომელმაც ჩემთან ერთად იცის
ერთი ამნაირი ამბავი ქუთაისის ცხოვრებიდან. იქ არის სასურ-
სათო საქმის სამინისტროს წარმომადგენელი, ეგრედ წოდებული
რწმუნებული, რომელსაც მონდობილი აქვს უწყებისაგან საქონელი
შეისყიდოს, დააგროვოს, დაამზადოს და უფლება აქვს მიცემული
რეკვიზიციაც მოახდინოს. ჩვენ ვიცით, მე და იმ წევრმა, დაბე-
ჯითებით ვიცით, რომ ეს რწმუნებული სამინისტროსი, რომელიც უნ-
და აგროვებდეს სამინისტროსათვის და მთელი ქვეყნისათვის საჭირო
საქონელს რაც შეიძლება იაფად, კონფისკაციის და რეკვიზიციის მოხ-
დენით ბევრი საქონელი უნდა დაამზადოს, მიდის და ვაჭრებს ეუბნება
—თქვენი საქონელი გადამალეთ, რადგანაც ფასები აიწევს და მაშინ
გამოაჩინეთო. ეხლა მე თქვენ გეკითხებით, ბატონებო, რითი დავამტკი-
ცო ეს ბოროტ-მოქმედება რწმუნებულისა. რასაკვირველია, ის არ იტ-
ყვის, რომ მან ასეთი სისაძაგლე ჩაიდინა, არ იტყვის საჯაროთ, სასა-
ჯართლოს წინაშე, არ იტყვის არც ის სპეკულიანტი, არ გაიმეორებს
იმას, რაც მან კერძო ბაასში სთქვა, რომ ასეთი თუ ისეთი ფაქტი ჩა-
ვიდინეო. რა გინდ უმწიკლო და უაღრესად კეთილშობილი იყოს მი-
ნისტრი, მთელი მთავრობა და მისი თავმჯდომარე, რა უნდა ჰქმნან,
როგორ გაარიგონ თვისი საქმე, როდესაც ათასი ბოროტ-მომქმედი მას
სახელს უტეხს, ხელ ფეხს უბორკავს, დამხობას უმზადებს და წალეკვას
უქადის მას.

როდესაც აქ ბატონმა ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ ჩვენ ხელშე-
კრულება დავდევით ნარსიასთანო, მე შევეკითხე ადგილიდან: მამასთან
თუ შვილთანმეთქი. ბ. ლორთქიფანიძემ მხრები აიჩეჩა და სთქვა—არ
მესმის, რა მნიშვნელობა აქვს მამასა და შვილსა, იქნება კეთილ ინ-
ებოს ბ. ქავთარაძემ და აგვიხსნას განსხვავებაო. უკვე სამჯერ იყო აღი-
არებული აქ მინისტრის მიერ უცოდინარობა. ერთხელ ფასებზე სთქვა,
მე ფასები და მაზანდა არ ვიცი. ეს რომ ეთქვა გზათა მინისტრს შეი-
ძლება გაემართლებინათ, ეს რომ ეთქვა სამხედრო მინისტრს, არ იქნე-
ბოდა საკვირველი, მაგრამ სასურსათო მინისტრს არ ეპატიება მაზან-
დისა და ფასების უცოდინარობა.

და თანახმად მისი წინადადებისა უნდა ავუხსნა, თუ რა მნიშვნე-
აქვს ამა თუ იმ კომერციულ გარიგებაში მამასა და შვილსა,
იმ გარიგებაში, რომლის შესახებ აქ არის ლაპარაკი. ბა-
ფულიანი კაცი, ვაჭრობა აქვს, მილიონად ღირე-
ნდობა. შვილი კი არის მხოლოდ გვარის
ი, არც საქონელი, არც საწყობები,
ლობა
ხოლებას სდებენ შვილთან იმ იმე-
სახელდობრ
ი შვილის ვალდებულებაზე
ტონებო, მამა არი
ისი გაუფრთხილებლო-
ული საქონელი, კრედიტ
ერს შეეფეთა და
მატარებელი მამისა,—არც ფუ
ირველია,
არც ნდობა, არც კრედიტი. ხელშეკ
ქმე
დით, ალბათ, თუმცა ეს ცრუ იმედია, რო
მამა აგებს პასუხს. დღეს ნარსია, ბატონებო, თვ
ბით მისდა საუბედუროთ მინისტრის კაბინეტში მინისტ
დაჭერილია. თუმცა მას ბევრი ფული აუღია, მაგრამ რასაკ
მამა მისი, მის ვალისათვის პასუხის მგებელი არ არის. ნარსიას

ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ, ამას ალბათ რევიზია დაამტკიცებს, — რო-
დესაც ნარსია მივიდა სასურსათო კომიტეტში, იქვე მოვიდა ერთი
გვარი არ ვიცი, თათარი. ამანა უთხრა კომიტეტს — თქვენ გინდა პუ-
რი, მე მინდა შაქარი, გავცვალოთ იმ ანგარიშით, რომელსაც თქვენ
მიიღებთ, მე გაძლევ 3, $3^1/_2$ ფუთ პურსა, თქვენ — 1 ფუთს შაქარსა,
ეს თქვენი ნება არის, მაგრამ ერთის პირობით: მე პურს მოვიტან
აზერბეიჯანიდან ქუთაისში და მხოლოდ მაშინ მომეცით შაქარი. უკე-
თესი პირობა არ წარმომიდგენია დღეს. არც ერთი მაგალითი არ ყოფი-
ლა ამისთანა. ნარსია კი მოვიდა და სთქვა: მე შაქარს წავიღებ ნისიათ
აზერბეიჯანში და აზერბეიჯანიდან პურს მოვიტან. რაღაცა მანქანებით
თათრის წინადადება უარყოფილი ყო და მიიღეს ნარსიას წინადადება
იმ დროს, როცა აკრძალული იყო კოოპერატივებზედაც კი ნისიათ შაქ-
რის მიცემა. ნარსიას ჩააბარეს შაქარი და გაისტუმრეს აზერბეიჯანში.
რაც მოხდა მერე, ბატონებო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ნარსიამ
შემოიტანა განცხადება შაქრის რეკვიზიცია მოახდინა მთავრობამაო. ეს
არ გამართლდა, ნარსიას საქმე გამოითხოვეს ქუთაისიდან, ნარსია რა-
ღასაც აპირებდა, ამ დროს შეეჩეხა მინისტრს და ნარსია დაიჭირეს. აი
რა განსხვავება არის მამისა და შვილის მონაწილეობას შორის ყოველ
გვარ კომერციულ გარიგებაში.

ეხლა თვითონ სასურსათო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ბევრს
არაფერს ვიტყვი. მე მახსოვს, როდესაც პირველათ ბ. ლორთქიფანიძე
გამოვიდა ბ. ახმეტელის საპასუხოთ, მან სთხოვა ეროვნულ საბჭოს დღეს
ამ საქმეს ნუ შეეხებით, ჩვენს სამინისტროში მზადდება კანონ-პროექტი
სასურსათო საქმის სრულ რეორგანიზაციის შესახებ, ეს კანონ-პროექტი
რომ დამზადდება მაშინ ამ კანონ-პროექტს წარმოვადგენთ, მაშინ ვილა-
პარაკებთ ბ. ახმეტელის შეკითხვის შესახებო. მე მგონია, თვითოეული
საბჭოს წევრი და მეც ისეთის წარმოდგენის ვიყავით, რომ მეორე ან
მესამე სხდომაზე მოგბძანდება სასურსათო საქმის მინისტრი, აქ ჩვენ
პრეზიდიუმს დამზადებული ექნება კანონ-პროექტი სასურსათო საქმის
რეორგანიზაციისა, ეს კანონ-პროექტი მოხსენდება ეროვნულ საბჭოს,
ეროვნული საბჭო ამ კანონ-პროექტს მუხლობრივ განიხილავს და ან
დაკანონებს, ან უარჰყოფს ერთი სიტყვით, ერთი მთავარი, ერის უმ-
თავრესი უწყების საქმე, მისი ორგანიზაცია, მისი ახალ ნიადაგზე და-
ყენება, მოხდება საბჭოს თანახმობით, საბჭოს მონაწილეობით, საბჭოს
კონტროლის ქვეშ, ეს, რასაკვირველია, პასუხისმგებლობას შეუმცი-
რებს მთავრობას, და საბჭო გაიცნობს საქმის ნამდვილ მდგომარეობას,
ახალ სისტემით, ახალ მეთოდით საქმის წარმოებას. მაშინ, რასაკვირ-
ველია, ჩვენ გვექნება მეტი საშუალება თვალ-ყური ვადევნოთ ამ საქმეს
და გვეცოდინება, თუ როგორ წარმოებს საქმე ამ სასურსათო უწყე-
ბაში. მეორე სხდომაზე რომ მობრძანდა სასურსათო საქმის მინისტრი
ბ. ლორთქიფანიძე, ერთი საოცარი რამე მოვისმინეთ მისგან. თურმე სა-
სურსათო სამინისტროში ეს რეორგანიზაცია უკვე მომხდარა, სასურსა-
თო სამინისტრო გაუქმებულა და ახალი სასურათო საბჭო დაარსებულა,
და ორი დღის შემდეგ, სთქვა ბ. ლორთქიფანიძემ, ეს სასურსათო საბჭო
შეუდგება მუშაობასაო. თქვენ კარგათ იცით ამ სასურსათო საბჭოს
შედგენილობა, ეს არის მრავალ დაწესებულებათა წარმომადგენლების
კრება, ვეებერთელა, უზარმაზარი ტლანქი, მძიმე, რომელმაც უკვე გა-
მოიჩინა ერთგვარი ურჩობა. პირველ დღესვე მათ იკისრეს მოვთხოვ-

თავმჯდომარის გამოცვლა — არ გვინდა მთავრობის მიერ [illegible] თავმჯდომარე, ჩვენ თვითონ ავირჩევთო. ცხადია, რომ ამ [illegible] საბჭო მიერ სასურსათო საქმე კიდევ უფრო აიწეწება და უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდება ქვეყანა, ვიდრე იყო სასურსათო სამინისტროს არსებობის დროს იმიტომ რომ, სამწუხაროთ, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საჭიროა არა გადიდება ამ უწყებისა, არა დიდი ვეებერთელა დაწესებულების შექმნა, არამედ კოლეგიის წევრთა რიცხვის შემცირება, ერთგვარი ცენტრალიზაცია საქმისა არის საჭირო, რომ სასურსათო საქმე მოგვარდეს. მით უმეტეს, რომ ეს რეორგანიზაცია ხდება სრულიად საბჭოს დაუკითხავათ, საბჭოს უდასტუროდ, საბჭოს მიერ სათანადო კანონის მიუღებლივ. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორგანიზაცია, ეს ახალი სასურსათო საბჭო კიდევ უფრო არევს ჩვენს საქმეს და შეიძლება მაშინ ჩვენ ვერავითარმა რეორგანიზაციამ ვერ გვიშველოს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

## მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ყორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! სამწუხაროდ, აქ არ არის დღეს (იმიტომ, რომ ის არ არის თბილისში), ჩვენი სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელი მინ. ლორთქიფანიძე. და იმ პასუხს, რომელსაც ჩვენ მისგან უნდა მოველოდეთ დღეს, რასაკვირველია აქ ვერ მივიღებთ.

მხოლოდ მე მინდა, ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ამ დღევანდელი დამატების შესახებ და გამოვარკვიო ამ კათედრიდან ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა.

ბ. ქავთარაძემ სთქვა, რომ ბ. ახმეტელის შეკითხვა იყო ერთად ერთი საბუთიანი, რომელიც მან აქ, მოისმინა და სთქვა, რომ ეს დაამოწმა თვითონ მთავრობის თავმჯდომარემ და აგრეთვე, მინისტრმა ლორთქიფანიძემო.

მაშინ, უკანასკნელ სხდომაზე, მე ვსთქვი, და ეხლაც ვიმეორებ და ალბად, ეს დაავიწყდა ბ. ქავთარაძეს, რომ ის, რაც რომ მართალი სთქვა ბ. ახმეტელმა თავის შეკითხვაში, მართალი ამბავია მეთქი, და ის ჩვენ კაი ხანი ვიცით, და ის რაც რომ ამან ახალი თქვა — მართალი არ გამოდგა. აქ ჩვენ ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი სიტყვა იმის საბუთად, რომ, რაც ბ. ახმეტელმა სთქვა, და რაც, ბ. მინ. ლორთქიფანიძემ უარჰყო ეს ფაქტები, საბუთები არ ყოფილა, და ამ საკითხში ვერ ვიგულისხმებთ და რასაკვირველია, დღეს აქ ვერ მოვისმენთ.

მაშასადამე რჩება მხოლოდ ის, რაც ჩვენ კაი ხანია ვიცით, რაც ჩვენ გვაქვს გამოძიებული, რაიცა უკვე აქვს გამოძიებული სახელმწიფო კონტროლერს. და ეს დევს მის პორთფელში. შეიძლება ახმეტელმა ეს შემუშავებული ქაღალდები გადაშალა და ამოიღო ის, რაც ჩვენ უკვე გამოკვლეული გვაქვს და აქ თქვენ წინაშე შემოიტანა შეკითხვის ფორმით. მაშასადამე, მთელი დამსახურება, უნდა ვთქვათ, ბ. ახმეტელისა არის, რომ ჩვენ კანცელარიიდან აქ მოიტანა რამდენიმე საბუთი. ეს იყო და ეს. და თუ ბ. ქავთარაძე იმას იზიარებს, და მას მოყავს აღტაცებაში — სულ სხვა წარმოდგენა ჰქონია დასაბუთებაზე და თვით შეკითხვაზეც.

მაგრამ, მე მაკვირებს, ან დღეს, ან წარსულ კრებაზე, — ვის ებრძვიან არ ვიცი. არ ვიცი ვის ებრძვიან. თუ ებრძვიან მთავრობას, — მთავრობამ თითონ სთქვა და აქ აღიარა რომ არ არის ხეირიანად მოწ-

ყობილი სასურსათო საქმე, რომ ჩვენ თითონ უშვრებით რევიზიას, ეფ-
თონ ვეძებთ, ვსინჯავთ ათასნაირ გზას რომ ეს საქმე ასე თუ ისე
ვაწესრიგოთ მაშასადამე, ჩვენ მეთქი, თითონ ვამბობთ რომ ეს საქმე
რთული საქმეა, ბევრი დაბრკოლება არის, და ვებრძვით ამ დაბრკო-
ლებებს, და თუ საქმე არ მოეწყო ხეირიანად, ამისთვის საბუთი ბევ-
რია სხვა და სხვა მიზეზებით. და მაკვირვებს, რომ ერთი ის მიზეზი,
ის მთავარი მიზეზთაგანი არ დაასახელა.

საზოგადოდ იცით, რომ საქართველოს თავის დღეში თავის საკუ-
თარი პურით არ უცხოვრია (ხმა: „მჭადით?") არც მჭადით, არც პუ-
რით. იმას ყოველთვის მოჰქონდა პური სხვა პროვინციებიდგან. დღეს
კი იცით, რომ ეს პროვინციები დახურულია, აღარ არიან პროვინცი-
ები, ისინი არიან სახელმწიფოები, და ეს სახელმწიფოები მეთქი,
პურს არ უშვებენ.

ეს მაშასადამე არის მთავარი მიზეზი ჩვენი დღევანდელი მდგომა-
რეობისა, დღევანდელ პოლიტიკისა სასურსათო მხრივ.

ჩვენი უპურობის მიზეზი, არის ის პოლიტიკური მდგომარეობა,
რომელიც შეიქნა ჩვენს ირგვლივ. შეიძლება რომ, დღევანდელ სახელ-
მწიფომ არ გამოგვიცხადა ერთნაირი დასტური, შეიძლება, მაგალითად, —
ბოლშევიკები არ დაგვემარცხა, რომ ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკა-
სიაში არ ყოფილიყვნენ, ჩრდილოეთ კავკასიაში მოქალაქეობრივი ომი
არ ყოფილიყო, ოსმალეთთან რომ ომი არ ყოფილიყო, ერთი სიტყ-
ვით არ ყოფილიყო არც ერთი ის მოვლენა, რომელიც მოხდა, — თა-
ვის თავად ახლა პური გვექნებოდა, და პურის საკითხი ასე გამწვავე-
ბული არ იქმნებოდა, მაგრამ თქვენ იცით ეს საქართველოს მთავრობის
ბრალი არ არის, აქ ოსმალეთი იქ ბოლშევიკები, იქედგან ყაზახები —
მე მგონია სრულიად ჩვენი ბრალი არ არის რომ იმათ საზღვრები და-
კეტეს; ეს იმის ბრალია, რომ ისინი იქიდან არაფერს, და არც პურს,
გვიგზავნიან, ამიტომ მეთქი, მე ვფიქრობ რომ, როცა აქ ზოგნი გამო-
დიან და ისე თავგამოდებულად ებრძვიან არ ვიცი ვის, ამიტომ, მე
ვამბობ, თითონ მთავრობა არ ამბობს, რომ ჩვენში ყველაფერი ამ საქ-
მეში რიგზე გვაქვს.

მაშასადამე, პირიქით, მე ვამბობ, რომ ბევრი არის ვასაკეთებელი
მაინცა და მაინც უნდა ვსთქვა, მე ეჭვი მაქვს ზოგიერთ მათგან. ყო-
ველთვის სახეში ვიღებდი იმ პირებს, იმ ჯგუფებს, რომელთაც ფოდ-
რათების მიღება უნდოდათ და ვერ მიიღეს. ისინი თავის თავად ცხა-
დია, არიან ხელმძღვანელნი აი, ბ. გაბაშვილი გაკვირვებულია და ბრ-
ძანებს უეჭველად, რატომ მიეცით მაზმანოვს ფოდრათი და არა ხოშ-
ტარიასო. მე ვთქვი მაშინ, თუ რატომ არ მივეცით. მე ვთქვი, რომ
ის პირობები, რომელიც იყო მაშინ წამოყენებული ერთის მხრივ ხოშ-
ტარიას მიერ, და მეორეს მხრივ მაზმანოვის ჯგუფის მიერ ორივე პი-
რობა მთავრობამ გაარჩია და უპირატესობა მიანიჭა მაზმანოვის ჯგუფს.
აქ მე არ მინახავს რომ საბუთებით ვისმეს დაემტკიცებინოს, რომ პი-
რობები ხოშტარიის ჯგუფისა უფრო ხელსაყრელია და სჯობს. აქ,
ალბად, ის ინტერესი არი გატარებული რომ მაზმანოვი სომეხია და ის
ქართველია (მაჩაბელი: „ერიჭაა") და ამიტომ უეჭველად უნდა მიეცათ
ხოშტარიასათვისო.

მე მაშინ ვთქვი, რომ ყველა ხელშეკრულობების პირობებში, რო-
მელიც იყო შეკრული ბ. საბაშვილის მიერ, ერთად ერთი პირობა, რო-

მელიც განიხილა მთავრობამ, ესე იგი პირობა მაზმანოვთან დადებული, ასე თუ ისე ხელსაყრელი იყო. ამისთანა პირობებს არავინ ეს ერ-ერ-ერ-ლებს, არც მოინდომებს ამისთანა პირობების დადებას; ეს კონტრაგენტი კი შეასრულებს. უნდა ვთქვათ, რომ მაზმანოვი ცდილობს ამ პირობების შესრულებას. ამისთვის მას აქვს მიღებული ყოველნაირი ზომები. აი დღეს სწორედ მან გამოგზავნა ქალალდი აქ სწერია. (კითხულობს) ერთად ერთი დაბრკოლება არის ის, რომ იქაური მთავრობა პურის გატანის ნებას არ აძლევს, ესე იგი დაბრკოლება არის პოლიტიკურ ხასიათისა და არა საქმიანობისა, და ეს პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლება უეჭველია თუ ჩვენ ვერ დავსძლიეთ არ შეიძლება მარტო მაზმანოვმა დასძლიოს. აქედან სჩანს, ყველა კონტრაგენტების ხელშეკრულებაში, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს საქმე—სწორედ ეს მაზმანოვის ჯგუფი მუშაობს და ცდილობს შეასრულოს, ხარჯავს ამაზე ბევრ ფულს ბევრი აგენტები ყავს, ერთად ერთი დაბრკოლება არის, და ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ყუბანის მთავრობამ მისცეს საშუალება, უფლება, რომ პური აქ გამოიტანონ.

ამას შემდეგ ბ. გაბაშვილი გამოვა და დაიწყებს ლაპარაკს, რატომ მაზმანოვს მისცეს ხელშეკრულება და არა მის ნაცნობს (გაბაშვილი: „ჩემი ნაცნობია?...") მაშინ თქვენ არ გექნებოდათ არავითარი საბუთი ილაპარაკოთ ის, რაც ილაპარაკეთ მაზმანოვზე. (გაბაშვილი: „ის თქვენი კარგი ნაცნობია").

ბ. ქავთარაძემ სთქვა, რომ მთავრობის თავმჯდომარემ დანიშნა რევიზიის მეთაურად ისეთი პირი, რომელიც არ შეიძლება იყოს ასეთ საქმის სათავეში. მე დავნიშნე მართლაც რევიზიის მეთაურად ალექსანდრე ჯაფარიძე. ალექსანდრე ჯაფარიძე მსახურობდა, არ ვიცი ეხლა მსახურობს თუ არა, მომარაგების კომიტეტში ქუთაისში. იმას ვიცნობდი როგორც მე ისე სხვები, პირდაპირ უფროსად, როგორც სასტიკ ადამიანს, ერთ კაპეიკს არ გაატანს, არავითარ საქონელს არ გაატანინებს და ვიცით ჩვენ, რომ მან მიუხედავათ იმისა, რომ იყვნენ ვინმე მისი კარგი ნაცნობები, და შეიძლება ამხანაგები იყვნენ,—მიუხედავად იმისა მან დაიჭირა რამდენიმე პირი, როცა შეუტყო მათ, რომ საქონელი თავის საწყობებიდან წაიღეს. ასეთი პირის დანიშვნა მე მგონია, რომ ჩვენ შეგვეძლო და შეგვიძლიან დღეს. ბ. ქავთარაძემ მართალია, მოათავსა ერთი პატარა წერილი „ალიონში", და ამბობს ეს პირი არ არის სანდო. ჩვენ ვერ დავინახეთ, არ ვიცით, თუ ბ. ქავთარაძეს საბუთი აქვს, ან უნდა მოეთავსა ამ წერილში, ან კიდევ აქ უნდა ეთქვა. არც წერილში მოიყვანა ეს საბუთი და ერც ჩვენთვის უცნობებია, და თუ მე ის გადავაყენე არა იმიტომ რომ ვისმეს, ან მე ეჭვი მქონდეს იმაზე, ან მქონდეს რაიმე საბუთი, იმიტომ რომ ის წერილი რომელიც იყო დაწერილი უბრალო წერილი იყო და არა ფაქტი, არამედ იმიტომ რომ, იმ დღეებში როცა მე დავნიშნე—იგი ავად გახდა, და მისი მორჩენა აქამდის არ მოხდა. მე ორი კვირა უცადე და შემდეგ ახალი პირი დავნიშნე. ყოველ შემთხვევაში, თუ ბ. ქავთარაძეს აქვს რაიმე საბუთი გვითხრას ან აქ, ან სთქვას ჩემს კაბინეთში. მე გამოვიძიებ, და მაშინ გამოირკვევა—არის თუ არა ჯაფარიძე სანდო პირი. სანამ არ არის დამტკიცებული რომ ის უნდო არის, მანამ ის არის სანდო ჩვენის აზრით.

აქ ბევრი ილაპარაკეს პურის პოლიტიკაზე, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში მონოპოლია მოვსპეთ და შემოვიღეთ

თავისუფალი ვაჭრობა; არა იმიტომ რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყოთ, რომ თავისუფალი ვაჭრობა უეჭველად საქმეს ასე თუ ისე გაუმჯობესებს, არამედ შემოვიღეთ იმიტომ, რომ მთელი საზოგადოება, მთელი წრეები დაარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ იქნება თავისუფალი ვაჭრობა, მაშინ ისინი პურს შეიძენენ და იოლად წავლენ. იმ დროს ქალაქი არაფერს აძლევდა მცხოვრებლებს, მაშინ თითონ არ ჰქონდათ უფლება შეეძინათ თავისუფლად პური, მაშინ დაიბადა აზრი—მოგვეცით მხოლოდ უფლება, წავალთ, ვიყიდით პურსა და ვეჭამთო. ჩვენ, რასაკვირველია, საზოგადოდ გვინდოდა ანგარიში გაგვეწია და ვთქვით: ვსინჯოთ, თითონ დაინახონ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ასეთ პოლიტიკურ პირობებში, რომლებშიც ჩვენ დღეს ვართ, როცა პურის მოტანა არ შეგვიძლიან, რომ იქიდან მოტანილმა პურმა, აქაური პურის ფასი ბაზარში დასწიოს, ამ შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობა ჩვენ ხელს არ მოგვცემს მაგრამ ვინაიდან ხალხს ეგონა, რომ ხელს მოგვცემს, ამიტომ ჩვენ შემოვიღეთ თავისუფალი ვაჭრობა. ეხლა კი ალბად, იციან ყველამ რომ თავისუფალმა ვაჭრობამ ის ნაყოფიერება გამოიტანა, რომელსაც ისინი ელოდენ.

ჩვენ წინაშე სდგას კიდევ საკითხი, პოლიტიკის შეცვლის შესახებ თუ ჩვენ კუბანის მთავრობა პურის შემოტანის ნებას არ მოგვცემს, და ზაქათალის ოლქიდან პურს საკმავოდ ვერ მოვიტანთ, თუ ვიქნებით იძულებულნი, რომ ისევე ჩვენი პურით და სიმინდით ვიცხოვროთ,—მაშინ, თავის თავად ცხადია, ჩვენ პურს და სიმინდს ვერ შემოვიტანთ, თუ კი რომ ჩვენ ახალი ზომა, ახალი ლონე, ახალი პოლიტიკა არ მივიღეთ. ერთი სიტყვით, ეს საკითხი სდგას მთავრობის წინაშე და ელის თქვენგან ასე თუ ისე გადაჭრას. პურის თავისუფალ ვაჭრობის მოსპობა არის დამოკიდებული იმ პასუხზე, რომელსაც მოგვცემს ჩვენ კუბანის მთავრობა. თუ კუბანის მთავრობა მოგვცემს ნებას პური იქიდან წავიღოთ, თავისუფალ ვაჭრობის ნიადაგზე, ეს მოტანილი პური, დასწევს პურის ფასს, და შეიძლება შემდეგში ბაზრის მდგომარეობას შესცვლის; თუ ეს არ მოხდა, მაშინ უეჭველად ჩვენი პოლიტიკა უნდა შეეცვალოთ.

მეორეს მხრით, სასურსათო პოლიტიკის საწარმოებლად საჭირო არის ორგანიზაცია. ჩვენ დავინახეთ, რომ უეჭველად საჭიროა, რომ ამ ორგანიზაციაში მიიღონ მონაწილეობა დაინტერესებულმა საზოგადოებრივ,—სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებმა. ე. ი. საზოგადოების, ქალაქის, ერობების, კოოპერატივებს და სხვების წარმომადგენლებმა. ამიტომ ჩვენ აქ ვთქვით ამას წინ, რომ ასეთი ახალი ორგანიზაცია სდგება, და მართალია ახალი ორგანიზაცია ხდება, და თუ არ არის ეს ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ეს იმის ბრალია, რომ არის ერთნაირი უთანხმოება, ის უთანხმოება, რომელზედაც აქ მიუთითა ბ. ქავთარაძემ. ქალაქის კავშირი თხოულობს, რომ თავმჯდომარე საბჭოსი იყოს საბჭოს მიერ ამორჩეული, ჩვენ კი ვამბობთ—თავმჯდომარე იყოს ჩვენგან დანიშნული და დამტკიცებული. ეს დავა არის, და ჩვენ გვინდა, რომ ეს დავა ასე თუ ისე დღეს დაბოლოვდეს. ამ დღეებში შესდგეს საბჭო, და ამ დღეებში შეუდგეს თავის მუშაობას (ახმეტელი: რატომ საბჭო არ შემოიტანს პროტესტს"). უკაცრავად, ჩვენ ვამბობდით გუშინ, რომ არის 2 წესი, ერთი ის წესი, რომ საბჭო იყოს დაკანონებული, ესე იგი რომ თვით ჩვენმა საბჭომ მიიღოს კანონპროექტი, რომ იქმნეს

სასურსათო საბჭო დაკანონებული საბჭოს მიერ. მეორე წესი, რომ წარმოება საქმისა იქმნეს მოგვარებული მართველობის წესით. ჩვენ ვიცი-ჩიეთ უკანასკნელი წესი, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიცით, ეს ორგანიზაცია რას მოგვცემს ჩვენ. იქნება ჩვენიმხრით სასარგებლო, თუ იქნება უსარგებლო. თუ ეს შემოვიღეთ, თავის თავად ცხადია გაუქმება ისე ადვილად არ შეიძლება, მაგრამ თუ დავინახეთ საჭიროდ ამ ორგანიზაციის გაუქმება, ჩვენ გავაუქმებთ, თუ მაგას შემოვიღებთ მართველობის წესით. თავის თავად ცხადია, თუ დავინახეთ რომ ამ ახალ ორგანიზაციას მართლა შეუძლიან მოიტანოს სარგებლობა, და საქმიანი ორგანიზაცია არის—მაშინ შემოვალთ წინადადებით, რომ ის იყოს დაკანონებული. თავის თავად ცხადია ეს არის მიზეზი იმის, რომ ჩვენ აქ არ წარმოვადგინეთ კანონპროექტი ამ ორგანიზაციისა, ვინემ არ დავრწმუნდებით, რომ ეს იქნება უკანასკნელი სიტყვა ჩვენის სასურსათო ორგანიზაციისა.

როგორც ხედავთ სასურსათო საკითხი, ისეთი რთული საკითხია, რომ ამაში ჩვენ მუშაობა არ შეგვიძლია, ვეძებთ ახალ გზას, ახალ პოლიტიკას, ახალ ორგანიზაციას. ამიტომ, ბატონებო, როცა აქ შემოდიან ამ შეკითხვებით, ისე რომ ვითომ ჩვენ გვებაძვიან, მე მგონია, ისინი ჩვენ არ გვებრძვიან, არამედ ისინი ებრძვიან ქარის წისქვილებს. ჩვენ რომ მიგვემართნა თქვენთვის, და სხვისთვის, რომ თითონ მიგვითითონ, ან მოსპონ პოლიტიკური მიზეზები, ან თუ გყავთ სანდო პირები, რომ გვითხრან ჩვენ ყველა იმას მივიღებდით მხედველობაში, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ განსაკუთრებული ჯგუფისაგან, რომელიც აქ მიჩვეულია შემოიტანოს შეკითხვები, არც ერთჯერ არავითარი, არც კანონები, არც წინადადებები არ მიგვიღია, უნდა ვთქვა, რომ ამ ტრიბუნიდან ლაპარაკი, განსაკუთრებით ისეთი ლაპარაკი, რომელსაც აკლია საბუთები, არ არის ბატონებო ადვილი საქმე.

ჩვენ ასე გვგონია, და ამ საქმის წარმოება აქ, ამ ტრიბუნიდან ჩვენ არ გვინდა, და თუ გაქვთ რამე—ან პირები გყავთ, ან რაიმე წინადადება გაქვთ, ან არის რაიმე ახალი აზრი ამ სკითხის გარშემო, —მაშინ შეგიძლიან, მეთქი, აქედან სთქვათ, აქედან გვაცნობოთ. მაგრამ რაც აქამდის თქვენ გვაცნობეთ ამაში ახალი საბუთი ვერ დავინახეთ. მართალია, ამ შეკითხვას აქვს ერთნაირი ინტერესი, მაგრამ ამ შეკითხვაში მეთქი, საქმიანი დაყენება საკითხისა ვერ დავინახეთ.

უნდა ვთქვა, რომ ახმეტელის შეკითხვა, რომ ყოფილიყო თავის დროზე ერთი თვის წინედ,—მაშინ ექმნებოდა მნიშვნელობა, ეხლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ შეკითხვას, იმიტომ რომ ის აქ არის შემოტანილი, ალბათ იმიტომ, რომ გაიგო ჩვენ კანცელარიაში, და აქ მოიტანა ეს ამბავი, რომ ერთხელ კიდევ მისცემოდა საბუთი, მიზეზი, ერთხელ კიდევ, ერთი შენიშვნა აქ ყოფილიყო შემოტანილი.

თავმჯდომარე. წინადადება არის შემოტანილი, რომ შევწყვიტოთ კამათი. გნებავთ განვაგრძოთ კრება? ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეძლევა საბჭოს წევრს მაჭავარიანს.

ირ. წერეთელი. („გავათავოთ კითხვა“)

თავმჯდომარე. „უკაცრავად.“

ილ. მაჭავარიანი. (ნ. დ.) ბატონებო! უარს არავინ ჰყოფს, რომ ეს საკითხი მეტად რთული და მეტად მნიშვნელოვანი არის. მართალია სამი დღე მოუნდით ამ საკითხის გაშუქებას და მომავალ სასურსათო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედების გათვალისწინებას, მაგრამ მაინც საკითხი სავსებით გვიწურავს.

აქ ბატონმა კიკვაძემ ბრძანა...

თავმჯდომარე. „გთხოვთ არსებითად ნუ შეეხებით საკითხს“

მაჭავარიანი. არა ბატონებო მე ვეხები ამ საკითხის მნიშვნელობას... ბატონმა კიკვაძემ ბრძანა, რომ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი არის, რომ რუსეთის მთავრობა, რუსეთის სახელმწიფო გადაატრიალაო. მე მაგას არ მოგახსენებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ საკითხს ბევრი დრო მოვანდომოთ, ისა სჯობია, ვიდრე მთავრობა და ეხლახან შობილი საქართველო ჩავაყენოთ სახიფათო მდგომარეობაში.

ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ სავსებით იყოს ამოწურული ეს საკითხი, კრება გადადებული იყოს და შემდეგ პარასკევისთვის, ან ხვალ ან ზეგ ამისთვის დანიშნული იყოს განსაკუთრებული კრება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ი. წერეთელს.

ირაკლი წერეთელი. ბატონებო, მე წინააღმდეგი ვარ კრების გადადებისა, იმიტომ რომ, მართლა რთული საკითხია, მართლა მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ეს მესამე დღეა ამაზე ვლაპარაკობთ. სრული შეძლება მოგეცით ყველას, ვისაც რაიმე შეეძლო ამის შესახებ ეთქვა ელაპარაკა, განსაკუთრებით ოპოზიციის წარმომადგენელებს. ბატონმა გაბაშვილმა 2 საათი ილაპარაკა. დღეს, სხვა წარმომადგენელებმაც ბევრი ილაპარაკეს. მე მგონია ყველას აქვს თავისი საზღვარი, უნდა რომელიმე კითხვა ბოლოს და ბოლოს გავათავოთ. თუ დღეს ეს კითხვა კიდევ გადავდეთ—ჩაეწერებიან ახალი არატორები, მთავრობის წევრებიც იძულებული იქმნებიან კიდევ გამოვიდნენ: განმეორდება კიდევ ის რაც 3 დღეს ვილაპარაკეთ.

ამიტომ საქმიანობის მიხედვით, რაკი მივეცით სრული საშუალება რომ ყველას ელაპარაკნა—ჩვენ კრებას ნუ შევწყვეტთ, სანამ არ მივიღებთ ამა თუ იმ დებულებას.

შეიძლება სთქვან: რაკი მთავრობის თავმჯდომარე გამოვიდა—მოგვეცით საშუალება ვილაპარაკოთო. შეიძლება ილაპარაკონ, მაგრამ განსაზღვრული დროით 10 წუთით.

მე მგონი, თუ არსებითად რამეა დასამატებელი, თვითოული ორატორი, 10 წუთში იტყვის იმას, რაც 2—3 საათში ვერ მოახერხეს სხვებმა რომ ეთქვათ.

შეიძლება ეხლა, ყოველ შემთხვევაში, განვსაზღვროთ ორატორი 10 წუთით, და კრება განვაგრძოთ.

თავმჯდომარე. არის წინადადება, რომ გადავდოთ სამემრისოთ საკითხი. არის წინადადება, რომ შევამოკლოთ 10 წუთით, განუსაზღვროთ თვითოულ ორატორს დრო 10 წუთით.

ამ ორ წინადადებას კენჭს უყრი. (ხმა—5 წუთი): კენჭს უყრი. ვის ნებავს შევამოკლოთ დრო 10 წუთით? (კენჭის ყრა): მაშასადამე უმრავლესობა არის 10 წუთის მომხრე. (ვეშაპელი: „სულ მოვსპოთ“). სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს აკაკი პაპავას.

(თავმჯდომარის ალაგს იჭერს იესე ბარათაშვილი)

აკაკი პაპავა (ს. ფ.) ბატონებო! საბჭოს წევრის, ბატონ ახმეტელის შეკითხვას ექნებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაშინ რომ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო პრობლემა ფართოდ დაესვა, რომ მას მიეწოდებინა... (ხმაურობა).

(თავმჯდომარე. სარს რეკავს) რომ მას მოეწოდებინა, ჩვენთვის, მთავრობისთვის რაიმე განსაკუთრებული გეგმა, ან საურსათო პრობლემა გადაეფართოებინა.

ჩვენ ვიცით, რომ, მთავრობა ამ საკითხს ყოველმხრივ უფლის, რომ პრესა მას განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს, რომ ეს არის ჩვენი რეს. პუბლიკის ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მაგრამ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან მაინც ვერ გვიპოვნია. ასეთი გეგმა მაინც შემუშავებული არ არის და დიდ სამსახურს გაუწევდა სამშობლოს და ეროვნულ საბჭოს ბატონი ახმეტელი, რომ მას ასეთი გეგმა წარმოედგინა.

ჩვენ საშუალოდ სულ სხვა მოვისმინეთ. მან პარლამენტი სამუშაოდ გადააქცია იურიდიულ კომისიად. მან მოიტანა აქ სხვა და სხვა კონტრაქტები, წარმოუდგინა ჩვენ პარლამენტს და იწყო მსჯელობა იმის შესახებ, თურამდენად ხელსაყრელია ესა თუ ის კონტრაქტი ამა თუ იმ კონტრაგენტთან დადებული. ესე იგი ჩვენი პირდაპირი მუშაობა, ჩვენმა საკანონმდებლო მუშაობამ, რომელმაც რადიკალურად უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი, და პრობლემა ფართოდ გააშუქოს — გზას სრულიად ასცდა.

ბ. ახმეტელის შეკითხვის შემდეგ, ჩვენ შევიქენით იურიდიულ საკონსულტაციო კომისიად.

რასაკვირველია ვერ არის მოგვარებული სასურსათო საკითხი ისე როგორც საჭირო არის, ამას ყველა კანონმდებელი, ყველა კაცი, გაიზიარებს. ამას ბრძანებს მთავრობის თავმჯდომარეც.

მაგრამ ყველა ეს მიზეზები, რომ მივაწეროთ მთავრობის უძლურებას და კერძოთ, ისე ავხსნათ ეს მიზეზები, როგორც ხსნის იმას ბ. რეზო გაბაშვილი, რომ გზათა მინისტრი სრულიად შეუფერებელი არის ამ მოვალეობისთვის — ასეთ წვრილმანებით რომ შეიძლებოდეს ამ საკითხის ახსნა, — ამას მთავრობა სულ ადვილათ მოუვლიდა. რასაკვირველია, მაშინ მთავრობის წინაშე იქმნებოდა უბრალო, მარტივი საკითხი: ბატონ ლორთქიფანიძეს გადაყენებისა და მის ადგილზე სხვის დანიშვნისა. მაგრამ აქ ალბად, სხვა რაღაც ღრმა მიზეზები არის. ამ მიზეზების წინაშე ჯერ-ჯერობით უძლური არის მთავრობა, არიან მიზეზები, არის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, და რომლის გამო ჯერ ჯერობით უძლური არის ჩვენი მთავრობა რომ რაიმე რადიკალური საშუალება მონახოს, უკეთ გაგვიძღვეს, და ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანოს.

მთავარი მიზეზი ამ სასურსათო კრიზისისა დაკავშირებული გახლავთ საფინანსო კრიზისთან. მთავრობას ეს ფინანსიური კრიზისი არ მოსდევს იმ დროიდან, როდესაც შეიქმნა ჩვენი დამოუკიდებელი საქართველო., ეს კარგად მოგეხსენებათ ყველას. ეს იყო ეკლის გვირგვინი, რომელიც გადმოსცა რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს. ისე საშინლათ იყო აწეწილ დაწეწილი რუსეთი და ჩვენი საქართველო, რომ, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა შეიქმნა, იძულებული გახდა მიეღო, ესე ვსთქვათ, ეს ანდერძი, ეს საშინელი ანდერძი რუსეთის მთავრობისაგან. იმის მაგივრად, რომ მოკავშირეებთან მოეწესრიგებინათ რადიკალურად ეს საკითხი, დაეკმაყოფილებინა ომის მოთხოვნილება, ისინი სრულიად ვერ სწყვეტდენ. ამ პრობლემას ფართოდ ვერ სვამდა, როგორც ჩვენი ოპოზიცია, ისე რუსეთის მთავრო-

ბა, რომელმაც ვერ მიაქცია ამას ყურადღება. ომის მოთხოვნილებ-
დაკმაყოფილებისათვის სოჭირო იყო განაწილება-ნა ეროვნულ-
რისა. ამავე დროს ომი ჰყვლეფავდა სახელმწიფოს, იკლებდა არა ჩვე-
ულობრივად. მოისპო, შემცირდა საქონელი ბაზარზე და ფულის ფასი
დაეცა. თავის თავად ცხადია აქედან, რომ გლეხკაცმა რომელიც
ჰყიდდა პურს, პურის ფასი ასწია. ასეთი მდგომარეობა, ასეთი ანდერძი
გადაეცა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას. ამას დაუმატეთ ის
კიდევ, რომ რუსეთის მთავრობის ხელთ იყო მოწყობილი აპარატი,
რომლის საშუალებით გადასახადებებს ჰკრებდა.— საქართველოს მთავ-
რობას ეს საშუალებაც წართმეული ჰქონდა. ჩვენ დავიწყეთ ახალი
სახელმწიფოს შენება და ეს ორივე საშუალება, რომელიც სწყვეტს
საკითხს და რომლითაც პოლიტიკა იქმნებოდა,—ეს ორი საშუალება წა-
ერთვა ჩვენ მთავრობას.

მაშასადამე, ჩვენს მთავრობას თავიდანვე ხელახლად მოუხდა საქ-
მის დაწყება. და ამ დაშლილ აპარატის წინაშე დადგა ეს პრობლემა,
და რასაკვირველია, ეს რადიკალურად გადაჭრილი ვერ იქნებოდა და ამ
შემთხვევაში... (გაბაშვილი „რა გააკეთა"?)

საქმე იმაშია, რომ ერთად ერთი გამოსავალი ამ საკითხიდან სწო-
რედ ნათლად აქვს გაშუქებული მთავრობას. მთავრობა ამბობს, რომ
პური გაიაფდეს, რომ ფულის ფასმა აიწიოს საჭირო არის ამისთვის
გარედან შამოვიტანოთ პური მთელ ჩვენ ქვეყანისთვის. მთელი ჩვენი
აპარატი, მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ უნდა მივაქციოთ... მთავ-
რობა არა თუ არ იზოგავს ფულს ამისთვის, არამედ ის ქონება, რო-
მელიც დაშლილ ფრონტიდან დარჩა იგი, თუმცა აუცილებლად საჭი-
როა ჩვენთვის, მაგრამ ამასაც კი, ამბობს ის, სხვა სახელმწიფოში გა-
ვიტანთ, ოღონდ კი შემოვიტანოთ პური. მაშასადამე ძირითადი საკით-
ხი მთავრობამ ნათლად ჰკოვა: მაგრამ ერთად ერთი გამოსავალი არის
გარედ ან შემოტანილი პური. თქვენ იცით, რაც მთავრობის თავმჯდო-
მარემ გამოაცხადა, თქვენ იცით რომ ყუბანის ოლქში „კომერსანტის"
საზოგადოება, რომელსაც ისე ეწინააღმდეგება შემკითხველი და სპე-
კულიანტებს ეძახის, სწორედ ამ საზოგადოებას მოუხერხებია, რომ
ეშოვნა საკმაო პური.

ბატონ ხოშტარიას უთხოვნია რაღაც განსაკუთრებული პირობები.
უთხოვნია, რომ მთავრობა დახმარებოდა საზღვარ გარეთიდან პურის
შემოტანაში. ეს დახმარება სრულებით არ დასჭირებია „კომერსანტს".
„კომერსანტს დასთანხმდენ ყუბანის ოლქის ფირმები მისცენ პური იმდენი,
რამდენიც საჭირო იქნება საქართველოს რესპუბლიკისათვის. მაგრამ აქ
ერთი დაბრკოლება არის, მარტო წვრილმანი დაბრკოლება. მიღწეული
არის თითქმის მიზანი—სრულიათ. ჩვენ ვიცით, კერძოთ, რომ ეს პური
ეღირება 15—18 მანეთი ფოთში მოტანილი, მაშასადამე, ვინაიდან
პური არის მთავარი რეგულიატორი, აქედან შეიძლება აიწიოს ფულის
ფასმაც და ერთგვარ ნორმალურ კალაპოტში ჩასდგეს ცხოვრება. მაშა-
სადამე, მთელი ყურადღება მთავრობისა უნდა იყოს მიქცეული ამ აპა-
რატის მოწყობაზე, რომ ეს პური როგორმე შემოვიდეს.

მთავრობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მას სათანადო ზომები
მიღებული აქვს, რომ ყუბანის ოლქიდან ეს პური შემოვიტანოთ.

რაც შეეხება, კერძოდ კონტრაგენტების პირობების განხილვას,
სხვა და სხვა კონტრაგენტების პირობების დაპირისპირებას, დღევანდელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებელი პირობებში, რასაკვირველია მე ამას არ ვაკისრულობ. იმიტომ რომ რევიზია, საბოლოოდ გამოარკვევს ამ საქმეს. მაგრამ, ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ბოროტმოქმედება არ ყოფილა. ის განსაკუთრებელი პირობები, რომლებშიაც იმყოფებოდა ჩვენი ქვეყანა, და დამშეული სოფელი, აიძულებდა სწორეთ ამ მთავრობას არა სასარგებლო და ხელსაყრელი ხელშეკრულება დაედო. ჩვენ რომ ამ პოზიციაზე დავდგომილიყავით, და სასურსათო სამინისტრო დამდგარიყო იმ პოზიციაზე, რა პოზიციაზეი მას აყენებს შემკითხველი, — მაშინ ამ სასურსათოს სამინისტროს უნდა ეთქვა, — თუმცა ჩვენი ხალხი სოფლებში შიმშილით იხოცება, მაგრამ მე არ შემიძლიან, ეს ხელშეკრულება თქვენთან დავდო, ვინაიდან ეს არ არის ხელსაყრელიო (ზარი. თავმჯდომარე — „გადის თქვენი დრო. „ერთი წუთი დაგრჩათ". არ ისმის ორატორის სიტყვები). მაგრამ ეს იქნება უფრო მეტი დანაშაულობა ხალხის წინაშე. (ზარი არ ისმის) ალბად საბოლოოდ გამოირკვევს რევიზია, რომელიც მთავრობამ დანიშნა...

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს აკაკი ფალავას.

აკაკი ფალავა. (ს -დ.) ბატონებო! მე უნდა გამოვთქვა მწუხარება, რომ ასეთ ცუდ პირობებში მიხდება ლაპარაკი, თუმცა ჩემი დრო განსაზღვრულია 10 წუთით, მაგრამ არ შემიძლიან ამით მაინც არ ვისარგებლო.

პირველად მე უნდა ვსთქვა, რომ აქ ჩვენ არაფის ვებრძვით. პირიწით მე სწორეთ ხელს მოვაწერ იმ განცხადებაზედ, რომ ბ. ქავთარაძემ გააკეთა, ჩვენ გვწადია, რომ მთავრობა გამაგრდეს. სწორედ ამისთვის ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ აუცილებელია სარგებლობა ამ ტრიბუნით, რომ ის ნაკლულოვანობა, რაც საქმეებიდან აღმოჩნდა — საქვეყნოდ იყვნენ გამოაშკარავებულნი ტრიბუნიდან. მე მწამს, რომ მაშინ, როდესაც ყველას ეცოდინება, რომ დეპუტატები ყოველთვის ფხიზლად არიან და ადევნებენ თვალ ყურს ამა თუ იმ ბოროტ მოქმედებასა და ტრიბუნიდან მას საჯაროდ აცხადებენ და ებრძვიან, — აი მაშინ ყოველ გვარი ბოროტ მოქმედება ჩვენში ნაკლები იქნება.

სავალალოა რომ საქართველოში სათანადო შეგნება აღარ აღმოჩნდა. ეს ს. დ. წარმომადგენელმა აქ აღიარა, და მეც, სამწუხაროთ, არ შემიძლიან არ დავეთანხმო.

ამის შემდეგ მე ძალიან მაკვირებს ბ. მთავრობის თავმჯდომარის განცხადება ჯაფარიძის რევიზორად დანიშვნის შესახებ. მან განაცხადა, რომ ჯაფარიძე იყო თავმჯდომარე მომარაგების კომიტეტისა. მაგრამ მას, ალბად, დავიწყებია, რომ იგივე პირი იყო საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მოდვაწე და სწორედ ის ეხლა რევიზიას აწარმოებდა. მისი თანამშრომელი, რწმუნებული არდიშვილი დროებითი დიქტატორი სასურსათო საქმისა. მე მგონია რომ უხერხულია, როდესაც ამხანაგი რევიზიას უკეთებს, საქმეში მონაწილეობას იღებს, რომ იმავე საქმეს რევიზიას უკეთებდეს, მე ამას ვერასოდეს ვერ გავიზიარებ. ვერ გავიზიარებ პატივცემულ თავმჯდომარის შეხედულებას, რადგანაც ეს ყალბი შეხედულება არის, რომ ასეთი კანდიდატების რევიზორებათ დაინიშვნა შესაძლებელი იყოს.

რაც შეეხება ორგანიზაციის მოწყობას, მთავრობის თავმჯდომარე გვეუბნება, რომ ამ ორგანიზაციას უცბად ვერ შევქმნით თუ არა გამგეობის წესითო. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ხშირად პიროვნების გამოცვლა

იწვევს იმ არევ დარევას, რომ საქმეს თავს ვეღარ ართმევენ. საქმე შინაარსი არის; საქმე იმაში არის, თუ რა კეთდება თვითონ ოფიციალ-ზაციაში, როგორ არის საქმის წარმოდგენა, როგორ არის საქმის წარ-მოება—ბოლოს და ბოლოს აქვს დიდი და უაღრესი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ აკეთებენ ამ საქმეს. ორ ფაქტს მოვიყვან იმის დასახასია-თებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას. ერთ დროს რომ შესულიყა-ვით ჩვენს სასურსათო სამინისტროში დაინახავდით, რომ იქ იყვნენ პუ-რის სპეკულიანტები, და ყოველგვარი სპეკულიანტები მთელი ქვეყნისა. გავლა არ შეიძლებოდა. მაგრამ საკმარისი შეიქმნა, რომ იმავე უწყებაში შეედგათ ფეხი სხვა პირებს, რომ იგივე სპეკულიაცია დატრიალებულიყო. მაშასადამე საქმე შინაარსი გახლავთ და არა ფორმა. ამიტომ ფორმის გამოცვლას არ ვითხოვთ. იმიტომ რომ იგი გვაზარალებს; ჩვენ ვითხოვთ, რომ დარჩეს ის, რომელიც აქამდის იყო, მხოლოთ მისი შინაარსი არსე-ბითად გაუმჯობესდეს. და აი სწორედ მაშინ, როდესაც სამიმინისტრო გაუმჯობესობის გზას დაადგა,—სწორედ ამ დროს საქმე ყირამალა დააყენეს.

პირველივე ნაბიჯი ახალ სასურსათო საბჭოსი სწორედ ბრძოლა იყო სამინისტროსთან, რომელმაც თვითონ მთავრობის თავმჯდომარის უსიამოვნობა გამოიწვია.

ჩვენ ვერ გაგვიგია, რატომ არის, რომ სხვა სახელმწიფო არ უშ-ვებს ჩვენში პურს. კარგი, ბატონო, დაგეთანხმებით, რომ არ უშვებენ, მაგრამ, რატომ არის ის, რომ რაც ჩვენ გვაქვს ის მიდის აქედან და ჩვენში კი არაფერი შემოდის. რად მოხდა ის რომ შაქარი გაიტანეს თათრებმა, გაიტანეს ყუბანში და სამაგიეროდ არა შემოიტანეს რა? ეს სისტემა იყო, და არ ხდებოდა შემთხვევით. ორ-სამ შემთხვევაში ჩაი, შაქარი, თუთუნი გვგზავნეთ, მაგრამ სამაგიეროდ პური და სანოვაგე არ შემოუტანიათ, და, სამწუხაროთ, არც გარანტია არის, რომ შემოი-ტანენ.

აი რა არის სავალალო.

თქვენ, მაგალითად, ნარსია ჩასვით ციხეში, მაგრამ სად არის ის სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც მას თან ახლდა, და რომელზედაც ამბობს ბ. ახმეტელი, რომ ისიც ამ ოპერაციაში მო-ნაწილეობას იღებდა? (წერეთელი „ამას რევიზია გამოარკვევს") დიახ, რევიზია გამოარკვევს.

მინისტრმა უსაყვედურა მეტრეველს იმის გამო, რომ მან სთხოვა საშუალება მომეცით და მე თითონ გამოვიძიებ ამ საქმესო. საქმის გამოსაკვლევად არ შეიძლება ეჭვებით ილაპარაკოთ: როდესაც გინდათ, რომ საქმე გაიგოს კაცმა—უნდა გამოძიება მოახდინოთ: მაგრამ, ყველამ ვიცით, დღევანდელ პირობებში, რომ ეს მეტის მეტად ძნელია. თვით აქ ცენტრში, თბილისში ისეთ დაწესებულებაში, როგორც არის ქალა-ქის გამგეობა, რომლის წარმომადგენლები აქ სხედან ქალაქის თავითურთ ამ დაწესებულებაში, მე, დეპუტატმა ვერ შევძელ უბრალო ცნობა, აგრეთ წოდებული „სპრავკა" მიმეღო. მე მითხრეს—არ შეიძლება ვერ მოგცემთ, მაგრამ როდესაც მე კატეგორიულად მოვითხოვე, და სამწუ-ხაროთ „სკანდალიც" მოვახდინე, რადგანაც მოთბინებიდან გამომიყვა-ნეს, მაშინ მომცეს ეს ცნობა... აი როდესაც ესე არის საქმე დაყენე-ბული—ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ,

თუ რა ძნელია მოგერება ამა თუ იმ ბოროტ მოქმედებისა [illegible] ხედავთ, რომ ასეთ ძნელ პირობებში ვვიხდება ცხოვრება [illegible] ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ...

სხვათა შორის, მე არ შემიძლიან უარვყო და არ მივაქციო ყურადღება, ბ. კიკვაძის განცხადებას, რომ ჩვენ შემოვიტანთ კანონ პროექტს და სახელმწიფო ქონების გამფლანგველი სასტიკად დაისჯებიანთ — ამის უარყოფა არ შეიძლება. ეს ჭეშმარიტება არის. დღეს უნდა არსებობდეს ასეთი კანონი. მე იურისტი არ გახლავარ და არ ვიცი ის ორგანიზაციები რომელთაც მინიჭებული აქვთ ამ ქონებაზე ზრუნვა. მაგრამ მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ შემთხვევაში არსებობს ისეთი კანონი, რომელიც სჯის სახელმწიფო ქონების გაფლანგისთვის. ბ. კიკვაძის განცხადება კი ისეთ შთ.ბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს სანამ ახალ კანონს არ გამოვცემთ, ასეთი მოვლენის წინააღმდეგ არ უნდა ვიბრძოდეთ. ასეთი განცხადება ძალიან სახიფათო არის. ვინაიდან ცოტა დრო დამრჩა, მხოლოდ ერთ ფაქტს ერთ დეტალს აღვნიშნავ. მაგალითად, ლანჩხუთისთვის კახეთიდან ერთს ორ ვაგონის პურის წამოღებას მთელი კვირა უნდა. თვით მიმოსვლაზე ხომ აუარებელი ხარჯები მიდის და ვინც უნდა ჩაიბაროს გამგესაგან პური და ვინც უნდა წაიღოს, იმას იმდენი შეგნება არა აქვს რომ დოკუმენტები წარუდგინოს გამგეს. ხშირად ხდება რომ მასთან სხვა და სხვა პირები მიდიან და აცხადებენ, რომ არა მე მეკუთვნის პური და არა მეო. დოკუმენტები კი არც ერთს აქვს და არც მეორეს, ასე რომ არც ერთს აძლევენ პურს და ვერც მეორე იღებს.

წვრილმანი ერებისთვის სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ყველა ამ წვრილმან ერს სხვა და სხვა ჭიები ღრნიან. საქართველოშიც, ჩვენ ცხოვრებაში, ისეთი წესები შეიქმნა, რომ დღითი დღე მრავლდება ყოველ გვარი ბოროტ მოქმედება, საჭიროა ყოველ გვარ ბოროტ მოქმედება, წვრილმანი და სხვილმანი საჭიროა ამის ხაზ გასმით აღიარება, რათა ყველამ იცოდეს, რომ არ არის არც პატარა არც დიდი ბოროტმოქმედება ჩვენ ცხოვრებაში, რომ მას პასუხის მგებლობა არ მოსდევდეს.

ჩვენ, ცხადია, კმაყოფილნი ვართ იმ ნაბიჯით, რომელიც მთავრობამ გადასდგა რევიზიის სახით. რასაკვირველია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე თანდათან გამოსწორდება მომავალში, ერთბაშად უკეთმართობის გამოსწორება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, მაგრამ აუცილებლად საჭიროთ მიგვაჩნია იქმნეს აი ამ პარლამენტის კათედრიდან აღიარებული, რომ მთავრობა ყოველივე ასეთ ფაქტს (ზარი: თავმჯდომარე თქვენი დრო თავდება) დიდ ანგარიშს გაუწევს და ყურადღებას მიაქცევს. და უსურვებთ მთავრობას, რომ მან ამ გზით აწარმოოს საქმე. რაც შეეხება (ზარი..) თითონ ორგანიზაციას ის ცდა, როგორც ყოველივე ახალი ცდა შეიძლება დამლუმპველი იყოს.

უმჯობესია რაც არის დავტოვოთ, და მხოლოთ შინაარსი გავაუმჯობესოთ... (ზარი) გადიშინჯოს ხელშეკრულებები მით უფრო, რომ რაც რევიზია დაინიშნა, ასე თუ ისე საქმე უფრო უმჯობესდება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ა. ფარნიევს.

ა. ფარნიევი. (ს. დ.) ახმეტელის შეკითხვამ, რომელიც ჩვენ სახელმწიფოს განსაკუთრებულ მალამოდ მიაჩნია ბ. ქავთარაძეს, მაინც და მაინც, ვერ მიიპყრო ვერავის ყურადღება, თუ გინდ მემარჯვენეებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებმაც თავი მიანებეს და წავიდნენ. რატომ არის ეს? იმიტომ ამ შეკითხვაში არ არის ჩაქსოვილი მიზეზი. მათ ის კი არ აინტერესებთ რომ სასურსათო საქმე იყოს მოწყობილი,—არამედ ის, რომ ერთი სპეკულიანტის მაგივრად. რატომ მეორე არ არისო. აქ გამოდიან ისეთი იმედით, რომ ამ საბჭოში ვინმე დაარწმუნონ, თუმცა თავის თავად ცხადია იმედი არა აქვთ ბოლომდისინ წაიყვანონ თავიანთ საქმეს და რადგანაც უიმედოდ არიან, უნდა მიატოვონ კრება და წავიდნენ.

უმთავრესად სამად უნდა იყოს გაყოფილი ეს შეკითხვა. 1—ბოროტ მოქმედება, მე-23 ხელშეკრულობის სარგებლობა თუ უსარგებლობა და საშუალება, რომელსაც მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება.

ახმეტელის შეკითხვაში არ არის არც პირველი, არც მეორე, არც მესამე. ჩ. შინ ჩვენ შეგვიძლია გვესაუბრეთ მთავრობისთვის უმოქმედობა უკოდინარობა იმისი, რასაც სჩადის და რასაც ხედავს საბჭოს წევრი რეზო გაბაშვილი, მაგრამ, გამოდის, რომ მთავრობამ უფრო ადრე იცოდა, და უფრო ადრე მიაქცია ყურადღება ამ საქმისა, და ეს კი შემ, დეგ ეუბნება მთავრობას—იცი თუ არ იცი, რაც გუშინ გააკეთე შენო? მე ვეტყოდი რეზო გაბაშვილს—გამოსავალი გზები მთავრობისა მას არ მოსწონს, არც მოსწონს მთავრობის ის ნაბიჯები, რომლებითაც იგი ებრძვის ბოროტ მოქმედებას, მან იცის, რომ მთავრობა აბათილებს, ან და არ მოსწონს საზარალო ხელშეკრულებანი, მაგრამ ის მაინც ამბობს ეგ აგრეა, მაგრამ მაინც, რატომ ხოშტარიას არ მიეცითო. როდესაც მთავრობა აცხადებს, რომ საერთოთ საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა ისეთი ორგანიზაციების მომხრობა, როგორც არის ქალაქის თვითმართველობა, კოოპერატივები და სხვა და სხვა დაწესებულებებიო—აქ თითონ კოოპერატორი რეზო გაბაშვილი გამოდის და ამბობს—რას გამოგვადგებათ ეს კოოპერატივები, ქალაქის თვითმართველობა, წითელი გვარდია და სხვა და სხვაო (მაჩაბელი: „დომხალი იქნება), მე მგონია რომ ბატონო გაბაშვილო, მე ყურს გიგდებდით, არ გიშლიდით (გაბაშვილი—„მეც ყურს გიგდებთ, არ გიშლით") ჰო და, ეხლა გამოსავ ლი რაღა არის?

თქვენ გყავთ რაზმებიო, ამბობს ის, რომელნიც უნდა პურს აგროვებდენ, მარა ისინი არაფერს აგროვებენ; თქვენ არა გაქვთ მაგარი აპარატიო და სხვა.

აი თავად-აზნაურობას კი თავისუფლად შემოჰქონდათო. რა შემოჰქონდათ? რა თქმა უნდა შემოჰქონდათ ღალა, რომელსაც ართმევდნენ გლეხებს. იყო ორგანიზაცია, მაგარი აპარატი, რომელიც მას ზურგს უკან უდგა. ჩვენ ბევრს ვნახავთ თავად-აზნაურობის შემოტანილ საქონელს, თითქმის უფასოს, 6 შაურათ.

აი მაგალითად, ეროვნულ დემოკრატები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ მოაწყობდენ საქმეს? არ ვიცი მოაწყობდნენ თუ არა, მაგრამ ბ. გაბაშვილს, რომელიც არის ცნობილი კოოპერატორი იმედი არ აქვს რომ კოოპერატივები მოაწესრიგებენ რამეს. მე მგონია, რომ მათ პარტიაში აღარ მოიძებნება ისეთი ვინმე, რომელიც იტყოდა რამეს,—არამც თუ გააკეთებდა. და თუ ხოშტარია გააკეთებდა—არ ვიცი.

ეს რატომ ემართებათ ბ. ეროვნულ დემოკრატებს?

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობას ებრძვიან. ჩვენ ჩვენ მთავრობას არ ვებრძვით, იმიტომ რომ ჩვენი მთავრობაა. იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მთავრობას დაეხმარებიან, ჩვენ არ ვებრძვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ რომ ჩვენ შეგვქმენით ისინი. როდესაც გვეუბნებიან, რომ არაფერს მოგცემენ კოოპერატივები, საზოგადო ორგანიზაციები და სხვები, და გვირჩევენ, ამიტომ უარ უნდა ვყოთო,—გაბედულად არ არის ნათქვამი. აქ ამბობენ, რომ ლორთქიფანიძის უცოდინარობამ გამოიწვია უსურსათობაო. ხალხი ამბობსო რომ გზები მოწყობილი არ არის, და პურის საქმე მოუწესრიგებელიაო. ჩვენ ვიცით, ხალხი რას ამბობს, ესე იგი რკინის გზის მოხელეები. როდესაც ეროვ. დემოკრატებს შეკითხვა შემოჰქონდათ—ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ ინტერესებს დაიცავენ, აქ კი გამოირკვა, რომ 30 კაცის ინტერესებს იცავდნენ, რომელთაც ჰქონდათ სახლები, და მამულები. მაშინ დავრწმუნდით, რომ ისინი ქვეყანას ატყუებენ და ტყუილად დროს აკარგვინებენ.

შემდეგ ბ. ახმეტელის შეკითხვა სხვანაირია.—მთავრობა არ ვარგაო, სუსტი გამოდგაო. მაგრამ, თქვენ თითონ მითხარით, თუ სად არის თქვენში სიმაგრე (ვეშაპელი—„ოსებში?“) დიახ, ოსებში ყველაფერი ბევრია ოსებში. (ვეშაპელი—„იარაღიც“) დიახ, იარაღიც ბევრია, მართალია, ხალხიც ბევრია. აი გელოვანი, რომ არის სილნაღის მაზრაში, მასაც აქვს იარაღი. ეგ ხომ თქვენი პარტიისა არის? შარაშიძესაც, ხომ იარაღი აქვს? ხო და ასე რომ ვიმსჯელოთ ხომ შორს წავალთ. ერთი რომ უნდა გაითვალისწინოთ. გამიგონია, მგლით დაშინებული ცხოველი—ჩირგვსაც ლაჰყეფავსო. ალბათ ასეთი აჩრდილებით აშინებენ ჩვენ მთავრობას. რაც შეეხება მთავრობას, ჩვენ და მთავრობა დაინტერესებულნი ვართ ყველაზე მეტად და ამაზე მეტს ჩვენ ვხედავთ რევიზიის დანიშვნაში მთავრობის მიერ, ამა თუ იმ პირების გადაყენებაში, და არა გაჩუმებაში. ამას ჩვენ ჩავდიოდით უწინაც, ეხლაც, და მომავალშიც ისე ვიზამთ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ეროვნული დემოკრატები ამაში ვერ გადაგვაჭარბებენ. თუ ტრიბუნა გამოიყენა ქავთარაძემ და გამოაცხადა, რომ ზოგიერთმა ვაჭრებმა ქუთაისში, აირჩიეს და გადამალეს საქონელიო, მე არ ვიცი ესა, და თუ იმან იცის რატომ არ გამოაცხადა? რა საჭირო იყო 5 საათით გაგრძელება კრებისა—და აგრეთვე სხვა ისეთი საპუთები არ მოიყვანეთ თქვენა, რომ მთავრობას არ ჰქონდეს წინდა წინ გადადგმული ნაბიჯები. ჩვენ არავის დაცვა არ გვინდა, არც ნარსიასი არც სხვისა, არც ერთისა არც მეორესი. თუ დამნაშავეა ვინმე მთავრობა ხელს არ დააფარებს. თქვენ გინდათ მთავრობა ჩამოაგდოთ თქვენ ამბობთ, პეტრეს მაგივრად ხოშტარიას არ მისცეთ, და ამიტომ მთავრობა არ ვარგაო, სურსათის საკითხი ვერ მოაწესრიგეს. ჩვენ ვერ მივიღებთ ამ საბუთებს, იმიტომ რომ მთავრობის მოხსენება გავიგონეთ, და ეს სრულიათ გვაკმაყოფილებს, ამაზე უკეთესი ორგანიზაციის შექმნა ვერ გვაჩვენეს, (ზარი) ვერც გაბაშვილმა -და ვერც ახმეტელმა ვერაფერი გვირჩიეს კარგი თქვენ ვერ დაგვარწმუნებთ იმაში, რომ მთავრობა ვერ მოქმედებს რიგზე რაც შეეხება (ზარი) რაც შეეხება ჯარს, თქვენი აფიცრები დღე და ღამე დადიან ქუჩაში...

თავმჯდომარე. სიტყა ეკუთვნის პეტრე ქავთარაძეს.

პეტრე ქავთარაძე. (ალიონ.). ბატონებო, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მთავრობის თავმჯდომარის საპირადო საკითხის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: მე არავისთვის ბრალი არ დამიდვია. გაზეთში დავწერე, და აქაც ვსთქი, რომ უწყების პირი არ შეიძლება იქმნეს დანიშნული იმავე უწყების რევიზიაში. მე ვსთქვი და ამას ვამტკიცებ, ეს ისეთი აუცილებელი და უტყუარი დებულებაა, რომ ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ რაიმეს თქმა სრულიად უიმედო [illegible] ქრება იქნება.—როდესაც ერთი პირი ცენტრალურ დაწესებულება მუშაობს და მოღვაწეობს, ამ პირის დანიშვნა ამ უწყების რევიზორად ავნებს საქმეს, და ეს შეუძლებელია, ვინც უნდა იყოს ეს პირი.

ეს საზოგადოთ.

გარდა ამისა, უწყების პირის შესახებ დავწერე და აქაც გავიმეორე, რომ ეს პირი დამოკიდებული არის. იმის და მიუხედავად, თუ რამდენად სამართლიანი არის ის, რაც მე გავიგე ქუთაისში, ამ დაწესებულების წარმადგენელი იყო, არა მარტო მომრიგების კომიტეტისა, რომლის სათავეში იგი იდგა, რამდენიმე ხნის განმავლობაში იგი იყო სწორედ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარედ,—მე ვამბობ, რომ ეს კაცი დამოკიდებული იყო. თუ რამდენად სამართლიანია ყველა ის რაც აქ გავიგე, მე იმას არ ვეხები, არ ვიცი და იმიტომ არას მოგახსენებთ, უსაფუძვლო იქნება. მაინც მისი დანიშვნა იმ უწყების რევიზიის სათავეში, რომელშიაც ეს პირი მოქმედობდა მრავალ წლის განმავლობაში, ეს შეუწყნარებელია იმიტომ, რომ ეს რევიზია ნდობას ვერ მოიპოვებს, სახელს გაუტეხს მთავრობას ხალხის თვალში და სასურველ ნაყოფს არ გამოიტანს.

ეს ვსთქვი, და ბრალი არავისთვის არ დამიდვია.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. ბატონებო! მე უნდა გავაკეთო ერთი განცხადება იმის შესახებ, რაც ეხლა სთქვა ბ. ქავთარაძემ.

მან, სთქვა, რომ უწყების მოხელე, ან წარმომადგენები არ შეიძლება დაინიშნოს იმავე უწყების რევიზიის სათავეშიო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ ეს არ შეიძლება. ეს მეც არ მიქნია. მას არ სცოდნია საქმის გარემოება. ჯაფარიძე როცა დავნიშნე, ის იმ ჟამად იმ უწყებაში არ იყო, ის იყო წინად.

ალბად არ სცოდნია ბ. ქავთარაძეს საქმის გარემოება. ეს სრულიად ამ უწყებაში არ მსახურებდა, ის მსახურებდა წინად მომარაგების კომიტეტში, მაგრამ ეს კომიტეტი ჩვენ გავაუქმეთ. ეს გადავიდა სასურსათო კომიტეტში. ამიტომ, ის არ მსახურობდა, და, როგორც გამოცდილი კაცი, ამ საქმეში დავნიშნე.

მე რომ დამენიშნა იმავე უწყებაში, ეს იქნებოდა აბსურდი და მე ამას არ ვიზამდი.

## სოც.-დემოკრატ. ფრაქციის წინადადება.

თავმჯდომარე. წინადადება არის შემოტანილი, რომ კამათი მოვსპოთ. გნებავთ მოისმინოთ ის რეზოლიუციები, რომელიც არის შემოტანილი? ჩვენ წაგიკითხავთ იმ რიგით, რა რიგითაც შემოიტანეს (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ. (მდივანი კითხულობს). სოც.-დემოკრატ. ფრაქციის წინადადებას:

მოისმინა რა შეკითხვა სურსათის საქმის შესახებ და მთავრობის პასუხი, საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ მთავრობას საკუთარი ინიციატივით მიუღია ჯეროვანი ზომები და დაუნიშნავს რევიზია სასურსათო საქმის რესპუბლიკის და ხალხის ინტერესების დასაცავად და დარწმუნებული, რომ მთავრობა მთელი თავისი ძალით გა-

ნახორციელებს მის მიერ აღნიშნულ ზომებს ამ დარგში გამეფებული [illegible] როტმოქმედების ასალაგმავად—უცხადებს მას ნდობას და გადადის [illegible] საკითხზე.

შემდეგ აქ გახლავთ სოც. ფედერ. წინადადება. (კითხულობს) საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მოისმინა რა საბჭოს წევრის ალექსანდრე ახმეტელის შეკითხვა და დასასრულ სასურსათო მინისტრის გეგმა საინისტროს რეორგანიზაციის შესახებ—აუცილებლად აღიარებს, რომ მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასურსათო საკითხს, მოახდინოს სრული კონცენტრაცია ყველა სასურსათო საქმეებისა სასურსათო სამინისტროს ხელში და გადადის მორიგ საკითხზე".

თავმჯდომარე. კენჭს ეყრი ჯერ პირველ წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ მიღებულ იქმნეს პირველი წინადადება, რომელიც თქვენ მოგახსენეთ. (კენჭის ყრა). მაშასადამე პირველი წინადადება მიღებულია.

ახალა უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

თქვენ, როგორც გეხსომებათ, იმ კანონში, რომელიც მიღებულია ეროვნულ უმცირესობის შესახებ, იყო შენიშვნა. გაკვრით იყო ნათქვამი, რომ სარეგლამენტო კომისიამ უნდა შეიმუშავოს წესი ეროვნულ საბჭოში სიტყვის წარმოთქმისა და თარგმანისაო. ამიტომ ვთხოვ სარეგლამენტო კომისიის წევრებს მობრძანდნენ აქ თავმჯდომარის კაბინეთში ამ საკითხის გადასაწყვეტად. ძალიან სასურველია, რომ იყოს კრებაზე ყველა ფრაქციის წარმომადგენელი.

გარდა ამისა გთხოთვთ, რომ ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი მობრძანდეთ 8 საათზე მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთში, რადგანაც იქ იქნება ფრიად სერიოზული და საყურადღებო საკითხების განხილვა. ამიტომ, გთხოვთ უეჭველად მობრძანდეთ.

რ. არსენიძე. სანამ კრება დაიშლებოდეს, საჭიროა მოგახსენოთ, რომ სარეგლამენტო კომისია აღარ არსებობს, დაიშალა რეგლამენტის 32 მუხლის ძალით, რადგანც თავისი მუშაობა აასრულა და არავითარი სამუშაო აღარა ჰქონდა. ამიტომ ეხლა სარეგლამენტო კომისია უნდა აირჩეს. ეს უნდა მოხდეს ან კანონმდებლობის გზით, ან იქნეს შემოტანილი კანონ-პროექტი, ან განსაკუთრებულ კომისიას აირჩევენ. მე ვიძლევი წინადადებას, რომ კომისია იქნეს ამორჩეული.

თავმჯდომარე ეს კანონიერი განცხადება გახლავთ.

მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ საკითხი ისეთია, რომ თუ მისი გადაწყვეტა დროზე არ მოხდა, ჩვენ არ გვექნება საშუალება, რომ მოვაწესრიგოთ ენის ხმარების საკითხი. ამიტომ შეიძლება, თუმცა ეს იქნება გამონაკლისი ნაბიჯი, მაგრამ მიზან-შეწონილი—ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს ამ ძველ კომისიას და მერე თუ გნებავთ, აირჩიეთ სხვა კომისია. დღეს კი საჭიროება მოითხოვს დაადასტუროთ ეს წინადადება (ხმები; „გთხოვთ!..)

ეხლა კრებას ვხურავ.

(კრება იხურება 4 ს. და 15 წ.)

---

რედაქტორი ს. **ორდანიშვილი.**